*** ტექსტში მუქი შრიფტით გამოყოფილია მნიშვნელოვანი ისტორიული პირები, გეოგრაფიული ადგილები, ცნებები და სხვ.**

კარი I
ძველი აღმოსავლეთი და საქართველო

თავი I
ძველი ეგვიპტე

1. ზოგადი ცნობები

ეგვიპტე მდებარეობდა აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ნილოსის ნაპირებზე, თანამედროვე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

▪ ეგვიპტემ, როგორც უძველესი სამდინარო ცივილიზაციის ერთ-ერთმა კერამ, თითქმის ოთხი ათასწლეულის განმავლობაში იარსება. მისი ხანგრძლივი არსებობა დანარჩენი სამყაროსგან შედარებით იზოლირებული გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება.

▪ ქვეყნის სამხრეთ ნაწილს ძველი ეგვიპტელები ზემო ეგვიპტეს უწოდებდნენ, ჩრდილოეთ ნაწილს - ქვემო ეგვიპტეს. ქვემო ეგვიპტე უფრო ნაყოფიერი მხარე იყო და აქ წვიმებიც უფრო მეტი მოდიოდა.

▪ ეგვიპტის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა მდინარე ნილოსმა: ის ივლისიდან დიდდებოდა და ანაყოფიერებდა მის ნაპირზე არსებულ მიწებს. შემოდგომაზე კი ისევ თავის კალაპოტს უბრუნდებოდა. ძველი დასახლებები სწორედ ნილოსის დელტაში შეიქმნა.

▪ ეგვიპტეში განვითარებული იყო მეცნიერების სხვადასხვა დარგი: მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა, არქიტექტურა და სხვა.

▪ ეგვიპტელებს ჰქონდათ იეროგლიფური დამწერლობა. ისინი ძირითადად პაპირუსზე წერდნენ, საწერად გამოიყენებოდა ტყავიც. ძველი ეგვიპტელები ლიტერატურულ ნიმუშებსაც ქმნიდნენ.

▪ ეგვიპტეში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა: გაყვანილი იყო სარწყავი არხები, ნაყოფიერ მიწებზე მოჰყავდათ მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული. ეგვიპტელები მისდევდნენ ვაჭრობას.

2. რელიგია

ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, ყოველი ღვთაებრივისა და ყოფიერის პირველსაწყისი და წარმომქმნელია ღმერთი **ატუმი**. ლეგენდის მიხედვით, იგი მოვლენილია ქაოსიდან - **ნუნიდან**.

ეგვიპტელები თაყვანს სცემდნენ მრავალ ღმერთსა და ღვთაებას. მათ შორის:

ოსირისი - ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება; მცენარეულობისა და წყლის ღმერთი, მიცვალებულთა მფარველი და მსაჯული. კულტის ცენტრი იყო ქალაქი **აბიდოსი**.

ისიდა - ძველი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება, ოსირისის და და ცოლი, დიდი ქალღმერთი, დედობისა და ცოლქმრული ერთგულების ღმერთი.

რა - მზის ღმერთი, წარმოიშვა ლოტოსისგან. რას ბაგეთაგან ღმერთები გაჩნდნენ, თვალებისგან - ადამიანები.მისი კულტი ოფიციალურად სახელმწიფო კულტად გამოცხადდა V დინასტიის დროს. მისი საკულტო ცენტრი იყო ქალაქი **ჰელიოპოლისი**.

ამონი - ძველეგვიპტური ღვთაება, რომელსაც თავიდან ეგვიპტის თებეში, შემდეგ კი მთელს ეგვიპტეში მზის ღმერთად მიიჩნევდნენ. საკულტო ცენტრი - **ქ.თებე**.

ატონი - მზის ღვთაება. ამენჰოტეპ IV-მ ატონის კულტით შეცვალა მრავალღმერთიანობა და ერთიან სახელმწიფოებრივ კულტად გამოაცხადა. ატონის კულტის ცენტრი **ქ. ახეტატონი** იყო.

პტახი - ერთ-ერთი უმთავრესი ღმერთია და იწოდება ჭეშმარიტების მეუფედ, სამართლიანობის ღვთაებად.

ხორი - ოსირისის ვაჟი, ძველ ეგვიპტელთა ერთ-ერთი მთავარი ღმერთი. იგი ეგვიპტის ფარაონთა ყველა დინასტიის მამამთავარი და ფუძემდებელია. ხორის სახელი ყველა ფარაონის სახელში ფიგურირებს.

ანუბისი - საიქიო სამყაროს ღმერთი. იგი გამოისახებოდა ტურისთავიან ადამიანად. ჭირისუფლები ანუბისს ევედრებოდნენ, რომ საიქიოში მიცვალებულისთვის მფარველობა არ მოეკლო.

სებეკი - ერთ-ერთი მთავარი ღმერთი იყო ეგვიპტურ პანთეონში. მას შესთხოვდნენ სხვადასხვა სენისგან განკურნებას და ცხოვრების მძიმე წუთებში თანადგომას.

ძველი ეგვიპტელები აღმერთებდნენ ცხოველებს, რაც, შესაძლოა, იქაური ფაუნის სიმწირით იყოს გამოწვეული.

აპისი - ღვთაებრივი ხარი, ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთაებრივი ცხოველი.

გავრცელებული იყო ნიანგის კულტიც. საკულტო ცხოველებად მიიჩნევდნენ ცხვარსა და ლომსაც, აგრეთვე შავ ძაღლს, ტურას და სხვ.

ეგვიპტელთა რწმენით არსებობდა სააქაო და საიქიო ცხოვრება. იყენებდნენ გვამის მუმიფიცირებას ანუ ბალზამირებას, რაც იმქვეყნიური ცხოვრების გაგრძელების წინაპირობად მიიჩნეოდა.

ეგვიპტელების მითოლოგიური წარმოდგენები არეკლილია სხვადასხვა რელიგიური ტექსტებში: ჰიმნები, ლოცვებში, სამარხთა კედლებზე აღწერილი დაკრძალვის რიტუალებში. ასეთებია მაგალითად, „პირამიდების ტექსტები“, „სარკოფაგების ტექსტები“, „მიცვალებულთა წიგნი“ და სხვა.

პირამიდები

ფარაონების სამარხის ფუნქცია გააჩნდა. ფარაონს სარკოფაგში ატანდნენ იმქვეყნიური ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებს, ძვირფასეულობას და მონებსაც კი.

„პირამიდების ხანა“ დაიწყო III-IV დინასტიების მმართველობის პერიოდში.

- **ჯოსერის** (დაახლ. ძვ.წ. 2665-2645 წწ.) პირამიდა - საფეხუროვანი ტიპის პირველი პირამიდაა ეგვიპტის ისტორიაში. ის არქიტექტორ იმჰოტეპის პროექტის მიხედვით აიგო.
- **ხეოფსის** (დაახლ.ძვ.წ. 2589-2566 წწ) პირამიდა - ყველაზე დიდი ცნობილი პირამიდა (146,6 მ.)
- **ხეფრენის** (დაახლ.ძვ. წ. XXVI ს.) პირამიდა, სიდიდით მეორეა ხეოფსის პირამიდის შემდეგ (143,5 მ.)

პირამიდების დიდი ნაწილი განლაგებულია ეგვიპტეში, გიზის ნეკროპოლისში.

3. ძველი ეგვიპტის ისტორიის პერიოდიზაცია

ძველი ეგვიპტის ისტორია იყოფა დინასტიამდელ და დინასტიურ პერიოდებად, რომელიც მოიცავს 33 დინასტიის მმართველობის პერიოდებს.

- ადრეული სამეფო (I და II დინასტიები) - ძვ.წ. 3000 - 2778 წწ.
- ძველი სამეფო (III-VIII დინასტიები) - ძვ.წ. 2778 – 2220 წწ.
- პირველი გარდამავალი პერიოდი (IX-X დინასტიები) ძვ.წ. 2220 – 2070 წწ.
- შუა სამეფო (XI-XII დინასტიები) - ძვ.წ. 2070 – 1785 წწ.
- მეორე გარდამავალი პერიოდი (XIII-XVII დინასტიები) - ძვ.წ. 1785 – 1580 წწ.
- ახალი სამეფო (XVIII-XX დინასტიები) - ძვ.წ.1549-1069 წწ.
- მესამე გარდამავალი პერიოდი (XXI-XXV დინასტიები) - ძვ.წ.1069 - 664 წწ.
- გვიანი პერიოდი (XXVI- XXX დინასტიები) - ძვ.წ. 664-332 წწ.
- ასურელთა მმართველობა (ძვ. წ. 664-656 წწ.);
- სპარსელთა მმართველობა (ძვ. წ. 525-404);
- სპარსელთა მეორე მმართველობა (ძვ. წ. 343-332 წწ.);
- მაკედონელთა (არგეადების) დინასტია (ძვ. წ. 332-305 წწ.);
- პტოლემეების დინასტია (ძვ. წ. 305-30 წწ.).

4. სახელმწიფოს წარმოშობა, ადრეული სამეფო (ძვ.წ. 3000 - 2778 წწ.)

ძვ.წ. IV ათასწლეულში ნილოსის ნაპირებზე განლაგებული დასახლებები გაერთიანდნენ ორ - ჩრდილოეთის ანუ ქვემო სამეფოდ და სამხრეთის, ანუ ზემო სამეფოდ.

დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში ქვემო და ზემო სამეფოები გაერთიანდნენ ერთ სამეფოდ, სავარაუდოდ ეს მოხდა სამხრეთი სამეფოს მმართველის, **მენესის** დროს.

ახალ მმართველს ეგვიპტელებმა ფარაონი, „დიდი სახლი“ უწოდეს.

ამ პერიოდში ფარაონები ძირითადად მხოლოდ ეგვიპტეს აკონტროლებდნენ, თუმცა, დროდადრო აწყობდნენ ლაშქრობებს ნუბიისა და ლიბიის მიმართულებით.

5. ძველი სამეფო (ძვ.წ. 2778 – 2220 წწ.)

ეს პერიოდი ეგვიპტის „ოქროს ხანად“ იწოდება: განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა და მშენებლობა.

ფარაონის ძალაუფლება სრული ხდება, ის აღიარებულია უზენაეს, ღმერთთან გათანაბრებულ მმართველად, უმაღლეს მსაჯულად და მთელი ეგვიპტის მფლობელად.

ფარაონი **ხეოფსი** იწყებს ლაშქრობას ნუბიელებისა და სინაის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ მომთაბარეების წინააღმდეგ, აშენებს ექვსსაფეხურიან პირამიდას, რითაც დასაბამს უდებს „დიდი პირამიდების მშენებლობის ხანას“

ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს ქვეყანაში იწყება შინაომები, რასაც საბოლოოდ ძველი სამეფო სუსტდება და დაცემა მოჰყვა.

6. შუა სამეფო (ძვ.წ. 2070 – 1785 წწ.)

XVII-XVIII საუკუნეებში, XI დინასტიის მმართველობის დროს ეგვიპტის ერთიანი სამეფო აღდგა, დედაქალაქი **მემფისიდან** გადავიდა **ლუქსორში**.

ფარაონი **სენუსერტ III-მ** (ძვ.1872 -1853 წწ.) გაილაშქრა სამხრეთში და მოახერხებს ჯერ კიდევ ძველი სამეფოს დროს დაპყრობილი ტერიტორიების უკან დაბრუნება.

ამ პერიოდში ეგვიპტის ტერიტორია ფართოვდება არაბეთის ნახევარკუნძულის სიღრმეში, ჩნდება ეგვიპტური დასახლებები წითელი ზღვის სანაპიროზე.

7. ეგვიპტის დაპყრობა ჰიქსოსების მიერ

ძვ.წთ XVII საუკუნეში ეგვიპტე დაიპყრეს აზიიდან მოსულმა სემიტურმა მომთაბარე ტომებმა - **ჰიქსოსებმა**.

- ჰიქსოსებს ეგვიპტელები უცხოელ მმართველებს უწოდებდნენ, ეგვიპტელი ქურუმი **მანეთონი** კი მათ ,,მწყემსების მეფეებს'' უწოდებდა.
- ჰიქსოსების სამხედრო უპირატესობა: დიდი, შორსმსროლელი მშვილდი, ჯაჭვის პერანგი, საბრძოლო, ცხენშებმული ეტლი.

8. ეგვიპტის გაძლიერება. „ახალი სამეფო“ (ძვ.წ.1549-1069 წწ.)

ძვ.წ. XVI საუკუნეში ეგვიპტელებმა ჯერ შეძლეს ჰიქსოსების კულტურული ასიმილაცია, შემდეგ კი დაამარცხეს და ძალაუფლებას ჩამოაშორეს დამპყრობლები - დაიწყო „ახალი სამეფოს“ ხანა.

ამ პერიოდში ეგვიპტე ძლიერდება - ის იწყებს დაპყრობით ლაშქრობებს და ტერიტორიის გაფართოებას. ამ მხრივ განსაკუთრებულად აღსანიშნავია **XVIII დინასტიის** ფარაონების მოღვაწეობა:

- თუტმოს I (ძვ.წ.1504-1492 წწ.) - საბოლოოდ დაიპყრო ნუბია, დაიმორჩილა სირია და ქვეყნის საზღვრები მდინარე ევფრატამდე გააფართოვა.
- თუტმოს III (ძვ.წ.1468-1436 წწ.) - ეგვიპტის ბატონობა განავრცო ყველაზე შორს აზიაში.

9. ამენხოტეპ IV-ის (ძვ. წ. 1353–1336 წწ.) მმართველობა

ამენხოტეპ IV-XVIII დინასტიის ეგვიპტის ფარაონი, უწოდებენ **„მსოფლიოს პირველ პიროვნებას“** მის მიერ განხორციელებული იმ დროისათვის რევოლუციური რეფორმების გამო.

მან ჩაატარა რელიგიური რეფორმა: მრავალი ღმერთის ნაცვლად დაამკვიდრა ერთი ღმერთის - **ატონის** (მზის ღმერთი) კულტი, რითაც დაუპირისპირდა სხვა ტაძრების ქურუმებს. ფარაონმა ახალი ღვთაების პატივსაცემად სახელი შეიცვალა და დაირქვა ეხნატონი (ეგვ. „ატონისთვის სასარგებლო“);

მის დროს ეგვიპტის დედაქალაქი გახდა **ახეტატონი**, თუმცა, ამენხოტეპ IV-ის გარდაცვალების შემდეგ ახეტატონმა დაკარგა დედაქალაქის სტატუსი და მოისპო ატონის კულტი.

სავარაუდოდ ამენხოტეპ IV-ის შვილი იყო ცნობილი ფარაონი **ტუტანხამონი** - ის ერთადერთი ფარაონია, ვისი აკლდამაც გაძარცვას გადაურჩა.

10. რამზე II. ქადეშის ბრძოლა

XIX დინასტიის ერთ-ერთი უდიდესი ფარაონი იყო რამზეს II. ის ეგვიპტეს მართავდა ძვ. წ. 1279-1213 წლებში, 66 წლის განმავლობაში. ის წარმატებით იბრძოდა ნუბიისა და ლიბიის წინააღმდეგ, დაამარცხა და დაიმორჩილა სირია და ფინიკია, ყველაზე დიდი ომი კი მას ხეთების ძლიერი სამეფოს წინააღმდეგ ჰქონდა.

ძვ.წთ 1274 წელს, დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე, ქალქ **ქადეშთან** გაიმართა ბრძოლა ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის. რამზეს II-ს ამ ბრძოლაში და ხეთების მეფე მუვათალი II უპირისპირდებოდა.

ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მაგრამ ეს ბრძოლა მაინც შევიდა მსოფლიო ისტორიაში:

▪ ამ ბრძოლის შემდეგ დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომელიც ითვლება თანასწორი და ურთიერთსასარგებლო საერთაშორისო ხელშეკრულების უძველეს ნიმუშად. მისი ასლი გაეროს შტაბ-ბინაში ინახება.

11. ეგვიპტის დასუსტება და უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობა

ძვ.წ. XI საუკუნიდან იწყება ეგვიპტის ეტაპობრივი დასუსტება და დაცემა - შინა პოლიტიკური დაპირისპირებამ გამოიწვია სამეურნეო აქტივობის დაცემა და სამხედრო ძლიერების დაკნინება. შედეგად, ეგვიპტემ დაკარგა თითქმის ყველა სამფლობელო და თავად გახდა უცხოელი დამპყრობლების სამიზნე.

სხვადასხვა პერიოდში ეგვიპტეს მორიგეობით იპყრობენ ასურეთი, აქემენიდური ირანი, ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობების შემდეგ კი დგება ელინისტური პერიოდი, რომელიც პტოლემეების დინასტიის უკანასკნელი დედოფლის, **კლეოპატრა VII-ის** მმართველობით სრულდება ძვ.წ. 30 წელს.

ძველმა ეგვიპტემ, როგორც კულტურულ-პოლიტიკურმა ფენომენმა, არსებობა შეწყვიტა არაბების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ, ახ.წ. VII საუკუნეში.

თავი II
შუმერი

1. ზოგადი ცნობები

შუმერი - უძველესი ცივილიზაცია შუამდინარეთში, მდებარეობდა თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე, მდინარეების ევფრატსა და ტიგროსს შორის.

არსებობის პერიოდი: ძვ.წ. VI-II ათასწლეულები, დაახლოებით ძვ.წ. 5500 – 1800 წწ.

შუმერები - უცნობი წარმოშობის ხალხი, რომელმაც დაიკავა ადრე ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხის ადგილი და შექმნა თვითმყოფადი ცივილიზაცია, მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურა

უდიდესი შუმერული ქალაქები: ერიდუ, ნიფური, ქიში, ლაგაში, ურუქი, ური, უმა და სხვა

2. შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების წარმოშობა

ქალაქის ტიპის დასახლებები და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ამ ტერიტორიაზე ნეოლითის პერიოდში გაჩნდა.

ძვ.წ. IV ათასწლეულისთვის დაიწყო აქ მცხოვრები ტომების გაერთიანება და ევფრატის ნაპირებზე ირიგაციული სისტემების შექმნა, რამაც მოსავლის ზრდა და პროდუქციის დაგროვების შესაძლებლობა გააჩინა. ამას კი, თავის მხრივ, შრომის დიფერენციაცია და მოგვიანებით, კლასების ჩამოყალიბება მოჰყვა.

ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში იწყება დიდ ქალაქების დაარსება, სადაც ტაძრებს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავათ - ისინი ერთდროულად ასრულებდნენ რელიგიური კულტის თაყვანისცემისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრის ფუნქციას, აქვე ინახავდნენ მოსავლის მარაგს.

დაახლოებით ძვ.წ. 3000 - ძვ.წ. 2900 წლებში ტაძრების მეურნეობა იმდენად გართულდა, რომ საჭირო გახდა უფრო რთული აღრიცხვის სისტემის შემუშავება, რამაც განაპირობა დამწერლობის შექმნა.

3. ბრძოლა პირველობისათვის შუმერულ ქალაქებს შორის

შუმერულ ქალაქებს შორის მუდმივად მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისათვის. ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში ამ ბრძოლაში დაწინაურდა **ქიში**, რომლის მმართველებმა შეძლეს საკუთარი გავლენის გავრცელება სხვა ქალაქებზე.

▪ ძვ. წ. XXVII საუკუნეში ქიშის მმართველმა **აგამ** სცადა ერთ-ერთი ძლიერი ქალაქის - ურუქის დამორჩილება. ურუქის ახლადარჩეულმა მეფე **გილგამეშმა** წინააღმდეგობა გაუწია მას და საბოლოოდ დაიმორჩილა ქიში.

▪ ურუქის შემდეგ ძვ.წ. XXV საუკუნეში წინ წამოიწია შუმერულმა ქალაქმა **ურმა**. ურის მმართველები ცდილობდნენ დაემორჩილებინათ გარშემო მცხოვრები ნომები. ურის გარდა რეგიონში ჰეგემონიაზე პრეტენზია ჰქონდა **ლაგაშს**.

▪ ძვ. წ. 2400 წელს ლაგაშმა დაიმორჩილა მეზობელი ქალაქი **უმა**, შემდეგ კი დაიპყრო ქიში, მაგრამ შემდეგში მისი შენარჩუნება ვერ შეძლო. ლაგაშს ომი ჰქონდა ურთანაც.

▪ ძვ. წ. XXIV საუკუნის შუახანებში უმას მმართველმა **ლუგალზაგესმა** დაიმორჩილა მთელი ქვემო მესოპოტამია, ბოლოს კი ლაგაში და ქიშიც დაამარცხა და ერთპიროვნული ჰეგემონი გახდა.

4. აქადი

მალე ლუგალზაგესს დაუპირისპირდა სემიტური წარმოშობის ლიდერი სარგონ აქადელი (იგივე სარგონ ძველი), რომელმაც დაამხო ლუალზაგესი და დაიმორჩილა მთელი ქვემო შუამდინარეთი. თავის დედაქალაქად მან უმნიშვნელო ქალაქი **აქადი** აირჩია.

სარგონმა საფუძველი ჩაუყარა აქადის დინასტიას.

▪ მიუხედავად იმისა, რომ სარგონიდები სემიტურენოვანები იყვნენ, აქადში ოფიციალური ენა ჯერ კიდევ შუმერული იყო.

სარგონის მემკვიდრეები აგრძელებდნენ დამპყრობლურ ომებს. მათ არაერთხელ ილაშქრეს ელამის წინააღმდეგ.

▪ სარგონის ძმისშვილმა **ნარამ-სუენამ** ელამთან წერილობითი ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვითაც ელამს საგარეო პოლიტიკა აქადთან უნდა შეეთანხმებინა. ეს ჩვენთვის ცნობილი **პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა.**

ნარამ-სუენის დროს დასრულდა სარგონის მიერ დაწყებული სახელმწიფო რეფორმები და მან მიიღო სამყაროს ოთხი მხარის მეფის ტიტული.

5. ურის მესამე დინასტია და შუმერის დაღმასვლა

ძვ. წ. XXII საუკუნის ბოლოს მესოპოტამიაში პირველობა მოიპოვა **ურ-ნამუმ** (ძვ. წ. 2111 - 2094 წწ.), რომელმაც თავის დედაქალაქად ური აირჩია. ახალ სახელმწიფოს „შუმერის და აქადის სამეფო“ეწოდა .

▪ მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ოფიციალური ენა შუმერული იყო, სალაპარაკო შუმერული უკვე ნელ-ნელა ქრება მოხმარებიდან.

„შუმერის და აქადის სამეფო“ მალე გაფართოვდა და შეიერთა ჩრდილო მესოპოტამიაც და ელამის ნაწილიც.

ამ დროს შეიქმნა კანონების პირველი კოდექსი, რომელიც **ურ-ნამუს კანონების** სახელით არის ცნობილი

შუმერების და აქადის სამეფო იმსხვერპლა დასავლეთ სემიტური ტომების - ამორეველების შემოსევებმა:

▪ ურის მეფეებმა მომთაბარეებისგან დასაცავად ააშენეს კედელი, თუმცა, ძვ. წ. **2025** წელს მომთაბარეებმა გადაკვეთეს ჩრდილოეთ მესოპოტამია და შუმერში აღმოსავლეთიდან შემოიჭრნენ. მომთაბარეებმა ნელ-ნელა ხელში ჩაიგდეს მთელი შუმერი.

ძვ. წ. XIX საუკუნეში ამორეველებმა მესოპოტამიაში სამი სამეფო შექმნეს - **ისინი, ეშნუნა** და **ლარსა**, რომლებიც მოგვიანებით ერთ სამეფოდ გაერთიანდნენ ბაბილონის მეფე **ხამურაბის** მიერ.

6. შუმერების მიღწევები

შუმერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებაში. მათ სახელს უკავშირდება არაერთი სიახლე და მიღწევა, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს მსოფლიო ისტორიის პროცესში.

შუმერებმა:

▪ შექმნეს საირიგაციო სისტემა

▪ შემოიღეს ლურსმული დამწერლობა

▪ შექმნეს პირველი დაწერილი კანონები, ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები

შუმერულ ენაზე დაწერილია:

▪ მსოფლიოში უძველესი **ურ-ნამუს** კანონები (დაახ. ძვ. წ. 2100-2050 წწ.)

▪ **ლიფით-იშთარის** კანონები (დაახ. ძვ.წ. 1934 – 1924 წწ.)

▪ **ეშნუნას** კანონები (დაახ. ძვ.წ. 1930 წ.)

7. გილგამეშის ეპოსი

ურუქის მეფე გილგამეშის შესახებ შუმერებმა ლეგენდები შექმნეს, რომლებიც გაერთიანდა ერთ მთლიან მხატვრულ ნაწარმოებად. არსებობს ლეგენდის შუმერული და აქადური ვარიანტები, რომლებიც შედგება ცალკეული სიმღერებისგან.

შუმერულ სიმღერებში გილგამეში გამოყვანილია ენერგიულ და გაბედულ ახალგაზრდა მეფედ, რომელსაც სურს საკუთარი სახელის უკვდავყოფა. ის შეძრულია ადამიანის სიკვდილის გარდაუვალობით, ბრძოლას უცხადებს ამ რეალობას და ერთვება სახიფათო თავგადასავალში თავის თანამგზავრ **ენქიდუსთან** ერთად. ეს მოტივი აქადური ეპოსში გარდაქმნილია სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს ძიების მოტივად.

აქადური ტექსტის აღმოჩენისთანავე ყურადღება მიექცა ცალკეული პასაჟების მსგავსებას „ძველ აღთქმასთან“.

▪ უთნაფიშთიმის ამბავი ძალიან ახლოს დგას ბიბლიური წარღვნისა და ნოეს კიდობნის ამბავთან, ხოლო ენქიდუს შექმნა და შამხათის მიერ მისი ზიარება ცივილიზაციასთან მოგვაგონებს ადამის შექმნისა და ევას მიერ მისი ცდუნების ამბავს.

8. შუმერის რელიგია

შუმერები ეთაყვანებოდნენ სხვადასხვა ღმერთს და თვლიდნენ, რომ ისინი მართავდნენ ბუნებრივ პროცესებს და განსაზღვრავდნენ ადამიანის ბედს.

ღმერთები შუმერების წარმოდგენაში ანთროპომორფულები იყვნენ, მათ ადამიანის სახე ჰქონდათ და არა ცხოველის ან სხვა არსებების, ისე როგორც ესაა ეგვიპტურ მითოლოგიაში.

შუმერებს ჰყავდათ საყოველთაო ღმერთები, თუმცა, ამავე დროს, ყოველი თემი თავის „შინაურ“ ღვთაებებს სცემდა თაყვანს.

„საერთო“ ღმერთები იყვნენ:

ანი – ცისა და სამოთხის ღმერთი;

ენქი – ოკეანის, სიბრძნის და ღვთაებრივი ძალების ღმერთი;

ენლილი – ჰაერის ღმერთი;

ინანა – სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი და სხვა.

შუმერები ხშირად გმირებსა და მეფეებსაც აღმერთებდნენ. ტაძრებს უშენებდნენ მხოლოდ მთავარ ღმერთებს.

შუმერულ ქალაქებში ყველა ქალაქს თავისი ღვთაება ჰყავდა. მაგალითად: ენლილი ნიპურის მთავარი ღმერთი იყო, ენქი – ერედუს მთავარი ღმერთი, ინანა - ურუქის და ა.შ.

თავი III
ბაბილონი

1. ზოგადი ცნობები

ბაბილონეთი - ძველი სახელმწიფო შუამდინარეთის სამხრეთში, თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე.

დედაქალაქი: ბაბილონი

ენები: აქადური, შუმერული, არამეული

დამწერლობა: ლურსმული.

2. სახელმწიფოს ჩამოყალიბება

ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში შუმერთა სახელმწიფოს დამხობის შემდეგ მესოპოტამიაში წარმოიქმნა რამდენიმე პატარა ქალაქ-სახელმწიფო. ერთ-ერთი ასეთი ქალაქი იყო ცენტრალურ მესოპოტამიაში მდებარე ბაბილონი.

ძვ.წ. XIX საუკუნეში მომთაბარე დასავლეთსემიტურმა ტომებმა - **ამორიტებმა** (ამორეველებმა) დაიპყრეს ბაბილონი, რომელიც საკუთარ დედაქალაქად აქციეს. ამორეულ დინასტია არცთუ აქტიურად გამოდიოდნენ საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე - მათი მოღვაწეობა ძირითადად სამშენებლო საქმიანობით იფარგლებოდა.

ბაბილონი ძალზე მოსახერხებელ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე მდებარეობდა, სადაც ტიგროსი და ევფრატი ყველაზე მეტად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ამის წყალობით მალე ბაბილონი მთელი შუამდინარეთის სავაჭრო, რელიგიურ და სამეცნიერო ცენტრად იქცა.

3. ხამურაბის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

ბაბილონის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე **ხამურაბის** პერიოდში (ძვ. წ. 1792-1750 წწ.):

▪ ძვ.წ. 1764 წელს ხამურაბიმ დაამარცხა **ეშნუნის, მალგიუმისა** და **ელამის** გაერთიანე-ბული ჯარები;

▪ ძვ.წ. 1763 წელს კი დაიმორჩილა **ლარსას სამეფო** და მალე ის სრულად გაბატონდა მთელს შუამდინარეთში, ხელთ იგდო იმ დროისათვის შუამდინარეთზე გამავალი მთავარი სავაჭრო გზები.

ხამურაბიმ თავის სამეფოში მრავალი რეფორმა ჩაატარა. მსოფლიო ისტორიაში იგი შევიდა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი კანონმდებელი. მან შექმნა 282 მუხლისაგან შემდგარი კანონთა კრებული.

ხამურაბის დროს ბაბილონეთის საზოგადოება იყოფოდა ორ მთავარ ნაწილად - თავისუფალნი და არათავისუფალნი. მონების რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე თავისუფალთა.

სახელმწიფოს ნატურალური შემოსავლის უმთავრეს ნაწილს სამეფო მიწებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა. არსებობდა სატაძრო, სათემო და კერძო საკუთრებაში მყოფი მიწებიც, ხდებოდა მიწების ყიდვა-გაყიდვა სავაჭრო აგენტების მეშვეობით.

4. ახლბაბილონური სამეფო

ხამურაბის სიკვდილის შემდეგ ბაბილონის სამეფო დასუსტდა. ის რამდენჯერმე დალაშქრეს ასურელებმა.

▪ ძვ.წ. 689 წელს ასურეთის მეფე **სინახერიბმა** აიღო ბაბილონი, თითქმის სრულად გაწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობა და სრულად დაანგრია ქალაქი.

მხოლოდ VII საუკუნის ბოლოს შეძლო ბაბილონმა ასურეთის ბატონობისაგან განთავისუფლება. ასურეთის მეფის ნაცვალი ბაბილონში, ქალდეური წარმოშობის ნაბუფალასარი განუდგა ასურეთს და თავი ბაბილონის მეფედ გამოაცხადა. ამგვარად ჩამოყალიბდა ახლბაბილონური სამეფო. **ნაბუფალასარი** წარმატებულ საგარეო პოლიტიკას და ომებს აწარმოებდა:

▪ მან კავშირი შეკრა მიდიის მეფე **კიაქსართან**, დაამარცხა ასურელები და ძვ.წ. 612 წელს ასურეთის დედაქალაქი ნინევიაც აიღო.

▪ ძვ.წ. 605 წელს ასურელთა ჯარის ნარჩენები და ეგვიპტელები დაამარცხა **ქარხემიშის ბრძოლაში**, რამაც ბოლო მოუღო ეგვიპტის მცდელობას, გაბატონებულიყო ახლო აღმოსავლეთში. ამ ბრძოლის შემდეგ ბაბილონი რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა ნაბოფალასარის მემკვიდრის **ნაბუქოდონოსორ II-ის** (ძვ. წ. 604 - ძვ. წ. 562) დროს. საზღვარზე). ამ პერიოდში ბაბილონეთი მიდიასთან ერთად წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო იყო.

ნაბუქოდონოსორი დაპყრობითს ომებს ძირითადად სირიისა და პალესტინის წინააღმდეგ აწარმოებდა:

▪ ძვ. წ. 586 წელს ნაბუქოდონოსორ II-მ დაანგრია იერუსალიმი და ბაბილონში გადაასახლა 70 ათ. ებრაელი (**ე.წ. ბაბილონის ტყვეობა**).

▪ ძვ. წ. 574 წელს ცამეტწლიანი ალყის შემდეგ აიღო ტვიროსი.

წარმატებით ილაშქრა ეგვიპტელების წინააღმდეგ და უზრუნველყო ბაბილონის საზღვრების უსაფრთხოება.

ნაბუქოდონოსორმა არაერთი კულტურულ-სამშენებლო ღონისძიებაც განახორციელა: განაახლა ღვთაება მარდუქის ტაძარი და ქალაქის გალავანი, ააგო ბაბილონის კოშკი (გოდოლი) და დაკიდებული ბაღები, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად მიიჩნეოდა.

ახალბაბილონურ ეპოქაში ქალაქებმა შეიძინეს სავაჭრო-ხელოსნური ცენტრების მნიშვნელობა, მოიპოვეს მთელი რიგი პრივილეგიები და პოლიტიკური თვითმმართველობა,

ნაბუქოდონოსორის მემკვიდრეების ხელში ბაბილონის სამეფო კვლავ დასუსტდა.

• ძვ. წ. 539 წელს ის სპარსეთის აქემენიანმა მეფე **კიროსმა** დაიპყრო და ბაბილონმა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა.

5. რელიგია

მარდუქი - ბაბილონური პანთეონის უზენაესი ღვთაება, ქალაქ ბაბილონის მფარველი. იწოდებოდა „ღვთაება მეუფედ (და) მამად". მიიჩნევდნენ დედამიწის ღვთაების **ეას (ენქის)** ვაჟად. სამყაროს შექმნის ბაბილონური მითის მიხედვით მარდუქი იყო ქვეყნიერებისა და ადამიანის შემქმნელი. აიგივებდნენ ძველ შუმერულ ბაალთან და ენლილთან.

იშთარი - ნაყოფიერების, ფიზიკური სიყვარულის, ასევე ომის და არეულობების ქალღმერთი, მისი ასტრალური ღვთაების პერსონიფიკაციის პლანეტაა ვენერა. მისი შუმერული ანალოგია ინანა.

ბაბილონური პანთეონის მნიშვნელოვანი ღმერთებია **შამაში** - მზისა და სამართლიანობის ღმერთი, **სინი** - მთვარის ღმერთი, **ნერგალი** – ქვესკნელის მეუფე, **ნაბუ** - სიბრძნის ღვთაება.

ბაბილონელები არ ცნობდნენ არც სამოთხეს და არც ჯოჯოხეთს - ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანის ცხოვრება გრძელდება მათ შთამომავლებში.

ასტრალური ღმერთების სიმრავლემ ასტროლოგიის განვითარება გამოიწვია. ამიტომაც ბაბილონელი (ქალდეველი) ქურუმები დახელოვნებულ ვარსკვლავთმრიცხველებად ითვლებოდნენ.

თავი IV
ასურეთი

1. ზოგადი ცნობები.

ასურეთი - ძველი სახელმწიფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. ასურეთი კაცობრიობის ისტორიაში პირველი **მილიტარისტულ იმპერიად** არის ცნობილი.

არსებობის პერიოდი: ჩამოყალიბდა ძვ. წ. II ათასწლეულში შუამდინარეთის ჩრდილოეთ ნაწილში და იარსება ძვ. წ. VII საუკუნის ბოლომდე.

დედაქალაქი: სხვადასხვა დროს **აშური, დურ-შარუქინი, ნინევია, ჰარანი, ქარხემიში**.

წარმომავლობა: ასურელები ეთნიკურად ენათესავებოდანენ ბაბილონის მოსახლეობას.

ენა: სემიტურ ენათა ოჯახში შემავალი ასურული ენა ერთიანი ასურულ-ბაბილონური ანუ **აქადური ენის** დიალექტია.

ასურელებმა შემოიტანეს მრავალი სიახლე სამხედრო საქმეში:

▪ საალყო მანქანები;

▪ სამხედრო გზებისა და ხიდების მშენებლობა;

▪ დაპყრობილი ხალხების მასობრივი დეპორტაცია მათი საბოლოო ასიმილაციის მიზნით და სხვა.

2. საშინაო პოლიტიკა და ეკონომიკა.

სამხრეთ შუამდინარეთისაგან განსხვავებით, ასურეთში მიწათმოქმედება შესაძლებელი იყო ხელოვნური რწყვის გარეშე. ასურეთის გარშემო მდებარე მთები მდიდარი იყო ნადირითა და წიაღისეულით. აქ განვითარებული იყო სამიწათმოქმედო კულტურა, მისდევდნენ მესაქონლეობასაც.

ძვ.წ. 2000 წლისათვის ასურეთი შუამდინარეთსა და მცირე აზიას შორის მიმდინარე ინტენსიური საშუამავლო-სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრად იქცა.

ქ. ასურმა მცირე აზიაში, ხეთების ქვეყანაში, დააარსა მრავალი სავაჭრო კოლონია. ამათგან უმნიშვნელოვანესი იყო ქალაქი **ქანესი**.

ასური ამ დროს საქალაქო თემი იყო, სადაც ღრმად გაიდგა ფესვები ქონებრივმა დიფერენციაციამ, სავაჭრო ამხანაგობებში გაერთიანებული ზედა ფენა სწრაფად მდიდრდებოდა საქარავნო ვაჭრობით. მცირე აზიიდან ასურელებს შუამდინარეთში უმთავრესად ლითონი შეჰქონდათ.საზოგადოებაში ამ დროს უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი სავალო კაბალამ.

ხანგრძლივი დაპყრობითი ომებმა ასურეთის ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებული გახადა სამხედრო ნადავლსა და დეპორტირებული ხალხების შრომაზე, რამაც მეურნეობა ნაკლებად ინტენსიური გახადა. ასეთი **„პარაზიტული“ ეკონომიკა** ასურეთის სახელმწიფოს დასუსტების ერთ-ერთი მიზეზი.

3. სახელმწიფოს ფორმირება.

ძვ. წ. III ათასწლეულში და II ათასწლეულის დასაწყისში ქალაქი აშური და მის კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორია, ემორჩილებოდნენ ბაბილონეთის ძლიერ ხელისუფალთ.

ძვ.წ. XVIII საუკუნის დასაწყისში ასურეთში შეიქმნა ვრცელი სამეფო მეფე **შამშიადად I-ის** მეთაურობით. ასურის გარდა, სამეფოს მნიშვნელოვან ცენტრებად იქცა ქალაქები არბელა, ნინევია და სხვა.

ძვ.წ. XVIII საუკუნეში ასურეთი დაიმორჩილა ბაბილონეთის ძლიერმა მეფემ **ხამურაბიმ**. ამასობაში მცირე აზიაში დიდი ძვრები მოხდა. შემოსეულმა ტომებმა გაანადგურეს ასურელთა ახალშენები, გადაუჭრეს ასურეთს მცირე აზიისაკენ მიმავალი გზები, რამაც საშუამავლო ვაჭრობის დაცემა და საერთოდ ასურეთის დასუსტება გამოიწვია.

ასურეთის მეზობლად, შუამდინარეთშივე, ჩამოყალიბდა **ხურიტების** დიდი სახელმწიფო **მითანი,** რომელმაც ასურეთი დაიპყრო. ძვ.წ. XVI - ძვ.წ. XV საუკუნეებში ასურეთის ქალაქებში გამგებლად მითანის მეფისნაცვლები ისხდნენ.

4. საგარეო პოლიტიკა

ძვ.წ. XV საუკუნეში ასურეთმა თავი დაიხსნა მითანის მორჩილებისაგან და თვით გადავიდა შეტევაზე.

მეფე ასურეთი წარმატებული ბრძოლები აწარმოვა, რამაც მდგომარეობა კარდინალურად შეცვალა:

- მეფე **ასურუბალიტ I-მა** მცირე ხნით დაიმორჩილა ბაბილონი.
- ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებში ასურეთი წარმატებით ომობდა მითანის წინააღმდეგ და მთლიანად დაიპყრო მისი ტერიტორია ჩრდილოეთ შუამდინარეთში
- მეფე ტიგლათფილესერ I-ი (ძვ წ. 1115 - ძვ.წ. 1077) დროს ასურეთი კვლავ გაძლიერდა და წარმატებით ეომებოდა მეზობელ ქვეყნებს. ასურელები მიადგნენ სამხრეთ ამიერკავკასიას, ებრძოდნენ ნაირის, ურარტუს, შავი ზღვისპირა ტომებსა და სხვა.

თავიანთ ლაშქრობათა დროს ასურელებს არასოდეს არ მიუღწევიათ ასე შორეული ჩრდილოეთისათვის, ამ დროს, ე.წ. „შუა ასურულ“ ხანაში, ასურეთის მეფეები წარმატებით ომობდნენ აგრეთვე ჩრდილოეთ სირიასა და ფინიკიაში, ბაბილონში, მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებში.

ინტენსიური შეტევითი ომები დიდ სამხედრო ძალას მოითხოვდა. ამას თან მოჰყვა ასურელების ჩამოყალიბება მხედართა საზოგადოებებად.

კრიზისის პერიოდი

ძვ. წ. XI საუკუნიდან დაიწყო ასურეთის დასუსტება. ეს გამოიწვია დასავლეთიდან არამეული ტომების თავდასხმამ, რომელთა თარეში ასურელთა მიწა-წყალზე თითქმის ორი საუკუნე გრძელდებოდა. ასურეთის მეფეთა რეზიდენცია ასურიდან გადაიტანეს ჯერ **ქალხუში**, შემდეგ **დურ-შარუქინში**, ბოლოს **ნინევიაში.**

ძვ.წ. IX საუკუნეში დაიბრუნა ძველი ძლიერება. **ასურნასირფალის** და **სალმანასარ III-ის** მეფობის დროს მოეწყო რამდენიმე წარმატებული ლაშქრობა ჩრდილოეთით, ნაირის ქვეყნებისა და ურარტუს წინააღმდეგ, დასავლეთით ჩრდილოეთ შუამდინარეთსა და სირიაში, აღმოსავლეთით - მიდიაში, სამხრეთით - ბაბილონში.

მაგრამ ძვ.წ. IX საუკუნის ბოლოს ასურეთი კვლავ დასუსტდა და ურარტუს დარტყმებით დაკარგა ადრე დაპყრობილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამას დაემატა ხანგრძლივი სამოქალაქო ომი ქურუმთა, პრივილეგიურ სავაჭრო და სამოხელეო არისტოკრატიასა და სამხედრო არისტოკრატიას შორის.

ახალი აღმავლობის ხანა

ასურეთის კრიზისიდან გამოსვლა უკავშირდება **ტიგლათფილესერ III-ის** (ძვ.წ. 745 - ძვ.წ. 727) სახელს:

- მის დროს ჩატარდა მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმა - შეიქმნა სამეფო მუდმივი ჯარი, რომელსაც სახელმწიფო აიარაღებდა და ინახავდა.

▪ გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა: შემცირდა ადმინისტრაციული ოლქების მოცულობა და შეიზღუდა ოლქების მმართველთა ფუნქციები. თუ ასურეთის უწინდელი მეფეები დამორჩილებულ მოსახლეობას მასობრივად ჟლეტდნენ, ახლა ამ მოსახლეობას სხვა ადგილას ასახლებდნენ და სამეფოს მიმართ ვალდებულ მიწათმოქმედებად აქცევდნენ ხოლმე.

ტიგლათფილესერ III-მ სასტიკად დაამარცხა ურარტუ, დაიპყრო სირია, პალესტინა, ფინიკია, ბაბილონეთი და სხვა. შეიქმნა ასურეთის დიდი იმპერია, რომელიც შემდეგში კიდევ უფრო გაიზარდა.

მეფე **სარგონ II** ებრძოდა ურარტუს და ახალი ტერიტორიები წაართვა. დაასრულა მისი წინამორბედების მიერ დაწყებული საქმე და გაანადგურა ჩრდილოეთის სამეფო - დაიწყო ისრაელის ხალხის მასობრივი დეპორტაცია.

სარგონმა და მისმა მემკვიდრე **სინახერიბმა** (ძვ.წ. 705 - ძვ.წ. 680) გააფართოვეს ასურეთის საზღვრები აღმოსავლეთითაც მიდიისა და ელამის მიმართულებით, **ასარხადონმა** (ძვ.წ. 680-669) კი დაიპყრო ეგვიპტე და ა.შ.

5. ასურეთის დასუსტება და განადგურება

ძვ.წ. VII საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო დიდი შინაგანი და საგარეო გართულებები, გამწვავდა ბრძოლა ქვეყნის სამხედრო არისტოკრატიასა და ქურუმობას შორის.

ასურეთმა მძიმე ბრძოლები გადაიხადა ჩრდილოეთიდან შემოსულ სკვითებთან და კიმერიელებთან.

მეფე **ასურბანიფალს** (ძვ.წ. 669 - ძვ.წ. 633) დიდი ბრძოლა მოუხდა ამბოხებულ ბაბილონთან. ასურეთს ამ დროს ჩამოსცილდა ეგვიპტეც.

ძვ.წ. 605 წელს გაძლიერებული მიდიისა და ბაბილონეთის კოალიციამ სკვითების დახმარებით ბოლო მოუღო ასურეთის სახელმწიფოს. მისი ტერიტორია გამარჯვებული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. თვით ასურელები თანდათანობით არამეულ მოსახლეობაში გაითქვიფნენ და თავიანთი ეთნიკური ინდივიდუალობა დაკარგეს.

თავი V
ხეთები

1. ზოგადი ცნობები

ხეთების სამეფო, ხათი - ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო მცირე აზიაში. ის შედიოდა იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომელთაც ისტორიკოსთა ნაწილი „სამხედრო სახელმწიფოებს“ უწოდებს, რადგან ის მუდმივად ომებს აწარმოებდა.

არსებობის პერიოდი: დაახლ. ძვ.წ. 1800-1180 წწ.

დედაქალაქი: ხათუსა.

წარმომავლობა: ხეთები ინდოევროპული წარმოშობის ხალხი იყო. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ხათები (პროტოხეთები) და ქასქები ენათესავებოდნენ კავკასიურ, მათ შორის ქართულ ტომებს.

ენა: ხეთური

2. სახელმწიფოს ჩამოყალიბება

ძვ.წ. II ათასწლეულში მცირე აზიაში რამდენიმე დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფო არსებობდა, რომელთაც მეფეები მართავდნენ. მეფის უფლებამოსილება შეზღუდული იყო დიდებულთა კრების მიერ.

ამ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის გამორჩეულად ძლიერები იყვნენ: **ქანესი, ქუსარა, ხათი, ცალფა** და სხვა. ისინი მუდმივად ექიშპებოდნენ ერთმანეთს.

ძვ.წ. XVIII საუკუნის შუა წლებში ამ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის დაწინაურდა ქუსარა, რომლის მმართველმა **ანითამ** დანარჩენი ქალაქ სახელმწიფოების დამორჩილება მოახერხა და ერთ-ერთი ადრინდელი ხეთური გაერთიანებული სახელმწიფო შექმნა.

▪ ანითამ დაიპყრო ხათების (პროტოხეთების) ქვეყანა და მიწასთან გაასწორა მათი სატახტო ქალაქი **ხათუსა**. მოგვიანებით ხეთებმა ეს ქალაქი აღადგინეს და ის თავის დედაქალაქად აქციეს.

3. ხეთების დაპყრობითი ომები

ხეთების სამეფო მარბიელ ლაშქრობებს აწყობდა სირიასა და შუამდინარეთში.

ხეთების მეფე **ლაბარნამ** (ძვ.წ. 1680-1650 წწ.) დაიპყრო ჩრდილოეთი სირია და შორეული ბაბილონი. იგი ეგვიპტეშიც შეიჭრა. ხეთების სამეფო შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე გადაიჭიმა.

▪ ხეთთა საბრძოლო წარმატებები დიდად განაპირობა მათი ჯარის კარგმა ორგანიზებამ და ცხენებშებმული საბრძოლო ეტლისა და რკინის იარაღის გამოყენებამ.

ხეთების ლაშქრობები გრძელდებოდა შემდეგ პერიოდშიც.

▪ ძვ.წ. 1531 წელს მეფე **მურსილის** ლაშქრობამ ბაბილონში ბოლო მოუღო ხამურაბის დინასტიას.

ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში ხეთების სამეფო ძლიერების მწვერვალს აღწევს და იმდროინდელი მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა რიგში ექცევა. ხეთების განსაკუთრებულად ძლიერდებიან სუფილულიუმას დროს:

▪ **სუფილულიუმა I-მა** (ძვ.წ. 1370-1330 ან 1344-1322 წწ.) მითანის ძლიერ სამეფო დაამარცხა და მის ტახტზე სასურველ კანდიდატი დასვა.

▪ მან დაიმორჩილა **ხაიასას სამეფო** და მის ტახტზე თავისთვის სასურველ პრეტენდენტი - **ხუკანა** დასვა და მას საკუთარი და მიათხოვა ცოლად.

სუფილულიუმა დაუპირისპირდა ეგვიპტეს ჩრდილო სირიაზე ბატონობისათვის ბრძოლაში. ეს ბრძოლა მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს. ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და საბოლოდ ის ძვ.წ. 1274 წელს **ქადეშის ბრძოლითა** და საზავო ხელშეკრულებით დასრულდა.

ქადეშის ბრძოლაში ხეთებს მეფე **მუვათალი** სარდლობდა, რომელიც შეტაკების დროს დაიჭრა და მალევე გარდაიცვალა. ტახტისათვის ბრძოლაში მისმა ძმამ - **ხათუსილი III-მ** იმარჯვა, რომელმაც ეგვიპტესთან დაზავების გზა აირჩია:

▪ მან ზავი გააფორმა ეგვიპტესთან და ფარაონ რამზეს II-ს თავისი ქალიშვილი მიათხოვა ცოლად.

4. ხეთების სამეფოს განადგურება

ხათუსილი III-ს მმართველობის შემდეგ ხეთების სამეფოს დაქვეითება იწყება. ეს რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული:

▪ ხეთებს აღმოსავლეთიდან ასურეთი უტევდა, რომელიც დაქვეითების შემდეგ კვლავ იკრებდა ძალებს და რეგიონში ჰეგემონობაზე აცხადებდა პრეტენზიას;

▪ ქვეყანაში მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა ტახტისათვის, რაც ძლიერ ასუსტებდა სამეფოს;

▪ გახშირდა **„ზღვის ხალხებისა“** და **ქასქების** შემოსევები, რომელთა მოგერიება შინაომებით დასუსტებულ ხეთების სამეფოს აღარ შეეძლო.

საბოლოოდ, ძვ.წ. 1200 წელს ხეთების სამეფო ამ შემოსევებს ემსხვერპლა - ხეთების იმპერია დაეცა და რამდენიმე პატარა სამეფოდ დაიშალა.

5. ხეთების მითოლოგია და რელიგია

ხეთების მითოლოგიური წარმოდგენების უმრავლესობა ხათების (პროტოხეთების) მემკვიდრეობას წარმოადგენს, ხოლო, უშუალოდ ხეთების მიერ შექმნილი მითები ძველი ინდოევროპული მითოლოგიის შორეულ გამოძახილს წარმოადგენს.

ხეთების სახელმწიფოს „1000 ღვთაების ქვეყანას“ უწოდებდნენ, რაც მათ პანთეონში უამრავი ღმერთისა და ღვთაების არსებობით არის გამოწვეული.

▪ ხეთების მთავარი ღვთაება იყო მზის ქალღმერთი არიანა. მთავარი მდედრობითი ღვთაება მცირეაზიური **„დიდი დედის“** ერთგვარ განსახიერებას წარმოადგენდა.

▪ ხეთები თაყვანს სცემდნენ ჭექა-ქუხილის ღმერთ **თარხუნთს** (იგივე **ტეშუბი**) - მამაკაცის იერის ღვთაებას, რომელსაც ხელში ნაჯახი და ელვა უპყრია.

▪ ხეთების რელიგიურ წარმოდგენებში ფიგურირებს წარღვნისა და მეორედმოსვლის ელემენტი.

თავი VI
ურარტუ

1. ზოგადი ცნობები

▪ **ურარტუ** - ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო, რომელიც არსებობდა ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში.

▪ მდებარეობდა ვანის ტბის მიდამოებში (დღევანდელი თურქეთისა და სომხეთის ტერიტორიაზე).

▪ დედაქალაქი - **ტუშფა**.

▪ ენა - ურარტული.

▪ ურარტუ ამ ქვეყნის ასურული სახელწოდებაა, თავად ურარტუელები საკუთარ ქვეყანას **„ბიაინილს“** უწოდებდნენ.

2. სახელმწიფოს ჩამოყალიბება

მითანის სამეფოს არსებობის ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეული) ურარტუელები მის შემადგენლობაში შედიოდნენ, მისი დაცემის შემდეგ კი (ძვ.წ. XIII საუკუნე) დამოუკიდებლობას მიაღწიეს.

ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებში ურარტუს ხშირად ესხმოდნენ თავს ასურელებიო, რამაც ამ თავდასხმათა გაძლიერებამ ბიძგი მისცა ურარტუელთა დიდი გაერთიანების - ურარტუს სამეფოს შექმნას, რომლის პირველ მეფედ **არამე** სახელდება.

არამეს მემკვიდრე სარდური I (ძვ.წ.844 -828 წწ.) განაგრძობდა ასურელებთან ბრძოლას და დიდი სააღმშენებლო სამუშაოები ჩაატარა დედაქალაქ ტუშფაში. მასვე განეკუთვნება ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი, ჯერ კიდევ ასურულ ენაზე შედგენილი, წარწერები. მისი მემკვიდრის, **იშფუინის** წარწერები უკვე ურარტულ ენაზე აქვს შედგენილი.

3. სახელმწიფოს გაძლიერება და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

ძვ.წ. IX საუკუნის დასასრულსა და VIII საუკუნის I ნახევარში ურარტუ უკვე ძლიერი სახელმწიფოა. ამ დროს მეფობდნენ:

▪ **მენუა** (ძვ.წ.810 -786 წწ.)

▪ **არგიშთი I** (ძვ.წ.786 -764 წწ.)

▪ **სარდურ II** (ძვ.წ.764 -735 წწ.).

არგიშთი I და სარდურ II აქტიურად იპყრობენ სამხრეთ კავკასიის ნაწილს, მათ შორის ქართული ტომებით დასახლებულ მიწებსაც. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს სარდურ II-მ ხელში აიღო **კოლხას** სამეფო ქალაქი **ილდამუშა.**

ურარტუს მუდმივი დაპირისპირება ჰქონდა ასურეთის იმპერიასთან, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა:

▪ თავიდან ურარტუმ ისარგებლა ასურეთის დასუსტებით და მნიშვნელოვანი ტერიტორია წაართვა ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ სირიაში.

▪ შემდგომში ასურეთი გაძლიერდა და ძვ.წ. 735 წელს მეფე **ტიგლათფილესერ III-მ** დაამარცხა სარდურ II და წაართვა მნიშვნელოვანი ტერიტორიები.

▪ ძვ.წ. 714 წელს კი **სარგონ II-მ** დაამარცხა ურარტუს მეფე **რუსა I** და გადაწვა მათი საკულტო ქალაქი **მუსასირი**.

მიუხედავად ასურეთთან მარცხისა და დიდი ტერიტორიული დანაკარგისა, ურარტუ კიდევ დიდ ხანს ინარჩუნებდა რეგიონში ანგარიშგასაწევი ძალის სტატუსს. თუმცა, ის ხელს იღებს შორეულ დაპყრობით ლაშქრობებზე და ცდილობს უკვე მოპოვებულის შენარჩუნებას.

4. ურარტუს დასუსტება და განადგურება

ურარტუს სამეფო ძლიერ დაასუსტა ძვ. წ. VIII ს.-ში ჩრდილოეთიდან მომთაბარე ტომების: სკვითებისა და კიმერიელების შემოსევამ.

ძვ.წ. VII საუკუნეში გაძლიერებული **მიდიის სამეფოსგან** მომდინარე საფრთხის გამო ურარტუ და ასურეთი ცდილობდნენ დაახლოებას - ამ მიზნით ასურეთის სამეფო კარს არაერთხელ ეწვივნენ ურარტუს მეფის ელჩები. მიუხედავად ამისა, საფრთხის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა:

▪ ძვ.წ. 605 წელს მიდიისა და ბაბილონის კოალიციამ კიმერიელების დახმარებით ასურეთი გაანადგურა.

▪ მიდიელები მეთოდურად ანადგურებდნენ ურარტუს სიმაგრეებს და დაახლოებით ძვ.წ. 590 წელს, ბოლო მოუღეს ურარტუსაც. ურარტუს უკანასკნელი მეფე იყო **რუსა IV**.

5. ურარტუს საზოგადოება, ეკონომიკა და კულტურა

ურარტუს ძლიერების ხანაში წარმატებული ომების შედეგად ქვეყანაში თავი მოიყარა დიდძალმა ნადავლმა, მოჰყავდათ ტყვე-მონებიც, რომელთაც სამხედრო სამსახურსაც აკისრებდნენ, ზოგს კი უფრო მძიმე სამუშაოზე იყენებდნენ.

მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ძირითად მასას მაინც რიგითი თავისუფლები - მეთემეები და დამოკიდებული მიწათმოქმედები შეადგენდნენ.

ურარტუში ფართო სამეურნეო საქმიანობა იყო გაშლილი. არსებობდა მარცვლეულისა და ღვინის საწყობების აგების შესახებ, სადაც გროვდებოდა ხარკი და გადასახადები. ასეთი ნაგებობები იქმნებოდა ურარტუს ციხესიმაგრეებთან.

პრივილეგირებული წოდების უმაღლეს ფენას სამეფო გვარი წარმოადგენდა. დიდი ძალა ჰქონდათ სახელმწიფოში ცალკეული ოლქების მმართველებსაც.

ურარტუმ შექმნა საკმაოდ მაღალგანვითარებული კულტურა. ჩვენამდე მოაღწია მათ მიერ კლდეში გამოკვეთილ ნაგებობათა კომპლექსებმა და კლდეში გაყვანილმა ზოგიერთმა არხმა. მიკვლეულია, მათ მიერ აგებული ციხესიმაგრეების, ტაძრებისა და სასახლეების ნაშთები. არგიშთისა და მისი მემკვიდრის მმართველობის დროს არარატის ველზე ააგეს ციხესიმაგრეები, აშენდა ქალაქი ერებუნი (თანამედროვე ქალაქი ერევანი).

ურარტუში წერდნენ ქვაზე, ლითონზე, თიხაზე ასურელებისაგან შეთვისებული ლურს-მული დამწერლობით.

თავი VII
დიაოხი და კოლხა

დიაოხი

1. ასპარეზზე გამოჩენა. ომი ასურეთთან

ძვ.წ XIII საუკუნეში რეგიონში ორი უძლიერესი სახელმწიფო განადგურდა - **ხეთების იმპერია** და **მითანის** სამეფო.

„ზღვის ხალხების“ მიერ ხეთების განადგურების შემდეგ ყოფილი იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე დამკვიდრდნენ **მუშქები** - ძველი ქართული ტომების - მესხების წინაპრები.

ამავე დროს ასპარეზზე გამოდი **დაიაენი** - ქართული ტომების გაერთიანება, რომელსაც ურარტულ წყაროებში „დიაოხად“ იწოდებოდა, ხოლო ბერძნულ წყაროებში აქ მცხოვრებ ხალხს „ტაოხებს“ უწოდებდნენ.

ძვ.წ. 1112 წელს, მას შემდეგ, რაც ასურეთის მეფე **ტიგლათფილესერ I-მა** გაანადგურა მითანის სამეფო, დაიწყო შეტევა ჩრდილოეთის მიმართულებით ქართველურ ტომთა გაერთიანება დაიაენის წინააღმდეგ. მას დაუპირისპირდა დიაოხის მეფე სიენი, რომელსაც 60 „მეფის“ ლაშქარი ეხმარებოდა. ბრძოლაში ასურელებმა იმარჯვეს და მეფე სიენი აშურში წაიყვანეს.

2. ომი ურარტუსთან. დიაოხის განადგურება.

ტიგლათფილესერ I-ის გარდაცვალების შემდეგ ასურეთი კნინდება - მას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ურარტუ, რომელიც ამ პერიოდში ძლიერდება.

სარგებლობს რა ასურეთის დასუსტებით, დიაოხი და ძალებს იკრებს. თუმცა, ამჯერად მას ურარტუს ძლიერი სახელმწიფო უპირისპირდება - ურარტუს მეფე **მენუამ** (ძვ.წ. 819-786 წწ.) ილაშქრა დიაოხი და დაატყვევა მისი მეფე **უტუფურსი**.

ურატუელთა ლაშქრობები მენუას მემკვიდრემ, მეფე **არგიშთი I-მა** (ძვ.წ. 786-764 წწ.) გააგრძელა, რის შედეგადაც დიაოხმა ქვეყნის სამხრეთი ნაწილი დაკარგა. ამ ტერიტორიაზე ურატუელებმა ციხესიმაგრეები ააგეს.

შემოსევებისგან დასუსტებული დიაოხი ძვ.წ. VIII საუკუნეში წყვეტს არსებობას, რაშიც თავის წვლილი შეიტანა დიაოხის ჩრდილოეთით მდებარე კიდევ ერთმა ქართულმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ - კოლხამ.

კოლხა

1. სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფორმირება

კოლხეთი და კოლხები მოხსენიებული არიან ძვ.წ. XIV საუკუნიდან მიკენურ და XII საუკუნის ასურულ ტექსტებში.

რეგიონში ათეულობით მცირე ტომის გაერთიანდა და ჩამოყალიბდე ტომთა მტკიცე კავშირი - ეს აუცილებელი იყო დამპყრობლებთან ბრძოლისათვის.

თანდათანობით იცვლებოდა კოლხურ ტომთა სოციალ-ეკონომიკური პირობები და შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობები - ხდებოდა გვაროვნული არისტოკრატიის გაბატონება და ძლიერი სახელმწიფოებრივი ელემენტების გაჩენა.

რკინის სამრეწველო წარმოებამ დააჩქარა საზოგადოების განვითარება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება:

- შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მიმდებარე ტერიტორია მდიდარი იყო რკინის საბადოებით, რაც მეტალურგიის განვითარებას უწყობდა ხელს.
- აქ მცხოვრებ ქართული ტომი **ხალიბები** რკინის დამუშავების კარგი ოსტატები იყვნენ - მათ საკუთარი პროდუქცია წინა აზიაში გაჰქონდათ და მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდნენ იქაურ კულტურულ ცენტრებთან. ეს ხელს უწყობდა განვითარების დაჩქარებას.

2. კოლხეთის სამეფო

თანდათანობით კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართულმა ტომებმა ძვ.წ. XI-IX საუკუნეებში ჩამოაყალიბეს მაღალკულტურული და ძლიერი სახელმწიფო - კოლხეთის სამეფო. სამეფოს დედაქალაქი იყო **ილდამუშა**.

ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში კოლხეთი საკუთარ გავლენას ავრცელებს მთელ დასავლეთ საქართველოზე, ის ალიანსს კრავს ურარტუსთან, ანადგურებს დიაოხს და იერთებს მისი ტერიტორიების ჩრდილოეთ ნაწილს.

შემდგომში კი უკვე ურარტუ უპირისპირდება კოლხას: ძვ.წ. VIII საუკუნის შუა წლებში ურარტუს მეფე **სარდურ II-მ** ორჯერ ილაშქრა კოლხეთის სამეფოში, დაიპყრო სამეფო ქალაქი ილდამუშა.

ამ ლაშქრობამ დაასუსტა კოლხეთის სამეფო, რასაც დაერთო ჩრდილო კავკასიელი მეომარი ტომების - კიმერიელების, შემდეგ კი კასპიისპირეთიდან შემოსული სკვითების თავდასხმები.

მას შემდეგ, რაც ძვ.წ. 590 წელს მიდიამ გაანადგურა ურარტუ, ამ ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთით გადასახლდა და ქართულ ტომებს შეერია. ქართულ ენასა და ფოლკლორში აღმოჩენილი ურარტული კვალი. მაგ. მოსავლიანობის ღვთაება არალეს სახელი ქართულ სამეურნეო სიმღერებში და სხვა.

თავიVIII
აქემენიანთა ირანი

1. ზოგადი ინფორმაცია

- არსებობის პერიოდი: ძვ.წ.558 – ძვ.წ. 330 წწ.
- დინასტიის დამაარსებელი: **კიროს დიდი**
- დედაქალაქი: **პერსეპოლისი.**
- **აპადანა** - აქემენიანთა სამეფო სასახლე.
- ოფიციალური საქმისწარმოების ენა: **არამეული**

2. სახელმწიფოს დაარსება

ძვ.წ. VII საუკუნეში სპარსელები შედიოდნენ ირანული ტომების მიერ შექმნილი სახელმწიფოს - მიდიის შემადგენლობაში, რომელსაც ხარკს უხდიდნენ.

აქემენის შთამომავალმა კიროსმა გააერთიანა სპარსელების ტომი და ძვ.წ. 553 წელს აჯანყდა მიდიის მეფე ასტიაგეს წინააღმდეგ. აჯანყება ძვ.წ. 550 წელს მიდიის დამხობითა და ახალი იმპერიის ჩამოყალიბებით დასრულდა.

3. კიროს დიდის მმართველობა

კიროსმა დაიწყო აქტიური საგარეო პოლიტიკის გადატარება და მოკლე ხანში იმპერიას უდიდესი ტერიტორიები დაუმორჩილა:

- მან მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიკავა **პართია** და **ჰირკანია** - მანამდე მიდიის შემადგენლობაში მყოფი ირანული ოლქები.
- ძვ.წ. 547-546 წლებში კიროსმა მცირე აზიისკენ ილაშქრა. მას მიემხრო მცირე აზიის ერთ-ერთი სამეფო - **კილიკია** და სამხედრო დახმარებაც კი შესთავაზა. ამის გამო კიროსს არასდროს გაუგზავნია კილიკიაში სპარსელი მმართველები, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ.
- შემდეგ სპარსელები მიადგნენ **ლიდიის** ძლიერ სამეფოს, რომლის მფარველობის ქვეშ იყვნენ სანაპიროზე მდებარე ბერძნული ქალაქებიც. ბერძნებმა კიროსს უარი უთხრეს ლიდიის წინააღმდეგ დახმარებაზე, თუმცა, მან მათი დახმარების გარეშეც შეძლო მიდიის დამარცხება და მის მმართველად სპარსელი მოხელე დანიშნა.
- ამის შემდეგ კიროსი მცირე აზიის ბერძნული ქალაქებისკენ გაემართა. ბერძნებმა მას ელჩები გაუგზავნეს, თუმცა, ამჯერად კიროსმა უთხრა უარი შეწყალებაზე - ბერძნული ქალაქების ნაწილი სპარსელებს საკუთარი ნება-სურვილით დამორჩილდა, ნაწილი კი ბრძოლის შედეგად დაიპყრეს.

ბაბილონის დამორჩილება და შემდგომი ლაშქრობები

ძვ.წ. 539 წელს კიროსი ბაბილონს მიადგა და ის უბრძოლველად დაიკავა - ადგილობრივებისათვის ის მხსნელად იქცა, რომელმაც ბაბილონის ხალხი უსამართლო მეფის ბატონობისაგან იხსნა.

კიროსი ბაბილონის მოსახლეობას მშვიდობას და ხელშეუხებლობას შეჰპირდა. ამასთან ერთად, მან საკუთარ სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა ყველა ხალხს, რომლებიც იძულებით იყვნენ გადმოსახლებული შუამდინარეთში.

კიროსმა შექმნა **„რელიგიური ავტონომიის“** შემოღების პირველი ნიმუში კაცობრიობის ისტორიაში - იმპერიის ფარგლებში დაშვებული იყო აღმსარებლობის თავისუფლება. უფრო მეტიც, კიროსმა, გარდა იმისა, რომ ებრაელებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა, ხაზინიდან თანხაც კი გამოუყო იერუსალიმის ტაძრის აღსადგენად. ამის გამო ის მოხსენებულია ბიბლიაში და ებრაელები მას დღემდე დიდ პატივს მიაგებენ.

ბაბილონის დამორჩილების შემდეგ დასავლეთით მდებარე ქვეყნები - სირია, პალესტინა და ფინიკია ეგვიპტის საზღვრამდე სპარსელებს დაექვემდებარა.

ძვ.წ. 530 წელს მან შუა აზიაში **მასაგეტების** წინააღმდეგ ილაშქრა, მაგრამ მდინარე ამუდარიის სანაპიროზე მომთაბარეებთან ბრძოლაში დაიღუპა.

4. კამბისეს მმართველობა

ძვ. წ. 530 წელს ირანის ტახტზე ავიდა კიროსის მემკვიდრე **კამბისე (კამბიზი)**. მან ეგვიპტეზე გაილაშქრა.

ძვ.წ. 525 წელს ეგვიპტელთა არმია სპარსელებთან ბრძოლაში დამარცხდა და ეგვიპტეც აქემენიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. კამბიზმა ფარაონის ტიტული მიიღო და ეგვიპტის მეფედ ყველა წესის დაცვით ეკურთხა.

კამბიზი მამის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო, ამიტომ ეგვიპტელებს რელიგიურ და პირად ცხოვრებაში თავისუფლება შეუნარჩუნა, სახელმწიფო აპარატშიც ეგვიპტელი მოხელეები მუშაობდნენ.

ძვ.წ. 522 წელს სპარსეთში აჯანყება დაიწყო და კამბიზიც სამშობლოსკენ გაეშურა, თუმცა გზაში შეთქმულებმა მოკლეს.

5. დარიოსი I-ის მმართველობა

კიროსის დაღუპვის შემდეგ ტახტზე ავიდა **დარიოს I** (ძვ. წ. 522-486). მმართველობის დასაწყისში დარიოსს იმპერიაში აჯანყებების ჩაქრობა მოუხდა, რასაც თითქმის ორი წელიწადი დასჭირდა. ქვეყანაში წესრიგის დამყარების შემდეგ ის რეფორმების განხორციელებას შეუდგა.

სახელმწიფო-ადმინისტრაციული რეფორმა

- დარიოსმა სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად - 20 სატრაპიად დაყო, რომელთა საზღვრები, როგორც წესი, ემთხვეოდა დაპყრობილი ქვეყნების სახელმწიფო

და ეთნიკური განსახლების საზღვრებს. იმპერიის XVIII და XIX სატრაპიებში ქართველური ტომები-სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები და მარები შედიოდნენ.

▪ იმპერიის ტერიტორიაზე დაშვებული იყო ზოგიერთი ერთეულისათვის ავტონომიის და თვითმმართველობის სტატუსის მინიჭებაც. მაგალითად, ასეთი სტატუსით სარგებლობდნენ ფინიკიური ქალაქები და ბერძნული ქალაქების ნაწილი. მათ საშინაო საქმეებში სპარსელები არ ერეოდნენ.

▪ სატრაპიის სათავეში მეფის მოხელეები - **სატრაპები** იდგნენ. ადრე ძირითადად სატრაპები ადგილობრივი წარჩინებულებიდან ინიშნებოდნენ, დარიოსის რეფორმის შედეგად კი სატრაპებად ძირითადად სპარსელებს ნიშნავდნენ. მათ ადგილებზე უმაღლესი სამოქალაქო და სასამართლო ხელისუფლება ჰქონდათ, კრებდნენ გადასახადებს.

▪ სატრაპები და მხედართმთავრები უშუალოდ დამოკიდებული იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებაზე, მათ მუდმივად ამოწმებდა საიდუმლო პოლიცია.

▪ რეფორმის შედეგად შეიქმნა დიდი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სამეფო კანცელარიიდან იმართებოდა. მეფის რეზიდენცია **პერსეპოლისში** იყო, მაგრამ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ცენტრს **ქ. სუზა** წარმოადგენდა.

▪ ყველა სახელმწიფო მოხელე ემორჩილებოდა **ხაზარაპეტს** - უმაღლეს ვეზირს. მასვე ემო-რჩილებოდა მეფის პირადი გვარდია - **„ათი ათასი უკვდავიც“**

ეკონომიკური რეფორმა

▪ იმპერიაში შემოღებული იქნა ფულის საერთო ერთეული - ოქროს **„დარიკი“** , ასევე იჭრებოდა ვერცხლის „სიკლი“.ამასთან, „დარიკის“ მოჭრა მხოლოდ მეფეს შეეძლო, „სიკლს“ კი სატრაპიებშიც ჭრიდნენ.

▪ ვაჭრობის და კომუნიკაციის განსავითარებლად დარიოსმა მოაწესრიგა გზები, შექმნა მუდმივი საფოსტო სადგურები, რომლებიც ინფორმაციის სწრაფი გავრცელების საშუალებას იძლეოდა და იმპერიის თვით ყველაზე შორეული პროვინციებიც კი აღარ რჩებოდა იზოლაციაში.

▪ მკაცრად იყო დადგენილი სატრაპიებში მოსახლეობის შემადგენლობა და გადასახადები. თავად სპარსელები გადასახადებისგან გათავისუფლებული იყვნენ. ისინი სახელმწიფო აპარატში, მეფის „უკვდავთა გვარდიასა“ და არმიაში მსახურობდნენ. სპარსული არისტოკრატიის წარმომადგენლები მსხვილი მიწათმფლობელებიც იყვნენ და საკუთარი მიწებიდან შემოსული შემოსავლებით ცხოვრობდნენ.

6. ქსერქსე I-ის მმართველობა

დარიოს I-ის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში მისი მემკვიდრე **ქსერქსე I** (ძვ. წ. 486-465 წ.) ჩაუდგა. საგარეო პოლიტიკაში მან აქემენიანთა ტრადიციული კურსი გააგრძელა.

დარიოსის დროს დაიწყო და შემდეგ ქსერქსეს მეფობისას გაგრძელდა ირანელებისა და ბერძნების დაპირისპირება, რომელიც ისტორიაში ბერძნულ - სპარსული ომების სახელითაა ცნობილი.

ქსერქსეს მმართველობის დროს შემოღებული იქნა ირანელთა საერთო რელიგია - **ზოროასტრიზმი** გამოაცხადა. მან აკრძალა იმპერიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ადგილობრივი ღვთაებები და კულტები და აჰურამაზდას სავალდებულო თაყვანისცემა დააწესა.

7. სახელმწიფოს დასუსტება და განადგურება

ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისში იმპერიაში თავი იჩინა შინააშლილობამ, სატრაპებს შორის ომები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მეფის ძალაუფლება დაკნინდა.

ძვ.წ. 410–408 წლებში აჯანყდნენ მცირე აზიის და მიდიის ხალხები, ხოლო, ძვ. წ. 405 წელს იმპერიას რამდენიმე ათწლეულით ჩამოშორდა ეგვიპტე.

არტაქსერქსე III-მ სასტიკი ზომებით ცოტა ხნით აღადგინა იმპერიის ერთიანობა და დაიბრუნა ეგვიპტე, თუმცა ძველი ძლიერების დაბრუნება ვეღარ მოხერხდა.

ქვეყანა პოზიციებს ინარჩუნებდა დარიოს III-ის მმართველობის დროსაც, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის გაძლიერებამ აქემენიანთა იმპერია უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა.

საბოლოოდ ძვ.წ. 334–330 წლებში ალექსანდრე მაკედონელმა ირანი დაიპყრო, რის შემდეგაც მან არსებობა შეწყვიტა.

კარი II

ძველი საბერძნეთი, ძველი რომი და საქართველო

თავი I

სპარტა

1. ზოგადი ცნობები

სპარტა - ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი) საბერძნეთის სამხრეთ ნაწილში, პელოპონესის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქში, ლაკონიკეში.

- არსებობის პერიოდი: ძვ. წ. XI საუკუნე - 146 წ.
- წარმომავლობა: დორიელების ძველბერძნული ტომი.
- ენა: ძველბერძნული ენა, დორიული დიალექტი
- რელიგია: პოლითეიზმი

2. სახელმწიფოს ჩამოყალიბება

სპარტა შეიქმნა ძვ.წ. XIIსაუკუნეში დორიელების მიერ პელოპონესის დიდი ნაწილის დაპყრობის შედეგად. მცირერიცხოვანმა დორიელებმა ადგილობრივ მოსახლეობას თავს მოახვიეს საკუთარი მმართველობა და სამხედრო ელიტად იქცნენ

ძვ.წ. IX საუკუნეში სპარტა, როგორც ცალკეული სახელმწიფო გამოდის ასპარეზზე. სპარტელებს საკუთარი მიწები არ ჰყოფნიდათ, რის გამოც მეზობელ ხალხებს ესხმოდნენ თავს:

- ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში სპარტამ ორი ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის გადა-იტანა, რომლის შედეგადაც მან დაიმორჩილა **მესენია**. ამან სპარტა საბერძნეთის ყველაზე დიდი პოლისად აქცია.

3. ლიკურგეს რეფორმები სპარტაში

ლიკურგეს სახელს უკავშირებენ სპარტაში ახალი საზოგადოებრივი წყობის შექმნას, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე რამდენიმე საუკუნე იარსება.

ლიკურგეს რეფორმების შედეგად სამხედრო დემოკრატია გადააქცია ოლიგარქიულ მონათმფლობელურ რესპუბლიკად, რომელიც ინარჩუნებდა თემური წყობილების ნიშნებს:

- ყოველ სპარტელს თანაბრად დაუნაწილდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ასევე ლაკონიისა და მესენიის მიწები დროებით მფლობელობაში;
- სპარტელთა თანასწორობა უზრუნველყოფილი იყო სხვა ზომებითაც: მკაცრად იქნა რეგლამენტირებული ცხოვრების ყველა სფერო, შეზღუდული იყო ფულის გამოყენება, სამეურნეო საქმიანობა და საგარეო კონტაქტები. ასეთი რეგლამენტაციის პირობებში აზრს კარგავდა ქონების დაგროვებისაკენ ლტოლვა.
- ძირითადი აქცენტი კეთდებოდა იდეალური მებრძოლის წვრთნასა და აღზრდაზე - ამ მიზანს ექვემდებარებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო.

4. სპარტას სახელმწიფო სისტემა.

სპარტას სათავეში ორი მეფე (ბასილევსი) იდგა, რომლებიც სარდლის, მოსამართლისა და ქურუმის ფუნქციებს ასრულებდნენ.

რეალური ხელისუფლება **5 ეფორისაგა**ნ შემდგარი კოლეგიას ეკუთვნოდა, რომელიც ახორციელებდა კანონების აღსრულებაზე კონტროლს.

ეფორები:

- ასრულებდნენ მოსამართლის ფუნქციებს სამოქალაქო საქმეებზე;
- მეთვალყურეობას უწევდნენ თანამმართველი მეფეების საქმიანობას და, საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მეფის დაპატიმრებაც კი შეეძლოთ;
- ასრულებდნენ საკრალურ ფუნქციებს: აკვირდებოდნენ ნიშნებს და ამის საფუძველზე შეეძლოთ მეფის გადაყენების, ომის შეწყვეტის ან ნებისმიერი სხვა საკითხის დაყენება.

უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდა უხუცესთა საბჭო - **გერუსია** და სახალხო კრებას - **აპელა**. გერუსია შედგებოდა სიცოცხლის ბოლომდე არჩეული 28 უხუცესის - ჰერონტისაგან.

სახალხო კრება ანუ აპელა:

▪ იკრიბებოდა ყოველთვიურად;

▪ ევალებოდა უხუცესთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცება ან უარყოფა;

▪ სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა სპარტას ნებისმიერ მოქალაქეს 30 წლის ასაკიდან;

▪ კრებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ყვირილით: რომელ კანდიდატსაც უფრო ხმამაღლა დაუყვირებდნენ, არჩეულად ის ითვლებოდა.

5. სპარტას საზოგადოება

სპარტას საზოგადოება რამდენიმე ფენისგან შედგებოდა, რომელთაც განსხვავებული პოლიტიკური და პირადი უფლებები გააჩნდათ:

▪ **ჰილოტები** - მოსახლეობის უდიდესი ფენა, ფლობდნენ გარდამავალ უფლებრივ მდგომარეობას მონასა და ყმას შორის, ისინი მიწის მუშები იყვნენ.

▪ **პერიეკები** - პირადად თავისუფალნი იყვნენ, ფლობდნენ მიწის ნაკვეთს და უნდა ემსახურათ მძიმედ შეიარაღებულ ქვეით ჯარში, თუმცა, მათ პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ. შეეძლოთ დაკავებულიყვნენ ხელოსნობითა და ვაჭრობით.

▪ **„თანასწორები“** - თავისუფალი მოქალაქეები. ყველა მათგანი თანაბარი სიდიდის მიწას ფლობდა და თანაბარი უფლებებით სარგებლობდა.

ათენისაგან განსხვავებით, სპარტაში ქალებს მეტი პატივით ეპყრობოდნენ და ისინი ზოგიერთი პოლიტიკური უფლებითაც სარგებლობდნენ.

სპარტელები უფრთხოდნენ უცხოელთა გავლენას:

▪ აკრძალული იყო საგარეო ვაჭრობა. გარკვეულ პერიოდში სპარტაში ფულიც კი არ იჭრებოდა.

▪ იკრძალებოდა უცხოელის სპარტაში ცხოვრება, ხოლო სპარტელებს ეკრძალებოდათ სხვა ქვეყანაში ცხოვრება.

თავი II
ათენი

1. ზოგადი ცნობები

▪ **ათენი** - ძველბერძნული ქალაქ-სახელმწიფო საბერძნეთის ისტორიულ ოლქ ატიკაში

▪ **არსებობის პერიოდი:** ძვ.წ. II ათასწლეული - ძვ.წ. 146 წ.

▪ **რელიგია:** პოლითეიზმი

▪ **ენა**: ძველბერძნული

▪ **მმართველობის ფორმა:** ტირანია, პირდაპირი დემოკრატია

▪ **ოგიგი** - ათენის პირველი ლეგენდარული მეფე.

▪ **კოდროსი** - ათენის უკანასკნელი მეფე.

2. ქალაქ-სახელმწიფოს ჩამოყალიბება

ათენელები თვლიდნენ, რომ მათი ქალაქი ლეგენდარულმა მეფემ, კეკროპმა დააარსა.

ათენი ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში დაარსდა. აკროპოლისის მიდამოები ძვ.წ. XVI ს-იდან იყო დასახლებული. ათენი გადაურჩა დორიელთა შემოსევას და ბერძნული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრად იქცა.

ძვ.წ. V საუკუნიდან ათენი სპარტასთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საბერძნეთისა და მთლიანად ძველი მსოფლიოს ისტორიაში.

3. ათენის მმართველობის სისტემა

თავდაპირველად ათენში ძალაუფლებას არისტოკრატია ფლობდა. პოლისს სათავეში **ბასილევსი**, ანუ მეფე ედგა. ძვ.წ. VII საუკუნიდან ათენში საზოგადოებრივი ურთიერთობების შეიცვალა, რამაც ასახვა პოვა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში - მეფობა გაუქმდა და ჩამოყალიბდა პირდაპირი დემოკრატიის ტიპის მმართველობა.

მეფობის გაუქმების შემდეგ უმაღლესი თანამდებობის პირები **არქონტები** გახდნენ, რომელთაც თავიდან უვადოდ ირჩეოდნენ, შემდეგ კი 1 წლის ვადით.

სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდა უხუცესთა საბჭოს ანალოგი მმართველობის კოლეგიური ორგანო **არეოპაგი**. ამ ორგანოს წევრებად, როგორც წესი, ყოფილი არქონტები ინიშნებოდნენ.

არეოპაგი:

- ზედამხედველობას უწევდა კანონების აღსრულებას და ასრულებდა სასამართლოს ფუნქციას ზოგიერთ საქმეებში;
- ირჩევდა არქონტებს.

უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო იყო **არქონტთა საბჭო**, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 9 არქონტი (ძვ.წ. VII საუკუნის შუა პერიოდიდან). საბჭოში რანგები და ფუნქციები მკაცრად იყო განაწილებული არქონტებს შორის:

- **ეპონიმი** - ეწოდებოდა პირველ არქონტს, რომლის სახელსაც არქმევდნენ მმართველობის წელიწადს. იგი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური;
- **ბასილევსი** - მეორე არქონტი, რომელიც განაგებდა რელიგიურ და საკულტო საქმეებს;
- **პოლემარქი** - მესამე არქონტი, ასრულებდა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციას;

თესმოფეტები ათენში განაგებდნენ სამართლის საკითხებს.

4. კილონის აჯანყება და დრაკონის კანონები.

ძვ.წ. 640 წელს ოლიმპიური თამაშების დროს ათენელმა არისტოკრატმა **კილონმა** თავის მომხრეებთან ერთად სცადა გადატრიალების მოწყობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ათენელები წინ აღუდგნენ უზურპატორს, დაამარცხეს ის და სასტიკად გაუსწორდნენ მის მომხრეებს. თავად კილონმა თავს გაქცევით უშველა.

ამ ფაქტმა ათენელებს უბიძგა ტირანიის დამყარების თავიდან აცილების მიზნით საგანგებო მექანიზმები შეემუშავებინათ.

ამ მოვლენის პირდაპირ გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ ძვ.წ. 621 წელს პირველი წერილობითი კანონების შექმნა, რომელიც **„დრაკონის კანონების“** სახელით არის ცნობილი.

წერილობითი კანონების შემოღების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ათენის არისტოკრატიისა (ევპატრიდების) და მოსამართლეების მიერ ზეპირი კანონების მიკერძოებული ინტერპრეტაცია, რაც უამრავ გაუგებრობას და წინააღმდეგობას აჩენდა.

„დრაკონის კანონები“ საკმაოდ მკაცრი იყო - სისხლის სამართლის დანაშაულთა უმრავლესობისათვის დადგენილი იყო სიკვდილით დასჯა, თუმცა, მან მაინც მიაღწია შედეგს - შეიზღუდა წარჩინებულ მოსამართლეთა თვითნებობა.

5. „შვიდი ბრძენი“

დაწერილი კანონების მიღებამ ათენის მოქალაქეებს გაუჩინა აზრი, რომ კანონები არ არის ღმერთის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ნორმა და ის შეიძლება შეიცვალოს. ამან, თავის მხრივ, წარმოშვა ფიქრი სამართლის პრინციპებზე, სამყაროსა და საზოგადოების კანონზომიერებებზე.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ დროს ბერძნებმა საკუთარ წინამძღოლებად აირჩიეს იმ დროის ყველაზე გონიერი ადამიანები, ე.წ. „შვიდი ბრძენი“, რომელთაც შეეძლოთ ამ კანონზომიერებათა ღრმა წვდომა, სამართლიანი კანონმდებლობის შემუშავება და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღება.

„შვიდი ბრძენი“

- სოლონი ათენიდან
- თალეს მილეტელი
- პერიანდროსი - კორინთოს ტირანი
- ქილონ სპარტელი
- პიტაკოს მიტელინელი
- ბიას პრიენელი
- კლეობულოს ლინდოსელი.

6. სოლონის რეფორმები

სოლონი არქონტ-ეპონიმად აირჩიეს ძვ.წ. 594 წელს. ამ ერთი წლის განმავლობაში მან მრავალი რეფორმის განხორციელება შეძლო. მისი რეფორმების შედეგად:

- დაამკვიდრა თავისუფალი ადამიანის ანუ მოქალაქის ცნება;
- გაძლიერდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი;
- მნიშვნელოვნად შეზღუდა მიწათმფლობელი არისტოკრატიის უფლებები, დააწესა რა საკუთრებაში მიწის ფლობის ზღვრული ნორმა;
- ვალები ჩამოეწერათ მოქალაქეებს და აიკრძალა ვალის გამო მათი მონად გაყიდვა (სეისახთეია);
- სხვა ქალაქებში მცხოვრებ ხელოსნებს უფლება მიენიჭათ, დასახლებულიყვნენ ათენში;

სოლონმა მოქალაქეები დაყო 4 კატეგორიად ქონებრივი ნიშნით და თითოეული ფენისათვის დაადგინა უფლება-მოვალეობები:

- **პენტაკოსიომედიმნები** - პირველი (უმაღლესი) კატეგორია. მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება, არჩეულიყვნენ არქონტად ან ხაზინადრად;
- **ჰიპეები** - მეორე კატეგორია, „მხედართა ფენა“;
- **ზევგიტები** - მესამე კატეგორია, შეეძლოთ ემსახურათ მძიმედშეიარაღებულ ქვეით ჯარში (ჰოპლიტებად);
- **ფეტაები** - მეოთხე, უმდაბლესი სოციალური კატეგორია; ჰქონდათ სახალხო კრებებსა და ნაფიც მსაჯულთა სხდომებში მონაწილეობის უფლება.

სოლონი ცდილობდა ხელოსნების ფენის მხარდაჭერას: მან გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით ხელოსნის შვილი, რომელსაც მშობელი არ ასწავლიდა ხელობას, თავისუფლდებოდა სიბერეში მშობლის მოვლის ვალდებულებისაგან.

სოლონი ზრუნავდა წარმოებაზე - მან აკრძალა ათენიდან ხორბლის გატანა და ხელს უწყობდა ზეთისხილის წარმოების განვითარებას.

სოლონმა განახორციელა **ფულის რეფორმა**: ეგინური ფულის ერთეული შეიცვალა ევბეური ფულით, რამაც გაამარტივა ათენის ვაჭრობა უშუალოდ ევბეასთან, კორინთოსთან და მცირე აზიასთან;

სოლონის დროს:

- სახალხო კრებას **ეკლესია** ეწოდებოდა და ის სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა. გაიზარდა მისი ფუნქციები და როლი.
- **ბულე** („ოთხასის საბჭო“) კი წყვეტდა სახალხო კრებებს შორის პერიოდში მიმდინარე საკითხებს;

7. კლისთენეს რეფორმები

კლისთენე იყო ათენელი რეფორმატორი, რომლის სახელსაც უკავშირდება ძვ. წ. 509 წელი განხორციელებული რეფორმები. მისი ძალისხმევით ათენში დემოკრატიის საბოლოო დამკვიდრება.

მის რეფორმების შედეგად:

- გააუქმა ათენის მოქალაქეთა დაყოფა ქონების მიხედვით;
- დაამკვიდრა **ოსტრაკისმოსის (**ხატოვნად „ნატეხთა სასამართლო“) - სახელმწიფოსათვის პოტენციურად საშიში პირების ქალაქიდან გაძევების პრაქტიკა კრებაზე ხმის მიცემის გზით;

კლისთენემ გაატარა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა:

- ატიკა დაყო ტერიტორიულ ოლქებად - 10 ფილედ. **დემი** იყო უმცირესი ადმი-ნისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული;
- „ოთხასთა საბჭო“ აქცია „ხუთასთა საბჭოდ“, რომელიც დაიყო სექციებად.

8. პერიკლეს რეფორმები

პერიკლე იყი ათენის სტრატეგოსი 15 წლის განმავლობაში. მას ეკუთვნის გამონათქვამი: „ჩვენ ვქმნით დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ არა დროის მცირე მონაკვეთისათვის“.

ამ ათენელი რეფორმატორის სახელს უკავშირდება ათენის დემოკრატიის საბოლოო ფორმით ჩამოყალიბება. მის დროს გათანაბრდა მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები **(ისონომია)**, შემოღებულ იქნა პოლისის ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, შესაბამისად, შეიცვალა ბულეს შემადგენლობა და ფორმირების პრინციპები.

პერიკლეს რეფორმების შედეგები:

▪ **სახალხო კრება (ეკლესია)** წყვეტდა ათენის პოლიტიკის, ფინანსების, ომის და ზავის საკითხებს, უსმენდა უცხოელ ელჩებს. კრებაზე ყველა ათენელს შეეძლო ნებისმიერი, თუნდაც ყოფითი საკითხის წამოჭრა. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა ღია კენჭისყრით, გამონაკლისი - ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის არჩევა);

▪ **ხუთასთა საბჭო-ბულე** ამზადებდა სახალხო კრებაზე (ეკლესიაზე) განსახილველ კანონის პროექტებს, ის განიხილავდა თანამდებობის პირთა საქმეებსაც;

▪ ეკლესია სახელმწიფო მოხელეებს ირჩევდა 1 წლის ვადით. ამასთან, მოხელეს არ ჰქონდა უფლება ზედიზედ ორჯერ დაეკავებინა ერთი და იგივე თანამდებობა (გარდა სტრატეგოსისა);

▪ სტრატეგოსები და მოლარეები ირჩეოდნენ ღია კენჭისყრით, სხვები კი ფარულით;

▪ დაწესდა ხელფასი თანამდებობისათვის და სხდომებში მონაწილეობისათვის;

▪ ათენის მდიდარ მოქალაქეებს უნდა დაეფარათ წლის განმავლობაში ერთი საბრძოლო ხომალდის აღჭურვის ან თეატრალური წარმოდგენის ხარჯები;

▪ სასამართლოს, ანუ ნაფიცთა საბჭოს მთელი ათენი ირჩევდა. სასამართლოებში შეიქმნა ანტიკორუფციული მექანიზმი - წინასწარ აღარ იყო ცნობილი თუ რომელი მოსამართლე განსჯიდა კონკრეტულ საქმეს, რაც გამორიცხავდა მასთან წინასწარი კორუფციულ შეთანხმების შესაძლებლობას.

ათენის მოქალაქეობა პერიკლეს დროს

ძვ.წ. 451 წელს პერიკლემ შემოიღო კანონი სახელწოდებით **„წმინდა მოქალაქეობა“** , რომლითაც განისაზღვრა ათენის მოქალაქის ცნება და დადგინდა ვინ შეიძლება ყოფილიყო ათენის მოქალაქე:

▪ მოქალაქედ ითვლებოდა ყველა ათენელი მამაკაცი, ვისაც მამა ათენელი ჰყავდა, ხოლო, დედა, ასევე ათენის მოქალაქის შვილი;

▪ ბავშვის მამობის აღიარება მისი დაბადებისთანავე უნდა მომხდარიყო, რომ მას მოქალაქეობა მიეღო;

▪ ათენის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო ბრძოლაში გამოჩენილი ლაჩრობა, ვალების გადაუხდელობა, ქურდობა, ღმერთების უპატივცემულობა.

▪ მამაკაცს აუცილებლად უნდა გაევლო სამხედრო სამსახური, რომლის დასრულების შემდეგ მას მსხვერპლი უნდა შეეწირა ატიკის ღმერთებისათვის და მხოლოდ შემდეგ ხდებოდა სრულფასოვანი მოქალაქე. მამაკაცი სამხედრო ვალდებულად ითვლებოდა 49 წლის ასაკამდე.

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, 400 000 ათენელიდან მოქალაქედ მხოლოდ 40 000 ითვლებოდა. ათენში მცხოვრები უცხოელი თავისუფალი მოქალაქეებიც ცხოვრობდნენ, რომელთაც **მეტოიკები** ეწოდებოდათ.

9. ძველი ათენის დემოკრატიის ატრიბუტები

▪ **აქსონი** - მის ფიცრებზე კვეთდნენ კანონებს მოქალაქეთათვის გასაცნობად;

▪ **კლეფსიდრა** - მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც აკონტროლებდნენ დროის რეგლამენტს სახალხო კრების მსვლელობისას;

▪ **ოსტრაკონი** - თიხის ფირფიტა, რომელზედაც წერდნენ ქალაქიდან გასაძევებელი პირის სახელს;

▪ **პინაკია** - ათენელის პირადობის დამადასტურებელი ბრინჯაოს ფირფიტა იყო, რომე ზედაც ეწერა მისი, მამამისისა და შესაბამისი თემის სახელი. ეს ფირფიტა ნაფიც მსაჯულთა არჩევნებში მონაწილეობისთვის იყო საჭირო.

▪ **კლეროტერიონი** - ეს მოწყობილობა სასამართლოს წევრების ასარჩევად იყო განკუთვნილი. მასში პინაკიებს დებდნენ მონაწილეობის მსურველები, ხოლო არჩეულთა ვინაობას თეთრი და შავი ბურთულების დახმარებით განსაზღვრავდნენ: ირჩევდნენ იმას, ვინც მეტ თეთრ ბურთულას მიიღებდა.

თავი III
ბერძნული კოლონიზაცია

1. კოლონიზაციის მიზეზები

„სტენოხორია“ - მდგომარეობას, როდესაც ჭარბი მოსახლეობის გამო პოლისს აღარ აქვს შესაძლებლობა, გამოკვებოს და დაასაქმოს მოქალაქეები. სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი ათენში მოსახლეობის სიჭარბესთან ერთად, კოლონიზაციის გამომწვევი მიზეზი იყო აგრეთვე საშინაო კონფლიქტები და სამოქალაქო ომები.

კოლონიზაციას ხელს უწყობდა განვითარებული ზღვაოსნობა, რაც შესაძლებელს ხდიდა შორ ქვეყნებში მოგზაურობას.

2. კოლონიის დაარსება

კოლონიის შესაქმნელად ქალაქის კრებას წარედგინებოდა პროექტი, რომლის დამტკიცების შემდეგ არისტოკრატთა საბჭო ამტკიცებდა კოლონიის შექმნის პირობებს და განსაზღვრავდა, ვინ უნდა წასულიყო იქ. საბჭო ირჩევდა ექსპედიციის ხელმძღვანელს, რომელსაც **ოიკისტი** ეწოდებოდა.

რელიგიური ტრადიციის თანახმად, ათენელები **დელფოსის ორაკულს** მიმართავდნენ რჩევისათვის კოლონიის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრავდა საორიენტაციო გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, სადაც უნდა გაშენებულიყო კოლონია.

დასახლების ადგილის შერჩევისას შემდეგ პირობებს ითვალისწინებდნენ:

- ქალაქი ზღვით ადვილად უნდა ყოფილიყო მისადგომი;
- ქალაქის დაცვა იოლი უნდა ყოფილიყო;
- ახალი დასახლება ნაყოფიერი მიწებით უნდა ყოფილიყო გარშემორტყმული;
- ქალაქს მუდმივად უნდა ჰქონოდა სასმელი წყალი.

კოლონია ყველანაირ კავშირს წყვეტდა მეტროპოლიასთან და დამოუკიდებლად ვითარდებოდა. ზოგჯერ კი თავის მეტროპოლიებს უპირისპირდებოდნენ (მაგ.კორინთოსთან ომში ჩაება მისი ძველი კოლონია - კორკირა).

კოლონისტს ეკრძალებოდა სამშობლოში უკან დაბრუნება და პოლისიც არანაირად არ ეხმარებოდა ახალშენებს.

3. ბერძნული კოლონიები

ძვ.წ. V საუკუნიდან მიმდინარეობდა ბერძენთა ინტენსიური კოლონიზაცია სამხრეთ იტა-ლია და კუნძული სიცილიაზე, რის გამოც ამ ტერიტორიებს **„დიდი საბერძნეთსაც“** უწოდებდნენ.

იტალიის შემდეგ კოლონიზაციის ძირითადი მიმართულება იყო ჩრდილოეთ ესპანეთი და სამხრეთ საფრანგეთი.

დასაწყისში კოლონიები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე გაჩნდა. ბერძნებმა აქ დააარსეს კერასუნტი, კოტიორა, ტრაპეზუნტი. ძვ.წ. VI საუკუნეში ბერძნული ახალშენები გაჩნდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოლხეთის ტერიტორიაზე:

- **დიოსკურია** - მილეტელების მიერ დაარსებული უძველესი ბერძნული კოლონია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში;
- **ფაზისი, გიენოსი, დიდი პიტიუნტი** - ბერძნების მიერ დაარსებული კოლონია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში;
- **პანტიკაპეიონი, ოლვია, ხერსონესი** - ბერძნების მიერ ჩრდილო შავისზღვისპირეთში დაარსებული კოლონიები;

კოლონიები მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევდნენ თავს სირთულეებს - ზოგიერთ მათგანს უწევდა გადარჩენისათვის ბრძოლა მტრულ გარემოში, ადგილობრივი მოსახლეობის მუდმივი შემოტევების პირობებში, სხვები კი ახერხებდნენ დიდი სიმდიდრის დაგროვებას. ამის მაგალითია კოლონია სიბარისი, რომელმაც გაითქვა სახელი თავისი სიმდიდრით, რაც მითების თემადაც იქცა.

ძვ.წ. VI საუკუნის განმავლობაში ბერძნული კოლონიზაციის პროცესი შესუსტდა, კოლონიური ექსპანსიის საბოლოოდ შეწყვეტა კი გამოიწვია ეტრუსკების, კართაგენისა და სპარსეთის იმპერიის გაძლიერებამ.

თავი IV
ბერძენ-სპარსელთა ომები

1. ირანის ექსპანსია და ბერძნული პოლისების აჯანყება

ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან აქემენიანთა ირანმა თავისი ექსპანსია მცირე აზიაში გაავრცელა:

▪ დარიოს I-მა დაიპყრო ეგვიპტე, ეგეოსის ზღვის კუნძულები, თავის მხარეზე გადაიბირა ფინიკიელი ვაჭრები.

ამან ბერძნული პოლისები ეკონომიკურ მარწუხებში მოაქცია. თვით პოლისების შიგნით დასუსტებული და გავლენაშერყეული არისტოკრატია სპარსელებს უჭერდა მხარს.

ძვ.წ. 499-493 წლებში მცირე აზიის ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები აჯანყდნენ **აქემენიანთა სპარსეთის წინააღმდეგ:**

▪ აჯანყების ცენტრი იყო ქალაქი **მილეტი**.

▪ ბერძნული პოლისებიდან აჯანყებულებს მხოლოდ ათენი და ერეთრია დაეხმარნენ.

▪ აჯანყება იონელების მარცხით დასრულდა, რისი მიზეზიც იყო ბერძნულ პოლისებს შორის გათიშულობა.

2. დარიოსის ლაშქრობები ბერძნული პოლისების წინააღმდეგ

დარიოს I ხვდებოდა, რომ დიდი ბერძნული პოლისების დამარცხების გარეშე ხმელთაშუა ზღვაში ჰეგემონობას ვერ მოიპოვებდა.

ძვ.წ. 492 წელს დარიოს პირველად გაილაშქრა ათენის, პლატეასა და ერეთრიის წინააღმდეგ. ექსპედიცია წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ზღვაზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა სპარსელთა ფლოტი თითქმის სრულად გაანადგურა.

ორი წლის შემდეგ, ძვ.წ. 490 წელს დარიოსმა **მეორე ექსპედიცია** მოაწყო. ამჯერად სპარსელთა არმია შეუფერხებლად გადავიდა ბერძნულ მიწაზე.

გადამწყვეტი ბრძოლა **მარათონის ველზე** გაიმართა:

▪ ათენისა და პლატეას კოალიციურმა ძალებმა სასტიკი მარცხი აწვნიეს სპარსელებს;

▪ **მილტიადე** - ბერძნების სარდალი მარათონის ბრძოლაში;

▪ **ფილიპიდესი** - ბერძენი მებრძოლი, რომელმაც ათენამდე 42 კილომეტრი ირბინა და თანაქალაქელებს მარათონის ბრძოლაში გამარჯვება ახარა;

ამ გამარჯვებამ ბერძნებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა, თუმცა, ცხადი იყო, რომ სპარსელები აუცილებლად შეეცდებოდნენ რევანშის აღებას.

3. ქსერქსე I-ის ლაშქრობა საბერძნეთში

დარიოსის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ დაწყებული საქმე მისმა ვაჟმა, **ქსერქსემ** ითავა. მან რამდენიმე წელი მოანდომა ქვეყნის შიგნით შექმნილი პრობლემების მოგვარებას, შემდეგ კი შეუდგა ახალი ექსპედიციის სამზადისს.

ბერძნებმა თადარიგი დაიჭირეს და ათენის ერთ-ერთი თავკაცის, **თემისთოკლეს** ინიციატივით დაიწყეს სამხედრო ფლოტის მშენებლობა, რამაც გადაწყვიტა კიდეც მომავალი ომის ბედი.

ძვ.წ. 480 წელს ქსერქსეს უზარმაზარი არმია საბერძნეთში შემოიჭრა. ბერძენთა შორის არ იყო თანხმობა ბრძოლის გეგმასთან დაკავშირებით:

▪ სპარტას არ უნდოდა ლაშქრის შორს გაგზავნა და მხოლოდ პელოპონესის დაცვას აპირებდა;

▪ ათენსა და სხვა ქალაქებს ერჩიათ მტერს რაც შეიძლება შორს, საკუთარი ქალაქებიდან მოშორებით დახვედროდნენ.

ბრძოლის ადგილად **თერმოპილეს კარიბჭე** შეირჩა. თავიდან გამოთქმული თანხმობის მიუხედავად, სპარტელთაგან მხოლოდ მეფე ლეონიდასმა შეასრულა სიტყვა და გაეშურა დათქმულ ადგილზე მტრის დასახვედრად.

▪ **თერმოპილეს ბრძოლა** რამდენიმე დღე გრძელდებოდა - მეფე ლეონიდასმა და მისმა მცირერიცხოვანმა რაზმმა საკუთარი სიცოცხლის ფასად შეძლო მტრის შეყოვნება, რითაც ბერძნებს ძვირფასი დრო მისცა მოსამზადებლად.

თერმოპილეს ბრძოლის შემდეგ სპარსელებმა შუა საბერძნეთში შეაღწიეს და ათენიც აიღეს.

თემისტოკლეს რჩევით, ათენელებმა საკუთარი ფლოტი უსაფრთხო ადგილას გადამალეს, მოსახლეობა კი ქალაქიდან გახიზნეს.ბერძნებმა მოახერხეს სპარსელთა ფლოტის შეტყუება წყალმარჩხ ყურეში, სადაც დიდ სპარსულ ხომალდებს უჭირდათ მანევრირება.

ძვ.წ. 480 წლის 28 სექტემბერს მოხდა ბრძოლა კუნძულ **სალამინთან**:

▪ **ევრიბიადე** - სპარტელი სარდალი, ხელმძღვანელობდა ბერძნებს სალამინის ბრძოლაში;

▪ **მარდონიოსი** - სპარსელთა სარდალი ამ ბრძოლაში.

▪ მომცრო და სწრაფმა ბერძნულმა ხომალდებმა პირწმინდად გაანადგურეს სპარსელების ფლოტი.

დამარცხებული ქსერქსე უკან დაბრუნდა, თუმცა, მომდევნო წელს მარდონიოსი კვლავ შეიჭრა შუა საბერძნეთში და კვლავ აიღო ათენი.

ძვ.წ. 479 წელს გაიმართა **პლატეას ბრძოლა**, რომელშიც ქსერქსეს არმიას სპარტელები დაუპირისპირდნენ.

▪ პავსანია - სპარტელი სარდალი პლატეას ბრძოლაში.

▪ შედეგი: პლატეასთან სპარსელები დამარცხდნენ ზღვაშიც და ხმელეთზეც, მარდონიოსი უკიქცა.

4. ბერძენ-სპარსელთა ომების შედეგები

▪ ბერძნებმა დაამარცხეს სპარსელები და განდევნეს საბერძნეთიდან;

▪ ათენმა მოიპოვა უპირობო ჰეგემონობა ბერძნულ პოლისებს შორის და საერთაშორისო ასპარეზზეც.

თავი V
პელოპონესის ომი

1. „საზღვაო კავშირის“ შექმნა.

ძვ.წ. 478 წელს შეიქმნა პირველი „საზღვაო კავშირი“ ათენის მეთაურობით. მას **„დელოსის კავშირს“** და **„დელოსის სიმახიასაც“** უწოდებდნენ.

▪ მიზანი: ოფიციალურად კავშირი შეიქმნა სპარსელების შესაძლო აგრესიისაგან ერთობლივი ძალებით თავდაცვის მიზნით, თუმცა, ის სხვა ბერძნულ პოლისებზე ათენის გავლენის გავრცელებასაც ისახავდა მიზნად.

თავიდან კავშირის ხაზინა კუნძულ **დელოსზე** მდებარეობდა. კავშირის შექმნით ათენმა მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო: ის სხვა მცირე პოლისებთან აფორმებდა სარფიან ხელშეკრულებებს, რომელიც გემების მშენებლობას და ეკიპაჟით დაკომპლექტებას ითვალისწინებდა, შემოსულ შემოსავალს კი საკუთარი საჭიროებებისათვის იყენებდა.

ძვ.წ. 454 წ. - „საზღვაო კავშირის“ ხაზინა კუნძულ დელოსიდან ათენში გადავიდა, რამაც ათენი აქცია იმპერიულ ცენტრად სხვა პოლისებთან მიმართებაში.

ამავდროულად არსებობდა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მეორე გაერთიანებაც - პელოპონესის კავშირი, რომლის სათავეში სპარტა იდგა. მასში პელოპონესის ნახევარკუნძულზე არსებული თითქმის ყველა პოლისი იყო გაერთიანებული არგოსისა და ნაწილობრივ აქაიას გარდა.

▪ პელოპონესის კავშირის წევრი პოლისების აბსოლუტურ უმრავლესობაში მონარქიულილი მმართველობა იყო დამყარებული.

2. ურთიერთობების დაძაბვა სპარტასა და ათენს შორის. „პელოპონესის მცირე ომი“.

ძვ.წ. 465 წელს სპარტაში ჰელოტების აჯანყებამ იფეთქა. ათენმა სპარტელთაგან ლტოლვილი ჰელოტები ჩაასახლა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქ **ნავპაქტოსში**, რამაც სპარტელების გაღიზიანება გამოიწვია.

მალე ათენი გამოვიდა სპარტასთან სამოკავშირეო შეთანხმებიდან და ალიანსი შეკრა სპარტას მტერ არგოსთან.

ძვ.წ. 459 წელს დაიწყო ე.წ. „პელოპონესის მცირე ომი“, რამაც ატიკის მიღმა კონტინენტური სამფლობელოების (მათ შორის, მეგარას და ბეოტიის) სპარტელთა გავლენის ქვეშ მოქცევა გამოიწვია.

▪ ძვ.წ. 446 წ. - გაფორმდა **ოცდაათწლიანი ზავი** სპარტასა და ათენს შორის, რამაც კონფლიქტი დროებით შეწყვიტა.

3. დიდი ომის დასაწყისი, „არქიდამოსის ომი“

პელოპონესის ომი იყო ძველი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი სამხედრო კონფლიქტი. ომი მიმდინარეობდა ძვ.წ. 431-404 წლებში.

მიზეზები:

▪ ათენის ჩარევა ბერძნული პოლისების - კორკირასა და კორინთოსის კონფლიქტში;

▪ ათენის მიერ პოტიდეასა და მეგარას მიმართ სანქციების გამოყენება, რომელიც კორინთოსის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

კორინთელებმა დასახმარებლად სპარტას მიმართეს. ძვ.წ.432 წელს შეიკრიბა პელოპონესის კავშირის კრება, რომელზედაც გადაწყდა ათენისათვის ომის გამოცხადების საკითხი.

„არქიდამოსის ომი“ - ამ სახელით არის ცნობილი პელოპონესის ომის საწყისი ეტაპი, რომელიც ძვ.წ. 431-421 წლებში მიმდინარეობდა.

▪ ომის სახელწოდება უკავშირდება სპარტის მეფე **არქიდამოსის** სახელს.

ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა: ათენელები ზღვით ესხმოდნენ თავს მოწინააღმდეგეს, სპარტა კი ცდილობდა სახმელეთო ბრძოლაში მოეპოვებინა უპირატესობა.

კონფლიქტი დროებით შეწყდა ძვ.წ. 430 წ. ათენში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიის გამო, რომელსაც მრავალი ათენელი, მათ შორის ათენელი სტრატეგოსი **პერიკლე** და მისი ვაჟებიც იმსხვერპლა. ეპიდემიამ სპარტელებიც შეაშინა და ისინი ათენს გაეცალნენ.

„არქიდამოსის ომის“ ერთ-ერთი კულმინაცია იყო ძვ.წ. 425 წელს ქალაქ **პილოსთან** გამართული ბრძოლა

▪ **შედეგი:** ათენელებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს, სპარტა იძულებული გახდა, ზავი შეეთავაზებინა ათენისთვის. თუმცა, ათენელებმა ვერ გამოიყენეს უპირატესობა - არასათანადოდ შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობები და შემდგომ სამხედრო ოპერაციებში დაუშვეს უხეში სტრატეგიული შეცდომები.

ძვ.წ. 425 წელს **ამფიპოლისისთვის ბრძოლაში** სპარტელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება - ამფიპოლისი დაეცა. ათენელებს ვერ უშველა ამფიპოლის დასაცავად მივლენილმა სარდალმა **თუკიდიდემ**.

▪ ამფიპოლისის ბრძოლაში დაეცნენ ათენისა და სპარტას „ომის პარტიის“ ლიდერები - **კლეონი** და **ბრასიდასი**. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მხარეთა შორის მოლაპარაკებების დაწყებას: ძვ.წ. 421 წელს გაფორმდა ნიკიასის ზავი, რომელმაც დაასრულა პელოპონესის ომის პირველი ეტაპი.

4. ომის განახლება

ხანმოკლე მშვიდობის შემდეგ კონფლიქტი კვლავ განახლდა.

მიზეზი: ათენის მოკავშირე არგოსი შეეცადა პელოპონესში ჩამოეყალიბებინა დემოკრატიულ პოლისთა კოალიცია, რასაც წინ აღუდგა სპარტა. ათენმა არგოსელთა დასახმარებლად თავისი არმია გაგზავნა ალკიბიადეს სარდლობით.

შედეგი: გადამწყვეტი ბრძოლა ძვ.წ. 418 წელს **მანტინეასთან** გაიმართა. საწყისი უპირატესობის მიუხედავად ათენელები და მათი მოკავშირეები პირწმინდად დამარცხდნენ. შედეგად სპარტამ მოსპო დემოკრატიული კოალიცია და მისი წევრები პელოპონესის კავშირში შეიყვანა.

5. სიცილიის ექსპედიცია

პერიკლეს ნათესავისა და სოკრატეს მოწაფის - ალკიბიადეს ინიციატივით ძვ.წ. 415-413 წელს მოეწყო ათენელთა ექსპედიცია იტალიაში.

მიზანი: მდიდარი სირაკუზის ხელში ჩაგდება და სიცილიაზე გაბატონება, რაც განუზომლად გაზრდიდა მის რესურსებს სპარტასთან დაპირისპირებაში.

საბაბი: სირაკუზელთა მიერ იონური კოლონიების შევიწროება.

ექსპედიციის მიმდინარეობისას ალკიბიადე გაიწვიეს სიცილიიდან - მას ჰბრალდებოდა ათენში ღვთაების ქანდაკებების - ჰერმების შებღალვა. ალკიბიადემ ვერ გაბედა ათენში დაბრუნება და თავშესაფარი სპარტელებს სთხოვა, რომელთაც გაანდო ათენელთა სიციალიური კამპანიის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები.

გადამწყვეტი ბრძოლა ძვ.წ. 413 წელს, ქალაქ **ასინართან** გაიმართა, რომელშიც ათენელთა არმია განადგურდა. მარცხის მთავარი მიზეზი ათენელთა სარდალ **ნიკიასის** გაუბედავი, არათანამიმდევრული მოქმედება და მის მიერ დაშვებული უხეში სტრატეგიულმა შეცდომები იყო. ათენელებს ვერ უშველა დასახმარებლად გაგზავნილმა ფლოტმა **დემოსთენეს** მეთაურობით.

სიცილიის ექსპედიციის შედეგები:

▪ ექსპედიციას შეეწირა ათენის ფლოტის 2/3, დაცარიელდა ხაზინა და შეიქმნა მძიმე კრიზისი;

▪ ძვ.წ. 411 წელს აჯანყდა ათენის დასუსტებით გულმოცემული ქალაქი ქიოსი, რომელსაც მალე სხვა პოლისებიც შეუერთდნენ;

▪ სიცილიაში გამარჯვების შემდეგ სპარტელები შეიჭრნენ ატიკაში და შეიქმნეს სახმელეთო პლაცდარმი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე;

▪ ძვ.წ. 411 წელს ათენმა მთელი იონია დაკარგა.

6. სახელმწიფო გადატრიალება ათენში და ბრძოლის გაგრძელება.

ძვ.წ. 411 წელს არისტოკრატთა ნაწილმა მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება. შედეგად დემოკრატია დაემხო და მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო **„ოთხასთა საბჭომ“.**

ამ ვითარებას არ ეგუებოდა ათენის დემოკრატიული საზოგადოება: ათენელებმა თავის ლიდერად აირჩიეს **თრასიბულე** და დაიწყეს ბრძოლა „ოთხასის საბჭოს“ ოლიგარქიული მმართველობისა და სპარტას წინააღმდეგ.

▪ ძვ.წ. 411 წელს **კინოსემეს კონცხთან** ბრძოლაში ათენელებმა თრასიბულესა და თრასილეს სარდლობით დაამარცხეს სპარსელების მიერ მხარდაჭერილი სპარტელთა ფლოტი;

ძვ.წ. 411-407 წლებში ათენის ფლოტმა კვლავ ათენელთა მხარეს გადასული ალკიბიადეს სარდლობით რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, რამაც უპირატესობა დროებით მათ მხარეს გადახარა.

▪ ძვ.წ. 410 წელს **კიზიკის ბრძოლაში** ათენის ფლოტმა ალკიბიადეს სარდლობით შეძლო სპარტელთა დამარცხება.

ათენელებმა ვერ შეძლეს წარმატების შენარჩუნება და მალე სასწორი კვლავ სპარტელთა მხარეს გადაიხარა:

ძვ.წ. 406 წელს ბრძოლა **ნოტიოსის კონცხთან** გამართულ ბრძოლაში ალკიბიადე დამარცხდა სპარტელი სარდლის, **ლისანდროსის** ფლოტთან, რასაც ალკიბიადეს მიერ სტრატეგოსის თანამდებობის დაკარგვა და ათენიდან თვითგაძევება მოჰყვა.

7. ომის დასკვნითი ეტაპი.

ომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და მისი დასკვნითი ეტაპი სპარტელთა უპირატესობით წარიმართა.

ძვ.წ. 405 წელს **აეგოსპოტამოსთან ბრძოლაში** სპარტელებმა სასტიკად დაამარცხეს ათენის ფლოტი.

ძვ.წ.404 წლის აპრილში სპარტელებმა ალყაში მოაქციეს ათენი. ალყა ხუთი თვე გაგრძელდა და საბოლოოდ ქალაქის კაპიტულაციით დასრულდა.

ძვ.წ.404 წელს გაფორმდა ე.წ. **„თერამენოსის ზავი“** სპარტასა და ათენს შორის, რომელმაც დაასრულა პელოპონესის ომი:

▪ სახელი მომდინარეობს ათენელი სახელმწიფო მოღვაწის - თერამენოსის სახელიდან, ვისი მონაწილეობითაც გაფორმდა საზავო ხელშეკრულება.

▪ ზავის მიხედვით, ათენი აღიარებდა სპარტას ჰეგემონობას და შედიოდა „პელოპონესის კავშირში“.

ომის საბოლოო შედეგები:

ომისაგან გამოფიტულმა სპარტამ მაინც ვერ ისარგებლა მიღწეული წარმატებით - მან ვერ მოახერხა ათენის საბოლოოდ განეიტრალება და ვერ გააერთიანა მთელი საბერძნეთი საკუთარი მმართველობის ქვეშ.

მართალია, ათენში მთელი ძალაუფლება გადავიდა სპარტას მიმართ ლოიალურად განწყობილი ოლიგარქთა კოლეგიის - „ოცდაათის ტირანიის“ ხელში, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა - მალე ათენელებმა გადააგდეს თავსმოხვეული ოლიგარქიული მმართველობა და აღადგინეს დემოკრატია.

თავი VI
ალექსანდრე მაკედონელი. ელინიზმი და ელინისტური სახელმწიფოები

1. ზოგადი ცნობები ალექსანდრე მაკედონელის შესახებ

- სამეფო სახელი: ალექსანდრე III
- დინასტია: არგეადები
- მმართველობის წლები: ძვ.წ. 336-323 წწ.
- მშობლები: მამა- მაკედონიის მეფე ფილიპე II; დედა- ოლიმპიადა ეპირელი.
- მეუღლეები: როქსანა, სტატირა, პარისატიდა.
- აღმზრდელი - არისტოტელე

2. ფილიპე II-ს მმართველობა (ძვ. წ. 359 - 336 წწ)

ფილიპე II-ს მმართველობის დასაწყისში საბერძნეთი დაქუცმაცებული იყო ცალკეულ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოლისებად.

ფილიპემ:

▪ დიპლომატიისა და სამხედრო ძალის გამოყენებით შეძლო მცირე და დიდ პოლისებად დაქუცმაცებული საბერძნეთის გაერთიანება.

▪ შექმნა **„მაკედონური ფალანგა“** - ბრძოლის დროს ქვეით ჯარისკაცთა ურთიერთქმედების ახალი და ეფექტური მოდელი, რომელმაც დიდწილად განაპირობა ალექსანდრე მაკედონელი სამხედრო წარმატება.

▪ ძვ.წ. 336 წელს უარი თქვა მეფობაზე და ტახტზე მისი შვილი **ალექსანდრე** აიყვანა.

3. ალექსანდრე მაკედონელის მიზნები

ალექსანდრემ თავის მიზნად დაისახა **მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა,** რომელიც უნდა დაფუძნებოდა შემდეგ პრინციპებს:

▪ **ენობრივი ერთიანობა**, რაც მომავალ მსოფლიო სახელმწიფოში ბერძნული ენის ოფიციალურ ენად აღიარებას ნიშნავდა;

▪ **კულტურული ერთიანობა,** რაც ბერძნული კულტურული მემკვიდრეობის ფართოდ გავრცელებას და მასთან სხვადასხვა რეგიონების ტრადიციების შეზავებას გულისხმობდა;

▪ **პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობა,** რაც ერთიანი სახელმწიფოსათვის მმართველობის ჩამოყალიბებული სისტემის შექმნას ითვალისწინებდა.

ეს იდეა ალექსანდრეს განასხვავებს ყველა სხვა დიდი დამპყრობლისაგან და გარკვეულწილად დღევანდელი გლობალიზაციის წინამორბედად აქცევს.

ამ მიზნის შესასრულებლად ალექსანდრეს უპირველესი ამოცანა სპარსეთის დაპყრობა იყო.

4. ომი სპარსეთთან

მას შემდეგ, რაც ძვ.წ. 335 წელს ალექსანდრემ თრაკიაში ილაშქრა **ტრიბალების და ილირიელების** აჯანყების ჩახშობის მიზნით, მან მთელი საკუთარი ძალისხმევა სპარსეთის წინააღმდეგ მიმართა.

ის ძვ.წ. 335 წელს შეიჭრა სპარსეთის ბერძნულ ნაწილში, დაიპყრო **კაპადოკია და კილიკია,** შემდეგ კი უშუალოდ სპარსეთს შეუტია:

▪ **ისოსთან ბრძოლა**, ძვ.წ. 333 წ. - სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ და **დარიოს III-მ** თავს გაქცევით უშველა. ბრძოლის შემდეგ ალექსანდრეს ხელში ჩაუვარდა გაქცეული დარიოს III-ს მიერ დატოვებული დიდძალი სიმდიდრე, ასევე მისი ოჯახი.

▪ ზავის სანაცვლოდ დარიოსი სთავაზობდა დიდძალ სიმდიდრეს, უკვე დაკავებული ტერიტორიების დაკანონებას, ასევე, საკუთარი ქალიშვილის - **სტატეირას** ხელს. წინადადება უარყოფილი იქნა - საპასუხოდ დაიკავა ფინიკია და სირია.

ალექსანდრემ თავი შეიკავა სპარსეთის სიღრმეში შეჭრისაგან, რადგან თვლიდა, რომ ჯერ აუცილებელი იყო ზურგის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ამ მიზნით ის თავს დაესხა **ეგვიპტეს** და ძვ.წ. 332-331 წელს დაიპყრო იგი. მან იქ **ქალაქი ალექსანდრია** დააარსა.

შემდეგ ალექსანდრე კვლავ აზიაში დაბრუნდა და თავისი მცირერიცხოვანი არმიით დარიოსს დაუპირისპირდა:

▪ **ბრძოლა გავგამელასთან,** ძვ.წ. 331 წ. - ალექსანდრემ სასტიკად დაამარცხა დარიოს III, რამაც ბოლო მოუღო აქემენიდთა იმპერიას: დარიოსი გაიქცა, თუმცა, დადევნებულმა თავისივე ქვეშევრდომებმა შეიპყრეს და მოკლეს. ალექსანდრემ ის დიდი პატივით დაკრძალა თავისი დაუძინებელი მტერი.

ამ გამარჯვების შემდეგ ბერძნებმა ადვილად დაიმორჩილეს მესოპოტამია, სპარსეთი, მიდია და საკუთარი იმპერიის დედაქალაქი ძველი სამყაროს ცენტრში - ქალაქი **ბაბილონში** გადაიტანა.

ძვ.წ. 329 წელს მან ბრძოლა გააგრძელა ავღანეთსა და შუა აზიაში:

▪ **სოგდიანაში** ალექსანდრემ დაამარცხა სპარსეთის თვითაღიარებული მეფე **არტა-ქსერქსე V,** იგივე **ბესი** - ის ბერძნებმა დაიჭირეს და წამებით მოკლეს.

▪ მაკოდონიელებმა დაიმორჩილეს **ბაქტრია** და მთელი **ავღანეთი** - ამ მხარის დამორჩილება კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ რამდენიმე დამპყრობელმა შეძლო.

5. ლაშქრობა ინდოეთში და უკან დაბრუნება

ძვ.წ. 327 წელს ალექსანდრეს არმია ინდოეთში შეიჭრა:

▪ **პორი** - პენჯაბის რაჯა, რომელმაც გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია ალექსანდრე მაკედონელს ინდოეთის კამპანიის დროს;

▪ ბრძოლა **მდინარე ჰიდასპთან,** ძვ.წ. 327 წ. - ალექსანდრემ დაამარცხა პორი.

▪ ეს იყო ალექსანდრეს **უკანასკნელი დიდი ბრძოლა**: ხანგრძლივმა ლაშქრობამ და ბრძოლებმა უკიდურესად გამოფიტა მისი ლაშქარი - სარდლებსა და ჯარისკაცებში უკმაყოფილება იზრდებოდა და ალექსანდრემ მიიღო ლაშქრობის შეწყვეტისა და უკან გაბრუნების გადაწყვეტილება.

6. ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის დასასრული და შედეგები

ინდოეთიდან ალექსანდრე ჯერ სუსაში დაბრუნდა, სადაც ლაშქრობის დასრულება გრანდიოზული ქორწინებით აღნიშნა:

▪ მან 10 000 თავისი ჯარისკაცი სპარსელ ქალებზე დააქორწინა - ამ ქორწინებით სიმბოლურად სრულდებოდა დაპირისპირება ევროპასა და აზიას შორის.

ალექსანდრე ახალი ლაშქრობებისათვის ემზადებოდა, მაგრამ ძვ.წ. 323 წელს, დედაქალაქ ბაბილონში ყოფნისას ის მოულოდნელად გარდაიცვალა

მისი იმპერია თითქმის მაშინვე დაიშალა - ის დანაწილებულ იქნა ალექსანდრეს სარდლებს **დიადოქოსებს** შორის:

▪ **ანტიგონოსი** - ერგო ფრიგია, ლიკია და პამფილია

▪ **პტოლემაიოსი** - ერგო ეგვიპტე

▪ **ლისიმაქოსი** - ერგო მაკედონია და საბერძნეთი.

ძვ.წ. 323 – 301 წლებში მიმდინარეობდა ბრძოლა **დიადოქოსებს შორის** ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში პირველობის მოსაპოვებლად:

▪ **ბრძოლა იპსუსთან,** ძვ.წ. 301 წ. - გადამწყვეტი ბრძოლა დიადოქოსებს შორის, რომელშიც ანტიგონე მონოფთალმოსი („ცალთვალა“) და მისი ძე დემეტრე პოლიორკეტი დამარცხდნენ მაკედონიის მეფე **კასანდრის** გარშემო შექმნილ კოალიციასთან.

დიადოქოსებს შორის მიმდინარე ბრძოლების შედეგად რამდენიმე ელინისტური სახელმწიფო ჩამოყალიბდა:

▪ **სელევკიდების სახელმწიფო** - წინა აზიაში

▪ **პტოლემაიოსების** - ეგვიპტეში

▪ **ატალიდების სახელმწიფო** - პერგამონში

▪ **ანტიგონიდების** - მაკედონიასა და საბერძნეთში.

7. ელინიზმი და ელინისტური ეპოქა

ტერმინი „ელინიზმი“ დაამკვიდრა გერმანელმა ისტორიკოსმა **იოჰან გუსტავ დროიზენმა**.

ელინისტური ეპოქა მოიცავს ძვ.წ. 323 - ძვ.წ. 31 წლებს, ანუ ალექსანდრეს სიკვდილიდან ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრა VII-ის აღსასრულამდე პერიოდს.

ელინისტური ეპოქის მთავარი მახასიათებლებია:

▪ დიდი სამეფოების არსებობა, რომელთაც ბერძნული და მაკედონური დინასტიები მართავდნენ;

▪ ახლო აღმოსავლეთში საქალაქო ცხოვრების განვითარება.

კოინე - ხელოვნურად შექმნილი ბერძნული ენის ზედიალექტი, რომელიც ბერძნული და აღმოსავლური ენების სინთეზს წარმოადგენდა. ამ ენაზე საუბრობდნენ ელინისტურ სამყაროში.

თავიVII
ქართული სახელმწიფო ელინისტურ ხანაში

1. ქართლის სამეფოს წარმოქმნა

ძველი ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ქართლის სამეფო ელინისტურ ხანაში წარმოიქმნა.

ამ პროცესს რამდენიმე გარემოებამ შეუწყო ხელი:

▪ ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში ჯერ სკვითებისა და კიმერიელების შემოსევებმა, შემდეგ კი მიდიისა და ირანის ძლიერი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ ქართველური ტომები აიძულა, უფრო მშვიდობიანი და უსაფრთხო საცხოვრისი ჩრდილოეთით, მდ. მტკვრის აუზში ეძებნათ. ამ ტომებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართლის სამეფოს შექმნაში.

▪ ძვ.წ. IV საუკუნეში ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა: ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიანთა ირანის იმპერიის განადგურების შემდეგ ქართველური ტომები გათავისუფლდნენ და დამოუკიდებელი განვითარების საშუალება მიეცათ. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლამ კი სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური ერთეულების თავისუფლად წარმოქმნის პირობები შექმნა. მათ შორის იყო ქართლის სამეფოც.

სამხრეთ კავკასიაში წარმოქმნა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც ქართულ წყაროებში არიან-ქართლი (ანუ „ირანის ქართლი“) ეწოდება. არიანქართლის გარდა, არსებობდა სხვა ძლიერი პოლიტიკური ცენტრებიც: ჩრდილოეთით - შიდა ქართლის გაერთიანება (ქალაქ მცხეთის გარშემო), აღმოსავლეთით - ქვემო ქართლის გაერთიანება.

ორი ისტორიული წყარო ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ:

ქართლის სამეფოს შექმნის შესახებ ერთმანეთისგან განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობენ ქართული საისტორიო წყაროები: **„ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“.**

▪ **„ქართლის ცხოვრების“** მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა თავისი სარდალი **აზონი** გამოაგზავნა ქართლის დასაპყრობად, მან მოკლა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი სახლეული გააძევა.

▪ **„მოქცევაი ქართლისაი“** აზონს არა ბერძენ, არამედ ქართველ ხელისუფლად მიიჩნევს. წყაროს მიხედვით, აზომ შემოერთებულ ჩრდილოეთ ქართლში მოიყვანა უამრავი სახელმწიფო მოხელე „არიან-ქართლიდან“, თავისი მამულიდან და ახლად ათვისებულ ტერიტორიაზე დაამკვიდრა. ამით მას ხელისუფლების განმტკიცება სურდა. აზოს ამ საქციელით უკმაყოფილო დარჩნენ ადგილობრივი დიდებულები. ახალმოსულებმა ისინი შეავიწროვეს.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ლეგენდის თანახმად მოკლული მცხეთის მამასახლისის სამარას ძმისშვილი **ფარნავაზი** კოლხეთის (ეგრისის) მმართველ **ქუჯის** დაუკავშირდა და აზონის წინააღმდეგ ომში გაერთიანება შესთავაზა.

▪ დაპირისპირებაში უცხო ძალებიც ჩაერთნენ: აზოს მხარეს დადგნენ პონტოელნი და ბერძნები. ფარნავაზს ჩრდილოკავკასიელნი და სირიის მეფე **ანტიოქესგან** გამოგზავნილი ჯარები ეხმარებოდნენ, მის მხარეზე გადმოვიდა აზოს 1000 მხედარიც.

▪ ფარნავაზმა სამხრეთ საქართველოში, **ჰურთან** (ქაჯთა ქალაქი) დაამარცხა აზონი, მოკლა და ხელახლა, ამჯერად თავისი გვირგვინის ქვეშ გააერთიანა ქვეყანა და თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა.

▪ ამ გამარჯვების შემდეგ ფარნავაზის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზეც ვრცელდებოდა. ეს გავლენა დინასტიური ქორწინებით იყო განმტკიცებული. ფარნავაზმა ცოლად შეირთო დურძუკთა მეფის ასული, ხოლო თავისი და ოვსთა მეფეს მიათხოვა.

2. ფარნავაზის რეფორმები

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა

ფარნავაზმა ქვეყანა დაყო **8 საერისთავოდ**:

- არგვეთი
- კახეთი
- ხუნანი
- სამშვილდე
- წუნდა
- ოძრხე
- კლარჯეთი
- ეგრისი - სამართავად გადაეცა **ქუჯის**.

სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი პროვინცია - **შიდა ქართლი** ცალკე **საპასპეტოს** სახით გამოიყო. **სპასპეტი** მეფის შემდეგ მეორე პირი იყო სამეფოში და ერისთავებიც პირადად მას ემორჩილებოდნენ. ერისთავებს ექვემდებარებოდნენ სპასალარნი და ათასისთავნი, რომელთა მეშვეობითაც იკრიფებოდა „ხარკი სამეუფო და საერისთავო“.

რელიგიური რეფორმა

ფარნავაზმა შემოიღო **არმაზის კულტი:**

▪ კულტში გაერთიანებული იყო რამდენიმე ძველი ადგილობრივი ღვთაების ნიშანთვისებანი. ძველი ქართველები განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაებას, რომელიც აისახა კიდეც არმაზის კულტში.

▪ მეცნიერების ნაწილი თვლის, რომ არმაზის კულტის პროტოტიპი ძველი ხეთური მთვარის ღვთაება უნდა ყოფილიყო (ხეთურად „არმას“ სწორედ მთვარის ღვთაებას ნიშნავდა)

▪ ზოგიერთი მკვლევარი არმაზის კულტში ზოროასტრიზმის მთავარი ღვთაების, **აჰურა მაზდას** ნიშნებსაც ხედავს.

▪ არმაზის კერპი მცხეთის მოპირდაპირე მხარეს – ე.წ. ქართლის მთაზე აღმართეს, სადაც ციხეც გაშენდა და მას არმაზციხე ეწოდა.

▪ არმაზის, როგორც მთავარი ღვთაების კულტის შემოღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახლადჩამოყალიბებულ ქართლის სამეფოში მეფის ძალაუფლებისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის.

ფარნავაზს ლეონტი მროველი ქართლში ერთიან სახელმწიფო ენად ქართულის შემოღებას და ქართული მწიგნობრობის შექმნას მიაწერს.

3. ქართლის სამეფო ფარნავაზის მემკვიდრეების დროს

ქართლის სამეფო ფარნავაზისა და მისი უშუალო მემკვიდრეების – საურმაგისა და მირიან I-ის დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

▪ სამეფოს ფარგლები საკუთრივ ისტორიული ქართლს გარდა მოიცავდა კახეთის დიდ ნაწილს, სამცხეს, ჯავახეთს, კოლა-არტაანს, კლარჯეთს, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს

▪ ქართლის მეფეების კონტროლს ექვემდებარებოდა უმნიშვნელოვანესი გადმოსასვლელები კავკასიონის ქედზე. ამ გადმოსასვლელების გამაგრებით დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს მეზობელი ქვეყნებიც და ამ პოლიტიკურ ფაქტორს ქართლის მმართველები კარგად იყენებდნენ.

ფარნავაზის შემდგომი ქართლის (იბერიის) მეფეები სელევკიანთა სირიის ელინისტური სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობდნენ, მათ შორის სამოკავშირეო ურთიერთობები დამყარდა.

• ძვ.წ. III ს.-ის შუა ხანებიდან დაიწყო სირიის დაქუცმაცების პროცესი. მის ტერიტორიაზე წარმოიშვა ახალი სახელმწიფოები. ძვ. წ. 190 წელს გამართულ მაგნეზიის ბრძოლაში რომის რესპუბლიკამ დაამარცხა სირია და ბოლო მოუღო მის უპირატესობას მცირე აზიაში. ამან კიდევ უფრო დააჩქარა სელევკიანთა იმპერიის ნგრევა.

• სირიის ჩრდილოეთ ნაწილში მეფე ანტიოქეს სარდლებმა **არტაქსიამ და ზარიადრემ** დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და **დიდი არმენიის სამეფო** შექმნეს. დროთა განმავლობაში დიდი არმენია მეზობელი ქვეყნების ხარჯზე გაიზარდა. მათ შორის არმენიის შემადგენლობაში შევიდა ქართლის სამეფოს ტერიტორია.

• ძვ.წ. II-I სს.-ის მიჯნაზე ქართლის სამეფო დიდი არმენიის პოლიტიკურ გავლენაში იმყოფებოდა და კავკასიაში რომაელთა შემოსვლის დროს პონტოსა და არმენიის მეფეების მიერ შექმნილ დიდ ანტირომაულ კოალიციაში შედიოდა.

4. ქართლის სამეფოს საზოგადოებრივი წყობა და პოლიტიკური სისტემა

▪ ქვეყნის სათავეში მეფე იდგა, რომელიც სამეფოს მეფის საგვარეულოს მეშვეობით განაგებდა. ამ საგვარეულოს სეფე გვარი ეწოდებოდა. მეფე ატარებდა „დიდი მეფის“ ტიტულს. მეფის რეზიდენცია **ქ. მცხეთაში** იყო. მეფის მემკვიდრეობით გვარში უფროსზე, ხოლო უფრო გვიან – მამიდან შვილზე გადადიოდა.

▪ ერისთავებად ძირითადად ადგილობრივი დაწინაურებული საგვარეულოების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მათი დამტკიცება ან შეცვლა მხოლოდ მეფეს შეეძლო.

▪ ქვეყანაში მეორე პირი სამეფო საგვარეულოს წევრი **სპასპეტი იყო**, რომელიც მთავარსარდლისა და უმაღლესი მსაჯულის მოვალეობას ასრულებდა. ამავე დროს იგი განაგებდა სახელმწიფოს ცენტრალურ ოლქს – შიდა ქართლს.

▪ **სეფეწულები** - სამეფო საგვარეულოს წევრები. მათ მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობები ეკავათ. ისინი იყვნენ მეფისნაცვლები ცალკეულ ოლქებში, ზოგჯერ – ერისთავებიც. სამეფო გვარდიის ძირითად მასას სეფეწულები შეადგენდნენ.

▪ სამეფო საგვარეულოს საკუთრებაში იყო დიდ დაპყრობილი და ქართლის სამეფოს მიერ თანდათანობით დაქვემდებარებული მეთემეებით დასახლებული ტერიტორიები. სტრაბონი მათ **„ლაოებს“** უწოდებდა. მისივე ცნობით, ისინი ამზადებენ ყველაფერს, რაც სამეფო საგვარეულოს შენახვისთვის იყო საჭირო.

▪ ქართლის მოსახლეობის უმრავლესობას თავისუფალი ან ნახევრად თავისუფალი მეთემეები შეადგენდნენ, რომელთაც **„ერი“** ეწოდებოდა - მათ ნაწილობრივ ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდათ გვაროვნული დემოკრატიის ნიშნები და გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობდნენ.

თავი VIII
ძველი რომი

1. ლეგენდა რომის დაარსების შესახებ

ძვ.წ 753 წ. - რომის დაარსების სავარაუდო თარიღი.

რომულუსი და რემუსი - ტყუპი ძმები. ლეგენდის თანახმად, მათ დააარსეს რომი.

რეია სილვია - რომულუსისა და რემუსის დედა.

ომის ღმერთი მარსი - ითვლება რომულუსისა და რემუსის მამად.

ნუმიტორი - რომულუსისა და რემუსის ბაბუა, **ალბა ლონგას** მეფე. მან განიზრახა ახალშობილი ტყუპების დაღუპვა, რადგან ეშინოდა წინასწარმეტყველებისა, რომლის მიხედვით ტყუპები მას სამეფოს წაართმევდნენ. თუმცა, ბავშვები გადარჩნენ - ძმები ძუ მგელმა შეიფარა და გამოკვება.

2. ძველი რომის ისტორიის ქრონოლოგიური პერიოდები

რომის ისტორია იყოფა სამ ქრონოლოგიურ ერთეულად: მონარქიის, რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდებად:

▪ **მონარქიის პერიოდი** - ძვ.წ VIII საუკუნის შუახნიდან ძვ.წ. 510 წლამდე.

▪ **რესპუბლიკის პერიოდი** - ძვ.წ. 509-27 წლები.

▪ **იმპერიის პერიოდი** - ძვ.წ. 27 წლიდან ახ.წ. 476 წლამდე.

3. მეფობის პერიოდი რომში

დაარსების დღიდან რომს მეფე მართავდა.

▪ მეფე ითვლებოდა უმაღლეს მთავარსარდლად, ქურუმად და მსაჯულად.

▪ მეფის სათათბირო ორგანო იყო უხუცესთა საბჭო - **სენატი**, რომელიც შედგებოდა 300 წარჩინებული ოჯახის მეთაურისგან.

▪ სახელმწიფოს მართვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახალხო ანუ ლაშქრის კრებას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სამხედრო პირები.

მონარქიის პერიოდში რომმა **7 მეფე** გამოიცვალა:

▪ რომულუსი (ძვ. წ. 753-717) - რომის პირველი მეფე.

▪ ნუმა პომპილიუსი (ძვ. წ. 716-674 წწ.) - რომის მეორე მეფე, რომაელებს შეუქმნა კანონები, შეიმუშავა რომაული კალენდარი

▪ ტულუს ჰოსტილიუსი (ძვ. წ. 674-641 წწ.)

▪ ანკუს მარციუსი (ძვ. წ. 641-617 წწ.)

▪ ლუციუს ტარკვინიუს პრისკუსი (ძვ. წ. 616-579 წწ.)

▪ სერვიუს ტულიუსი (ძვ. წ. 578-535 წწ.)

▪ ლუციუს ტარკვინიუს სუპერბუსი (ძვ. წ. 535-510 წწ.)- რომის უკანასკნელი მეფე.

ეტრუსკები - იტალიური ტომი, ჩრდილოეთით ემეზობლებოდა რომს. ეტრუსკების კავშირი აერთიანებდა 12 ქალაქ-სახელმწიფოს. თავდაპირველად მათ დიდი გავლენა ჰქონდათ რომზე და აქტიურად ერეოდნენ მის პოლიტიკურ ცხოვრებაში: რომის სამი მეფე - ლუციუს პრისკუს ტარკვინიუსი, სერვიუს ტულიუსი და ლუციუს ტარკვინიუს სუპერბუსი ეტრუსკული წარმოშობისა იყო.

მონარქიის დამხობა

ძვ.წ. 509 წელს რომაელები აჯანყდნენ მეფე ტარკვინიუს სუპერბუსის წინააღმდეგ:

▪ **მიზეზი:** ტარკვინიუსმა ფაქტობრივი ტირანია ჩამოაყალიბა, ქვეყანაში გამეფდა ტერორი და განუკითხაობა, ძალადობაში მონარქის ვაჟებიც იყვნენ ჩართული. ასეთი ვითარება მიუღებელი იყო რომის არისტოკრატიისა და თავისუფალი მოქალაქეებისათვის.

▪ **შედეგი**: აღშფოთებულმა რომაელებმა ტარკვინიუსი ოჯახთან ერთად გააძევეს ქალაქიდან. ამგვარად, რომაელებმა დაამხეს მონარქია და და დაამყარეს რესპუბლიკური მმართველობა.

რომი რესპუბლიკის ხანაში (ძვ.წ. 509-27 წწ.)

1. რომის პოლიტიკურის სისტემა

მონარქიის დამხობისა და რესპუბლიკური მმართველობის დამყარების შემდეგ რომის სახელმწიფო სისტემაში კვლავ დარჩა სახალხო კრება და სენატი.

სახალხო კრება (კომიცია):

▪ იღებდა კანონებს და ნიშნავდა ყველა დონის მოხელეს.

▪ კრებაზე ხმის ფასი განისაზღვრებოდა მებრძოლის როლითა და დამსახურებით ბრძოლის ველზე.

სენატი:

▪ ამზადებდა კანონებს და ზედამხედველობდა მათ აღსრულებას. ასევე ის კონსულტირებას უწევდა სახელმწიფო მოხელეებს.

▪ სენატორთა რაოდენობა თანდათან გაიზარდა და 300 წარჩინებულის გარდა მასში შევიდნენ კონსულები და პლებეური გვარების აღზევებული წარმომადგენლებიც.

რომში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებდნენ მაგისტრატები. ისინი აირჩეოდნენ სახალხო კრების მიერ ერთი წლის ვადით. ამასთან, ერთ სახელმწიფო თანამდებობაზე ორი თანაბარუფლებიანი პირი ინიშნებოდა ურთიერთკონტროლის მიზნით.

▪ **კონსული** - უმაღლესი თანამდებობის პირი (მაგისტრატი) რომის რესპუბლიკაში, რომლის მოვალეობებში შედიოდა ლაშქრის სარდლობა, სახელმწიფო ფინანსების განკარგვა, სენატისა და კომიციების მოწვევა და მათი თავმჯდომარეობა.

▪ **კვესტორი** - ევალებოდა სამართლის საქმეების გარჩევა, სახელმწიფო ხაზინისა და სახელმწიფო არქივის მეთვალყურეობა.

▪ **პრეტორი** - ასრულებდა უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას კონსულის არყოფნის შემთხვევაში. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულებაც იყო.

▪ **ცენზორი** - პასუხისმგებელი იყო ფინანსების ხარჯვის კონტროლსა და ზნეობის ნორმების დაცვაზე. მის მოვალეობებში ასევე შედიოდა მოსახლეობის აღწერა და მათი განაწილება ქონებრივ ჯგუფებში.

▪ **ედილი** - ევალებოდა საზოგადოებრივი შენობების მოვლა-პატრონობა, საქალაქო სამსახურების გამართულად მუშაობა და რელიგიური დღესასწაულების და თამაშობების ჩატარება. ედილებად, როგორც წესი, მხოლოდ ყოფილი კონსულები ინიშნებოდნენ.

▪ **დიქტატორი** - ირჩევდნენ ომიანობის დროს კონსულთაგან. ისინი აირჩეოდნენ 6 თვის ვადით ან რომელიმე ერთი დავალების შესასრულებლად. დიქტატორი სარგებლობდა თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილებებით, მის მიერ გამოცემული კანონები მაშინვე შედიოდა ძალაში, ხოლო, მის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა კომიციაში გასაჩივრებას.

2. პუნიკური ომები

ძ.წ. 264-146 წლებში რომმა გადაიტანა 3 ომი კართაგენთან. ამ ომებმა, ერთი მხრივ, საფრთხე შეუქმნა რომის არსებობას, მეორეს მხრივ კი მათში გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი რომის ჩამოყალიბებას ხმელთაშუა ზღვის აუზის უპირობო ჰეგემონად.

კართაგენი

▪ არსებობდა ძვ.წ. IX-II საუკუნეებში თანამედროვე ტუნისის ტერიტორიაზე;

▪ თავიდან ფინიკიური კოლონია იყო - რომაელები კართაგენის სამეფოს „პუნიკურს“ ანუ ფინიკიურს უწოდებდნენ.

პირველი პუნიკური ომი (ძვ.წ. 264-241 წწ.)

▪ **მიზეზი:** სიცილიის ქალაქ-სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებაში კართაგენისა და რომის ჩართვა.

▪ **ჰამილკარ ბარკა** - სარდლობდა კართაგენის არმიას პირველი პუნიკური ომის დროს.

▪ **შედეგი**: ომში კართაგენის არმია დამარცხდა. დაიდო ზავი: კართაგენი თმობდა სიცილიას და მას ეკისრებოდა 3200 ტალანტის ოდენობის კონტრიბუცია.

მეორე პუნიკური ომი (ძვ.წ. 218-201 წწ.)

▪ **მიზეზი**: პირენეს ნახევარკუნძულზე გაბატონების სურვილი.

▪ **საბაბი**: რომის მოკავშირე ქალაქ საგუნტუმზე კართაგენელთა თავდასხმა.

ჰანიბალ ბარკა - კართაგენელთა არმიის სარდალი მეორე პუნიკური ომის დროს. მან ალპები გადალახა და მოულოდნელად ჩრდილოეთიდან შეუტია რომს.გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ქალაქ **კანესთან**:

▪ **კანეს ბრძოლა**, ძვ.წ. 216 წ. – ჰანიბალმა დაამარცხა რომაელები.

კანეს ბრძოლაში დამარცხებამ საფრთხე შეუქმნა რომს. თუმცა ჰანიბალმა ვერ ისარგებლა ამ უპირატესობით - მას ძალა არ ეყო რომზე წასასვლელად. რომაელებმა კი ტაქტიკური მანევრებით დაღალეს და გამოფიტეს კართაგენელები, თვითონ კი დიდ არმიას მოუყარეს თავი.

ამ დროს კონსული იყო პუბლიუს კორნელიუს **სციპიონი („აფრიკელი“),** რომელმაც ბრძოლა აფრიკაში გადაიტანა და კართაგენს შეუტია. ჰანიბალი იძულებული იყო, დაბრუნებულიყო აფრიკაში და გენერალური ბრძოლა გაემართა სციპიონთან.

▪ **ბრძოლა ზამასთან,** ძვ.წ. 202 წ. - ბრძოლა აფრიკაში, რომელიც რომაელთა გამარჯვებით დასრულდა. ეს იყო უკანასკნელი დიდი ბრძოლა მეორე პუნიკურ ომში, რომელმაც მისი ბედი რომის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მესამე პუნიკური ომი (ძვ.წ. 149-146 წწ.)

▪ **მიზეზი**: წინა ომში დამარცხების მიუხედავად, კართაგენის ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა, მისი სიმდიდრე და შესაძლებლობები კი რომის ინტერესებს საფრთხეს უქმნიდა.

▪ **საბაბი**: რომის მოკავშირე ნუბიასა და კართაგენს შორის მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირება.

▪ **„კართაგენი უნდა დაინგრეს“** - რომაელი პოლიტიკოსის მარკუს პორციუს კატონ უფროსის ფრაზა, რომელსაც სენატში ყოველი გამოსვლისას იმეორებდა.

▪ კონსული **სციპიონ ემილიანუსი** - რომაელთა სარდალი მესამე პუნიკური ომში.

▪ **ომის შედეგი**: რომაელებმა საბოლოოდ დაამარცხეს და დაანგრიეს კართაგენი.

მოვლენები პუნიკური ომების შემდეგ.

▪ ძვ.წ. 190 წ. - რომაელებმა დაამარცხეს სელევკიდების სახელმწიფოს მეფე **ანტიოქოს II თეოსი.**

▪ ძვ.წ. 200-190 წწ. - მიმდინარეობდა ე.წ. **„კელტებთან ომი“**, რომლის შედეგად რომმა ჩრდილოეთ იტალიის დამორჩილება დაასრულა.

▪ ძვ.წ. 133 წ. - რომმა დაიქვემდებარა პერგამონი.

3. „მითრიდატული ომები“ (ძვ.წ. 89-63 წწ.)

ომების სერია რომსა და პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორს (ძვ.წ. 117-63 წწ.) შორის.

ომის მიზეზი: მითრიდატეს სურდა რომაელების გაძევება აზიიდან, რადგან მათ მამამისს, **მითრიდატე V ევერგეტს** უსამართლოდ წაართვეს ადრე ნაჩუქარი მიწები **ფრიგიაში.** რომაელებს კი სურდათ საკუთარი გავლენა სრულად გაევრცელებინათ აზიაში.

პირველი ომი მითრიდატესთან, ძვ.წ. 89-84 წწ.

ამ ომში საომარი მოქმედებები ძირითადად საბერძნეთის ფრონტზე ვითარდებოდა.

▪ **ლუციუს კორნელიუს სულა** - რომაელთა ჯარის სარდალი.

▪ **არქელაე** - პონტოელთა სარდალი.

▪ **„ეფესოს საღამო“** - ძვ.წ. 88 წელს აზიის ქალაქ ეფესოში მყოფი მითრიდატეს ბრძანებით მისმა ჯარისკაცებმა 80 000 რომაელი და იტალიკი უმოწყალოდ დახოცეს, მათი ქონება კი პონტოელებმა ხელში ჩაიგდეს. ამ სისასტიკემ რომის საზოგადოება გააერთიანა და შურისძიების წყურვილით აავსო.

▪ **I ომის საბოლოო შედეგი:** სულას არმიამ საბოლოოდ მოახერხა არქელაეს ჯარის დამარცხება, რამაც მითრიდატე აიძულა, დაეთმო დაკავებული ტერიტორიები და უკან გაბრუნებულიყო.

სამოქალაქო ომი რომში.

მითრიდატესთან პირველი ომის პარალელურად მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი რომში **სულასა** და **გაიუს მარიუსის** ბანაკებს შორის:

▪ **გაიუს მარიუსი** - შვიდგზის კონსული, გამოჩენილი მხედართმთავარი პლებეების წრიდან.

▪ **ლუციუს კორნელიუს სულა** - რომაელი მხედართმთავარი, რომის არისტოკრატიის (ოპტიმატების) ბანაკის ერთ-ერთი ლიდერი.

სამოქალაქო დაპირისპირებაში სულამ იმარჯვა - ის რომში შევიდა არმიით, ხელში იგდო ძალაუფლება და დაიწყო მარიუსის მომხრეთა უმოწყალო დევნა:

▪ ძვ.წ. 82 წ. - ლუციუს კორნელიუს სულა გახდა რომის დიქტატორი.

▪ **პროსკრიფციები** - სულას რეპრესიების დროს შექმნილი სიები, რომელში შეყვანილ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსაც სიკვდილით სჯიდნენ. პროსკრიფციებს მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რომელთა შორის პოლიტიკოსთა გარდა ბევრი უდანაშაულო ადამიანიც იყო.

▪ ძვ.წ. 79 წელს სულამ საკუთარი ნებით მოიხსნა დიქტატორის უფლებამოსილება და თავი დაანება პოლიტიკურ საქმიანობას.

▪ გაიუს მარიუსის მომხრეთა ოპოზიციური ცენტრი შეიქმნა ესპანეთში. **ოსკაში** (დღევანდელი უესკა) ფუნქციონირებდა მარიუსის მომხრეთა პოლიტიკური ცენტრი თავისი ალტერნატიული სენატით.

▪ ძვ.წ. 71 წელს რომაელმა კონსულმა და მხედართმთავარმა **გნეუს პომპეუსმა** საბოლოოდ ამარცხებს მარიუსის მომხრეებს ესპანეთში, რითაც სამოქალაქო დაპირისპირების ეს ეტაპი დასრულდა.

მეორე ომი მითრიდატე პონტოელთან, ძვ.წ. 74-64 წლებში.

▪ **მიზეზი**: სულას თანაკონსული **მურენა**, რომელსაც სურდა გამარჯვებულის სახელით დაბრუნებულიყო რომში, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს პონტოელთა ტერიტორიებს **კაპადოკიაში.**

▪ **შედეგი**: რომაელთა არმია მთავარ ბრძოლაში დამარცხდა და სულამ სარდალ **მურენას** უბრძანა, შეეწყვიტა ბრძოლა.

მესამე ომი მითრიდატე პონტოელთან, ძვ.წ. 74-63 წწ.

▪ **მიზეზი**: ბითვინიის ვაკანტური სამეფო ტახტისთვის ბრძოლა.

▪ **ლუკულუსი** - რომაელი სარდალი, მეთაურობდა რომის არმიას მესამე „მითრიდატული ომის“ დასაწყისში.

▪ **ტიგრან II** - დიდი სომხეთის მეფე, მითრიდატე პონტოელის მთავარი მოკავშირე რომის წინააღმდეგ წარმოებულ მესამე ომში.

▪ **ძვ.წ. 64 წ**. - გნეუს პომპესუსი საბოლოოდ დაამარცხა მითრიდატე და მისი მოკავშირე ტიგრან II. მითრიდატემ თავი მოიკლა, ხოლო, მისმა ვაჟმა, ფარნაკემ მორჩილება გამოუცხადა რომს და პომპეუსმა მას სამეფო დაუტოვა.

„მითრიდატულ ომებში" გამარჯვებამ რომი მნიშვნელოვნად გააძლიერა, თუმცა, აშკარა გახადა რომის პოლიტიკურ სისტემაში არსებული პრობლემები.

4. სპარტაკის აჯანყება (ძვ.წ. 74-71 წწ.)

კაპუაში მდებარე გლადიატორთა სკოლაში დაწყებული ბუნტი ფართომასშტაბიან აჯანყებაში გადაიზარდა, რომელმაც რომის არსებობას დაემუქრა.

▪ სპარტაკის აჯანყება იყო მონათა რიგით მესამე აჯანყება რომის ისტორიაში.

▪ რომმა რვა ლეგიონი გამოიყენა მონათა აჯანყების ჩასახშობად.

▪ **კრასუსი** - რომაელი სარდალი, რომლის სახელსაც უკავშირდება სპარტაკის აჯანყების დამარცხება.

5. ციცერონი და კატილინას შეთქმულება

ციცერონი - რომაელი პოლიტიკოსი, ადვოკატი, ორატორი:

▪ ძვ.წ. 63 წელს ის კონსულად იქნა არჩეული.

▪ ძვ.წ. 62 წელს ციცერონმა გამოააშკარავა **კატალინას შეთქმულება,** რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული გადატრიალების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. შეთქმულთა ნაწილი გასამართლების გარეშე სიკვდილით დახოცეს მამერტინის ციხეში. კატილინა გაიქცა და ბრძოლა გააგრძელა, თუმცა გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა და ბრძოლის ველზე დაეცა. ციცერონს კი ამ დამსახურებისათვის **„სამშობლოს მამა"** (ლათ.Pater Patriae) უწოდეს.

▪ ძვ.წ. 58 წ. ციცერონი რომიდან იქნა გაძევებული, მოგვიანებით კი **„მეორე ტრიუმვირატის"** გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯეს.

6. პირველი ტრიუმვირატი, ძვ.წ. 60 წელს

ტრიუმვირატი - პირობითი სახელწოდება ძვ.წ. 60 წელს პირადი შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ერთობისა, რომელიც გულისხმობდა გავლენის სფეროების განაწილებას.

▪ შემადგენლობა: **პომპეუსი, კრასუსი, იულიუს კეისარი**.

▪ გავლენის სფეროები: პომპეუსს - ესპანეთი, იულიუს კეისარს - გალია, კრასუსს - სირია.

▪ ძვ.წ. 53 წ. - კრასუსი პართიასთან ომში დაიღუპა და ტრიუმვირატი დაიშალა.

▪ ძვ.წ. 58-51 წწ. - იულიუს კეისარი აწარმოებს ომს გალების წინააღმდეგ, რომს შემოუერთა მთელი გალია, რამდენჯერმე შეიჭრა გერმანიასა და ბრიტანეთშიც.

▪ ძვ.წ. 52 წ. - რომი ანარქიამ მოიცვა - ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სხვადასხვა ბანდები და სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდა. სენატმა არ აირჩია პომპეუსის მეწყვილე კონსული და მთელი ძალაუფლება მას ჩააბარა, რათა მას წესრიგი აღედგინა რომში.

7. მეორე სამოქალაქო ომი რომში, ძვ.წ. 49-46 წწ.

ძვ.წ. 49 წელს, იმ მიზეზით, რომ კეისარი არ ემორჩილებოდა მათ ნებას, სენატმა პომპეუსს უბრძანა, დაეცვა რომი ურჩხული კეისრისაგან. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და ის სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

▪ ბრძოლები რამდენიმე ფრონტზე, მათ შორის, იტალიაში, ესპანეთში, ეგვიპტეში და ილირიაში მიმდინარეობდა.

▪ **„წილი ნაყარია"**- კეისრის მიერ ნათქვამი ფრთიანი ფრაზა, გულისხმობდა მტკიცე გადაწყვეტილებას, დაეწყო ბრძოლა და გაენადგურებინა მისი მოწინააღმდეგე გნეუს პომპეუსი.

▪ ბრძოლა **ფარსალუსთან**, ძვ.წ. 48 წ. - გადამწყვეტი დაპირისპირება კეისრისა და პომპეუსის არმიებს შორის, სამოქალაქო ომის უკანასკნელი დიდი ბრძოლა, რომელშიც პომპეუსი დამარცხდა.

▪ **კლეოპატრა VI** - იულიუს კეისარმა დასვა ეგვიპტის მმართველად.

▪ **„Veni, vidi, vici"** - კეისრის ფრთიანი ფრაზა, რომლითაც მან იგულისხმა **ბოსფორის სამეფოს** ელვისებური დაპყრობა. **ფარნაკე** - **ბოსფორის მეფე**.

▪ ძვ.წ. 46წ. - კეისარი ტრიუმფით დაბრუნდა რომში და მიიღო 10 წლით არჩეული დიქტატორის სტატუსი.

▪ ძვ.წ. 45წ. - კეისარმა ესპანეთში დაამარცხა პომპეუსის შვილები, რომლებიც აგრძელებდნენ ბრძოლას ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის.

ძვ.წ. 44 წელს კეისრის წინააღმდეგ სენატორებმა მოაწყვეს შეთქმულება, რომელსაც ის ემსხვერპლა. შეთქმულების მიზეზი იყო კეისრის მიერ ძალაუფლების უზურპაცია.

8. მეორე ტრიუმვირატი, ძვ. წ 43 წ.

სამთა კავშირი **ოქტავიანეს, ანტონიუსისა და ლეპიდუსის** შემადგენლობით, რომელიც მიმართული იყო კეისრის მკვლელთა (ბრუტუსი, გაიუს ლონგინუსი და სხვ.), რესპუბლიკელთა და სენატის წინააღმდეგ.

▪ **ოქტავიანე** - იულიუს კეისრის დის შვილი, მას მხარს უჭერდა არმია.

▪ **ანტონიუსი** - რომაელი სარდალი, ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრასთან ერთად სურდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მისაკუთრება.

მეორე ტრიუმვირატმა სასტიკი ტერორი გააჩაღა, რისთვისაც სულას მსგავსად გამოიყენა პროსკრიფციები, განუკითხავად მოსპო მრავალი პოლიტიკური მოწინააღმდეგე (მათ შორის ციცერონიც). ტრიუმვირებმა დაამარცხეს ბრუტუსი და კასიუსი, რის შემდეგაც მათ თავი მოიკლეს.

მოგვიანებით ყოფილი მოკავშირეები - ოქტავიანე და ანტონიუსი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაიზარდა. ანტონიუსი ეგვიპტის მმართველ კლეოპატრასთან ერთად ცდილობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, რაც მათთვის კატასტროფით დასრულდა:

▪ ძვ.წ. 31 წელს ოქტავიანემ **აქციუმის კონცხთან** ბრძოლაში დაამარცხა ანტონიუსისა და კლეოპატრას ფლოტი და რომის ერთპიროვნული მმართველი გახდა, ებოძა **ავგუსტუსის** ტიტული.

▪ დამარცხებულმა ანტონიუსმა თავი მოიკლა, მოგვიანებით იგივე გააკეთა კლეოპატრამაც, რითაც დასრულდა ელინისტური ეპოქა.

9. ოქტავიანე ავგუსტუსი და „პრინციპატი“

მოწინააღმდეგეთა განადგურების შემდეგ, ოქტავიანე რომის ერთპიროვნული მმართველი გახდა. ის აღიარებული იქნა პრინცეპსად, ანუ სენატის პირველ პირად. ამ თანამდებობის სახელწოდებიდან გამომდინარეობს მმართველობის იმ ფორმის პირობითი დასახელება, რომელიც ოქტავიანემ ჩამოაყალიბა.

▪ **„პრინციპატი“** - წარმოადგენდა ადრეული იმპერიის მართვის ფორმას, როდესაც რესპუბლიკური ტრადიციები ჯერ კიდევ ძლიერი იყო და ინსტიტუტები შენარჩუნებული იყო, ასევე პრინცეპსს ესაჭიროებოდა სენატის აღიარება.

▪ **„რომაული მშვიდობა“** (ლათ. Pax Romana) - ასე ეწოდა ძვ.წ. 27 წლიდან ახ.წ. 180 წლამდე პერიოდს რომის ისტორიაში, რომელიც იწყება ოქტავიანეს მმართველობით, გულისხმობს შედარებითი მშვიდობისა და სახელმწიფო წესრიგის პერიოდს, რომელიც აღინიშნა პოლიტიკური და კულტურული აღმავლობით.

რომი იმპერიის ხანაში

1. იმპერია ადრეულ ეტაპზე

▪ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში რომის იმპერია განაგრძობს გაფართოებას და მეზობელი ქვეყნების დაპყრობას. ამ მხრივ გამორჩეულია **ტრაიანეს** (ახ.წ. 98-117 წწ.) მმართველობა, რომლის დროს რომმა ყველაზე შორს წაიწია აღმოსავლეთში.

▪ ახ. წ. II ს.-ის დასაწყისიდან რომმა შეწყვიტა დაპყრობები და სრულად გადაერთო იმპერიის ტერიტორიების შენარჩუნებაზე. ამ დროს იმპერიის საზღვრებზე შეიქმნა თავდაცვითი ზღუდეების მთელი სისტემა, ე.წ. **„ლიმესი“**. ეს სიმაგრეები პირველ რიგში მიმართული იყო სხვადასხვა მეომარი ტომების წინააღმდეგ, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს რომის იმპერიის ტერიტორიებს.

▪ იმპერიის პერიოდში ხელისუფლება გადადიოდა მემკვიდრეობით, მამიდან შვილზე. იმპერატორის უშვილობის შემთხვევაში ხშირი იყო შვილად აყვანის პრაქტიკაც, მაგ. იმპერატორები **ტრაიანე** და **მარკუს ავრელიუსი** - ორივე ნაშვილები იმპერატორები იყვნენ.

▪ **კარაკალა, იმპერატორი** 188-217 წლებში - გამოსცა ედიქტი, რომლითაც იმპერიაში მცხოვრებ ყველა თავისუფალ ადამიანს რომის მოქალაქეობა მიენიჭა. ამით დასრულდა დაპყრობილი ხალხების რომის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი.

2. „რომის იმპერიის III საუკუნის კრიზისი“

III საუკუნის 30-იანი წლებიდან რომის იმპერია ერთიანად მოიცვა ანარქიამ, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა და მხოლოდ დიოკლეტიანეს მმართველობის პერიოდში დასრულდა.

კრიზისი დაიწყო 235 წელს დაიწყო, როდესაც იმპერატორი **სევერუსი** საკუთარმა ჯარისკაცებმა მოკლეს. მომდევნო 50-წლიანი პერიოდის განმავლობაში იმპერიამ გამოიარა ბარბაროსების შემოსევები, სამოქალაქო ომები, გლეხთა აჯანყებები და პოლიტიკური არასტაბილურობა. გამოჩნდა მრავალი უზურპატორი, რომლებიც ეჯიბრებოდნენ ძალაუფლებისთვის. ამან გამოიწვია სრული ეკონომიკური კოლაფსი, რასაც შავი ჭირმის ეპიდემიაც დაერთო და სახელმწიფო ერთიანად ჩაეფლო ქაოსში.

იმპერატორის ტახტს სამხედრო მეთაურები იკავებდნენ, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ ტერიტორიებს აკონტროლებდნენ, ისიც დროებით. მოგვიანებით **ავრელიანემ** (270–275 წწ.) შეძლო იმპერიის გაერთიანება მკაცრი მეთოდებით, თუმცა, კრიზისი მხოლოდ დიოკლეტიანეს ტახტზე ასვლითა და მის მიერ გატარებული ენერგიული რეფორმებით დასრულდა.

კრიზისმა ღრმა კვალი დატოვა რომის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურასა და რელიგიაში.

3. დიოკლეტიანეს მმართველობა

დიოკლეტიანე - რომის იმპერატორი 284–305 წლებში. მის სახელს უკავშირდება რომში რესპუბლიკური მმართველობის ელემენტების საბოლოო გაუქმება და იმპერატორის აბსოლუტური ძალაუფლების დაკანონება:

- **„დომინატი“** - დიოკლეტიანეს დროს პრინციპატის ნაცვლად შემოღებული მმართველობის ფორმა, რომელშიც კეისარი აღჭურვილი იყო შეუზღუდავი უფლებამოსილებით. დომინატი პრინციპატისგან განსხვავებით აბსოლუტურ მონარქიას წარმოადგენდა. იმპერატორი უკვე აღარ ეყრდნობოდა სენატს და სხვა რესპუბლიკურ ინსტიტუტებს.
- **ტეტრარქია** - დიოკლეტიანეს დროს შემოღებული იმპერიის მართვის სისტემა, რომელშიც ადგილებზე იმპერატორის ფუნქციები განაწილებულია ოთხ თანაკეისარზე. ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო უზარმაზარი იმპერიის უფრო ეფექტური მართვისათვის, თუმცა, თავის თავშივე შეიცავდა პოლიტიკური კრიზისის რისკებს.
- დიოკლეტიანემ გაატარა სამხედრო რეფორმა, რამაც მას საშუალება მისცა, კონტროლი დაემყარებინა მთელ იმპერიაზე და ამასთანავე წარმატებით გამკლავებოდა ბარბაროსთა შემოსევებს.
- დიოკლეტიანეს დროს განსაკუთრებულად გაძლიერდა ქრისტიანების დევნა.
- დიოკლეტიანეს რეფორმებს მოჰყვა დროებითი ეფექტი, თუმცა მან საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის გაყოფას და იმპერიის დაშლას.

4. რომის ეკონომიკა და საზოგადოება იმპერიის პერიოდში.

რომის ეკონომიკის ძირითად დარგებს სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა წარმოადგენდა, ხელოსნობა არ იყო კარგად განვითარებული.

იმპერიაში ფულის ბრუნვა საკმაოდ დიდი იყო, რასაც ინტენსიური ვაჭრობა განაპირობებდა.

მონების მდგომარეობა რომში:

- მონა, სამუშაო ძალის გარდა, თავად წარმოადგენდა ქონებას და ვაჭრობის ობიექტს.
- მონათა შრომა ძირითადად შეძლებულ რომაელ მოქალაქეთა მეურნეობაში გამოიყენებოდა. შინამოსამსახურე მონები ოჯახის უმცროს წევრებად ითვლებოდნენ და მათ კულტმსახურების ცერემონიალებში მონაწილეობის უფლებაც ჰქონდათ.
- სპარტაკის აჯანყების (ძვ.წ. 73-71წწ.) შემდეგ გავრცელდა მონების განთავისუფლების პრაქტიკა.
- იმპერიის ხანაში დაიწყო სოფლად მონის მიმაგრება მიწაზე, რამაც ისინი ნახევრადთავისუფალ გლეხებად აქცია.
- **ლიბერტინი** - განთავისუფლებული მონა ძველ რომში.
- **კოლონი** - ნახევრადთავისუფალი გლეხი ძველ რომში.

თავი IX
რომის იმპერია და საქართველო

1. ქართლის სამეფო რომაელთა შემოჭრის წინ

ძვ.წ. II საუკუნის მანძილზე ქართლის სამეფო მნიშვნელოვნად შეასუსტა შიდა დაპირისპირებამ მეფის ხელისუფლებასა და ერისთავებს შორის, რომელშიც ხშირად უცხო სახელმწიფოებიც ერეოდნენ. ამავდროულად, იცვლებოდა ვითარებაც საქართველოს სამეზობლოში:

▪ **სირიის სელევკიდების სამეფო**, რომელთანაც ქართლს თავიდანვე კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ნელ-ნელა დასუსტდა - მას გამოეყო და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა პართია, რომლის სათავეშიც **არშაკიანების დინასტია** იდგა. ეს სამეფო წინა აზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

▪ ძვ.წ. 190 წელს, რომის მიერ სელევკიდების დამარცხებით ისარგებლეს სომხებმა და მათი ბატონობისაგან თავი გაითავისუფლეს. სომხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი სომხური სახელმწიფო - **სოფენეს სამეფო და დიდი არმენია**. ამ სამეფოებში საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის ნაწილიც შევიდა.

▪ ამავდროულად აღმოსავლეთით, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, წარმოიქმნა **ალბანეთის სახელმწიფო**, ხოლო დასავლეთიდან ქართლს გაუმეზობლდა **პონტოს სამეფო**, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილს დასავლურ-ქართული ტომები (ლაზები, ჭანები, კოლხები, ხალიბები, მოსინიკები და სხვ.) შეადგენდნენ.

პონტოს მეფე მითრიდატე VI (ძვ.წ. 111-63) დიდი არმენიის (სომხეთის) მეფე ტიგრან II-თან ერთად იბრძოდა რომაელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში ქართლიცა და ალბანეთიც პონტოსა და სომხეთის მოკავშირეები იყვნენ. რომაელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს მითრიდატე VI და სომხეთში შეიჭრნენ.

▪ **გნეუს პომპეუსმა** შეძლო მითრიდატეს დამარცხება და აიძულა სომხეთის მეფე ტიგრან II, წინააღმდეგობა შეეწყვიტა და ამის შემდეგ რომაელთა არმია საქართველოსკენ დაიძრა.

2. პომპეუსის ლაშქრობა ქართლში

ძვ.წ. 65 წელს რომაელები პომპეუსის მეთაურობით გამოჩნდნენ ქართლის სამეფოს საზღვრებთან. ქართლის მეფე არტაგი ხედავდა, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა რომაელთა არმიას და ზავი შესთავაზა პომპეუსს. თავიდან პომპეუსმა უარყო დაზავება და ბრძოლა გაუმართა ქართველებს, შემდეგ კი დამარცხებულ არტაგთან გააფორმა **„მეგობრობისა და მოკავშირეობის“** შეთანხმება. ზავი მიხედვით, ქართლის სამეფოს უნდა შეეკრა ჩრდილოეთის უღელტეხილები მეომარი მომთაბარე ტომების შესაკავებლად.

▪ სომხეთთან შედარებით ქართლი ნაკლებად დაზარალდა რომაელთა ლაშქრობით, რადგან დიდი არმენია კარგავდა ტიგრან II-ის დროს დაპყრობილ მიწებს და იქცა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ. მისმა დასუსტებამ ქართლის სამეფოს პოზიციები საგრძნობლად გააძლიერა.

3. ქართლისა და რომის ურთიერთობა I-II საუკუნეებში

ახ.წ. I საუკუნეში ქართლის სამეფო მოძლიერდა და გააქტიურდა - მან მეზობელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევაც დაიწყო:

▪ ახ.წ. 52 წელს ქართლის მეფე **ფარსმან I-ის** ძალისხმევით სომხეთის სამეფოს ტახტზე მისი ძე - **რადამისტი** ავიდა. ფარსმანს სურდა სომხეთის სრულად დაქვემდებარება, მაგრამ გეგმა ჩაიშალა - სომეხმა დიდებულებმა არ მიიღეს ქართველი მმართველი, აჯანყდნენ და რადამისტიც იძულებული გახდა ქართლში დაბრუნებულიყო.

შემდგომ პერიოდშიც რომი ცდილობდა, კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ქართლის სამეფოსთან და ქართველ მეფეებსაც თავი დამოუკიდებლად ეჭირათ:

▪ 128 წელს, მცირე აზიაში ყოფნისას იმპერატორმა ადრიანემ თავისთან მიიწვია აღმოსავლეთის მონარქები, მათ შორის ქართლის მეფე **ფარსმან II**, თუმცა ქართველი მონარქმა მიწვევაზე უარი თქვა და უარი თქვა იმპერატორს ძვირფასი საჩუქრების სანაცვლოდ მხოლოდ საპასუხო ძღვენი გაუგზავნა. ეს შემთხვევითი არ იყო, რადგან ქართლის სამეფოს

ამ დროისათვის დაკავებული ჰქონდა გასასვლელი შავ ზღვაზე, რაც მის პოზიციებს მნიშვნელოვნად აძლიერებდა. ფარსმანს დაქვემდებარებული ჰყავდა **ძიდრიტების** ტომი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელთა დახმარებითაც აკონტროლებდა ამ გასასვლელებს.

ქართლსა და რომს შორის დაძაბულობა შედარებით მოწესრიგდა ადრიანეს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც საიმპერატორო ტახტზე ავიდა ანტონინუს პიუსი:

▪ ახალმა იმპერატორმა ცნო ქართლის სამეფოს მიერ შავიზღვისპირა ტერიტორიების შეერთება. მან ქართლის მეფე რომში სტუმრად მიიწვია. ფარსმან II დიდი ამალით და თავისი ცოლ-შვილით ჩავიდა რომში. ქართველი მონარქით მოხიბლულმა იმპერატორმა ნება დართო ქართლის მეფეს, კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, რაც დიდი პატივი იყო უცხოელთათვის. ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება ომის ღმერთის, მარსის ტაძარში დაიდგა.

ქართლის სამეფოსაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში რომაელებმა თავიდანვე თავისი მმართველობა დააწესეს. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა არ ურიგდებოდა უცხოელთა ბატონობას აჯანყებებისა და ბრძოლების შემდეგ რომი იძულებული გახდა, დასავლეთ საქართველოში აღედგინა ადგილობრივი მმართველობა.

▪ **სანიგების, აფშილების, ლაზების და აბაზგების სამთავროები** - ძვ.წ. II საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული სამთავროები. სამთავროებს ადგილობრივი მთავრები განაგებდნენ, თუმცა ფაზისში, დიოსკურიასა და სხვა ზღვისპირა ქალაქებში რომაული გარნიზონი იდგა.

4. საქართველო III საუკუნეში

III საუკუნეში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკაში.

224 წელს პართიის მეფე არტაბან V-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ირანში გაბატონდა სასანიანთა დინასტია, რომლის პირველი მეფე **არდაშირ I** იყო. ამ პერიოდშ პერიოდში ირანი ქართლს არ დამუქრებია, რადგან სასანიდი შაჰები საკუთარი ძალაუფლების გამყარებით იყვნენ დაკავებულნი.

მდგომარეობა შეიცვალა **შაპურ I**-ის ტახტზე ასვლის შემდეგ - მან აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო:

▪ 260 წელს შაპურმა რომის იმპერატორი **ვალერიანე** დაამარცხა და დაატყვევა.

▪ მალე ირანმა დაიპყრო სომხეთიც.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ქართლის მეფე ამაზასპ II იძულებული გახდა, ეღიარებინა შაჰის ვასალობა.

რომსა და ირანს შორის ბრძოლები კიდევ უფრო გააქტიურდა. III საუკუნის 80-90-იან წლებში ირანმა რომთან რამდენიმე მარცხი იწვნია და იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა.

▪ 298 წელს გაფორმდა **ნიზიბინის ზავი,** რომლის საფუძველზე ქართლზე პოლიტიკური გავლენა რომის იმპერიამ შეინარჩუნა.

მიუხედავად ამისა, ირანი კვლავ ცდილობდა კავკასიაში გაბატონებას და ახალი შეტევებისთვის ემზადებოდა.

III საუკუნის 40-იან წლებში იმპერიაში მიმდინარე კრიზისის გამო, საერთაშორისო ასპარეზზე რომის პოზიციები მკვეთრად შესუსტდა. მისი ფლოტი ბოსფორში **გუთებმა** ჩაიგდეს ხელთ და რამდენჯერმე სცადეს ქართული ქალაქების დარბევა:

▪ 252 წელს გუთები თავს დაესხნენ **პიტიუნტს**, მაგრამ ქალაქის გარნიზონმა ისინი დაამარცხა და უკუაქცია. ცოტა ხნის შემდეგ გუთებმა სცადეს **ფაზისის** დარბევა, თუმცა აქაც დამარცხდნენ და კვლავ პიტიუნტს დაესხნენ თავს და ამჯერად შეძლეს მისი აღება და გაძარცვა.

▪ 258 წელს გუთებმა დაარბიეს ტრაპიზონიც.

დასავლეთ საქართველოში ამ დროს ძლიერდებოდნენ ლაზები, რაც მისაღები იყო რომისთვისაც, რადგან ლაზები რომის ფორპოსტის მოვალეობას შეასრულებდნენ და კავკასიონზე არსებულ გადმოსასვლელებს გააკონტროლებდნენ.

კარი III

მსოფლიო და საქართველო IV-X საუკუნეებში

თავი I
რომის იმპერიის ორად გაყოფა, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა, ბარბაროსული სამეფოების ჩამოყალიბება.

1. „ხალხთა დიდი გადასახლება“ - მიზეზები და შედეგები

IV-VII საუკუნეებში რომის იმპერიის ტერიტორიაზე დაიწყო გერმანული მოდგმის ტომთა (გუთების, ფრანკების, ვანდალების ანგლების და სხვ) მასიური გადასახლების პროცესი.

ეს პროცესი იყო შემადგენელი ნაწილი გლობალური მიგრაციული პროცესისა, რომელმაც მოიცვა ევროპის, აზიისა და აფრიკის უდიდესი ნაწილი.

მიზეზები:

▪ დიდი იმპერიების დასუსტება, რომლებიც ვეღარ იგერიებდნენ ბარბაროსთა ტომებს;

▪ ევროპაში ადრეული შუა საუკუნეების **კლიმატური პესიმუმი** - აციება, რომელიც რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა;

▪ დემოგრაფიული აფეთქება გერმანულ ტომებში;

შედეგები:

▪ ძირეულად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა და დასაბამი დაუდო ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას;

▪ მიგრაციას თან სდევდა კულტურული და რელიგიური კონფლიქტები, რომელმაც არაერთი ხალხი შეიწირა;

▪ მოხდა კულტურათა გარკვეული შერწყმა, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ცივილიზებული ევროპული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

2. გერმანულ ტომთა დასახლებები, მათი საზოგადოებრივი წყობა და ყოფა-ცხოვრება.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტყე-სტეპიან ზოლში უძველესი დროიდანვე ბინადრობდნენ გერმანული ტომები.

▪ მათი ოჯახები ცხოვრობდნენ ცალკეულ ბინებად დაყოფილ გრძელ საერთო სახლებში, რომელთა ერთობლიობა ქმნიდა დასახლებას. დასახლება გამაგრებული იყო თხრილებით, მიწაყრილებით, ყორეებით. ამით სოფელი თავს იცავდა მეზობელი ტომის თავდასხმისგან.

▪ ტომისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ტომის საერთო კრებაზე განიხილებოდა. განსახილველი საკითხის დაყენების უფლება მხოლოდ ტომის საპატიო წევრებს - უხუცესებს ჰქონდათ.

▪ გერმანულ ტომებში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ ქურუმებს. ტომი ლაშქრობაში მხოლოდ ქურუმთა თანხმობის შემდეგ მიდიოდა. ომში მოპოვებულ ნადავლს კენჭისყრით ინაწილებდნენ. მეფეს ყველაზე მეტი წილი ხვდებოდა.

▪ ამ ხალხებში IV საუკუნისთვის ტომთა კავშირები იქმნება. დაიწყო პოლიტიკური კონსოლიდაცია.

3. ბარბაროსები ევროპაში

▪ IV საუკუნეში აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთისკენ დაიძრნენ და რომის იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრებს მიუახლოვდნენ **გუთები (გოთები). მათ შეავიწროვეს გერმანული ტომი ვანდალები.**

▪ 375 წელს აზიის სტეპებიდან დაძრულმა **ჰუნები** თავს დაესხნენ გუთებს. გუთების ნაწილი - **ოსტგუთები** ჰუნებმა დაიმორჩილეს, ხოლო მათი მეორე ჯგუფი - **ვესტგუთები** იმპერატორ **ვალენტის** ნებართვით იმპერიის სასაზღვრო ტერიტორიებზე, მეზიასა და თრაკიაში დასახლდნენ. ვესტგუთები კარგი მეომრები იყვნენ და იმპერატორები მათ ხშირად ქირაობდნენ. თუმცა მალე მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდა.

▪ მდ. რაინიდან იმპერიის ტერიტორიას უტევდნენ გერმანული ტომები **ფრანკები** და **ალემანები**, დუნაიდან - **სარმატები**, ჩრდილოეთ აფრიკაში - **მავრები.**

▪ **კელტები** ევროპაში ბევრად უფრო ადრე გამოჩნდნენ, ვიდრე გერმანელები და სლავები. კელტური წარმოშობის ტომები, **გალები** უკვე დიდი ხანია, სახლობდნენ დღევანდელ ჩრდილოეთ იტალიასა და საფრანგეთის ტერიტორიაზე.

4. პირველი შეტაკებები „ბარბაროსებთან".

რომაელებს გერმანულ ტომებთან პირველი შეტაკებები ძვ.წ II საუკუნის ბოლო მოუხდათ:

▪ **„კიმბრების ომი"** (ძვ.წ. 113-101 წწ.) - რომის ომი კიმბრებისა და ტევტონების ტომებთან. ეს იყო პირველი ფართომასშტაბიანი შეტაკება ბარბაროსებთან. რომაელებმა ამჯერად დაამარცხეს ბარბაროსები და დაიმორჩილეს ისინი. მოგვიანებით იულიუს კეისარმა გერმანული ტომების წარმომადგენელთაგან ცხენოსანთა რაზმი ჩამოაყალიბა.

▪ ბარბაროსთა შემოტევებისაგან თავდასაცავად რომაელებმა I საუკუნეში დაიწყეს სიმაგრეების კომპლექსის მშენებლობა იმპერიის საზღვრებზე, რომელსაც **ლიმესს** (ლათ. Limes) უწოდებდნენ.

▪ **„მარკომანების ომი",** 166-180 წწ. - გერმანული ტომების შემოსევა იტალიაში და მათი ომი რომთან. იმპერატორმა **მარკუს ავრელიუსმა** სასტიკად დაამარცხა გერმანელები და წაართვა ადრე მიტაცებული მიწები.

5. რომის ურთიერთობა ვესტგუთებთან. ადრიანოპოლის ბრძოლა.

ჰუნებისგან შევიწროებული გუთების ნაწილი - ვესტგუთები ცდილობდნენ რომისაგან მფარველობა მიეღოთ და ამ გზით გადარჩენოდნენ ჰუნების შემოტევებს - ისინი რომს ომის დროს სამხედრო დახმარებასაც ჰპირდებოდნენ. თავიდან რომმა ვესტგუთები მოკავშირეებად - **ფედერატებად** მიიღო, თუმცა შემდეგ მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა.

378 წელს ვესტგუთების აჯანყდნენ რომის წინააღმდეგ.

მიზეზი:

რომაელებმა მათ უნაყოფო მიწების გამოუყვეს, რომელიც არ კმაროდა მრავალრიცხოვანი ტომის გამოსაკვებად.

იმპერატორმა **ვალენტიმ** დიდძალი არმია შეკრიბა ვესტგუთებთან საბრძოლველად. გადამწყვეტი ბრძოლა თრაკიაში, ქალაქ **ადრიანოპოლთან** მოხდა:

▪ **ფრიტიგერნი** - ვესტგუთების სარდალი ადრიანოპოლის ბრძოლაში.

შედეგი:

გერმანელებმა სასტიკად დაამარცხეს რომაელები, იმპერატორი ბრძოლის ველზე დაეცა. ამ ბრძოლის შემდეგ რომის არმიამ არსებობა შეწყვიტა - შემდგომ ბრძოლებში რომს მხოლოდ დაქირავებული მეომრები იცავდნენ, რამაც განაპირობა კიდეც რომის იმპერიის დამხობა.

ახალმა იმპერატორმა, **თეოდოსიუს I-მა** ვესტგუთებთან ზავი დადო (382 წ.) და ისინი სამსახურში ჩაიყენა. ამიერიდან რომის იმპერატორი სწორედ გერმანელ დაქირავებულ მეომრებზე გახდა დამოკიდებული, რაც იმპერიის დასასრულს მოასწავებდა.

6. რომის იმპერიის ორად გაყოფა.

თეოდოსიუს I ერთიანი რომის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორი აღმოჩნდა. იმპერია

მისი ანდერძის თანახმად, 395 წელს იმპერია ორ ნაწილად გაიყო:

▪ იმპერიის აღმოსავლეთი უფროს ვაჟს **არკადიუსს** ერგო.

▪ დასავლეთი - უმცროსს **ჰონორიუსს**.

იმპერია საბოლოოდ დაიშალა დასავლეთ რომისა და აღმოსავლეთ რომის იმპერიებად. ამ უკანასკნელს მოგვიანებით ბიზანტიის იმპერიის (კონსტანტინოპოლის ძველი სახელის პატივსაცემად) სახელით მოიხსენიებენ.

7. რომის აღება ვესტგუთების მიერ, 410 წ.

რომის იმპერიის გაყოფის შემდეგ დასავლეთი რომის მცირეწლოვანი იმპერატორის, **ჰონორიუსის** მეურვედ წარმოშობით ვანდალი **სტილიქონი** დაინიშნა.

სტილიქონი გამოცდილი პოლიტიკოსი და კარგი მხედართმთავარი იყო - ის წარმატებით იგერიებდა გერმანელთა შემოტევებს და ახერხებდა შედარებითი სტაბილურობის შენარჩუნებას იმპერიაში.

მოგვიანებით, დიდებულებმა დაარწმუნეს ახალგაზრდა იმპერატორი სტილიქონის ღალატში და ჰონორიუსმაც სიკვდილით დასაჯა ერთგული მეურვე, რასაც 408 წლეს ვესტგუთების აჯანყება მოჰყვა:

▪ 410 წელს ვესტგუთებმა, **ალერიხის** მეთაურობით, აიღეს და გაძარცვეს რომი. იმპერატორმა ჰონორიუსმა ვესტგუთებს ქალაქ რომის დატოვების სანაცვლოდ სამხრეთ გალია შესთავაზა.

▪ შედეგად ვესტგუთებმა შექმნეს პირველი სახელმწიფო თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე.

8. ჰუნების ლაშქრობა გალიაში. რომის ალყა.

ატილა - ჰუნების ბელადი, ის ჰუნებს მართავდა მის ძმა **ბლადასთან** ერთად. მრისხანებისა და სისასტიკის გამო ატილას **„ღვთის რისხვასაც“** უწოდებდნენ.

451 წელს ატილამ გაილაშქრა გალიაში, სადაც ადგილობრივ გერმანულ ტომებს დაუპირისპირდა.

▪ **აეციუსი** - მეთაურობდა გერმანელი ტომებსა და რომაელთა გაერთიანებულ ჯარს ჰუნებთან ბრძოლაში.

▪ **კატალაუნის ბრძოლა** - გადამწყვეტი ბრძოლა ჰუნებსა და გერმანულ ტომთა გაერთიანებას შორის, მასში ევროპის თითქმის ყველა ხალხი და ტომი იბრძოდა. ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ატილამ მაინც უკან დახია, მაგრამ მისი დევნა აეციუსის ჯარმა ვერ შეძლო;

452 წელს ატილა შეიჭრა იტალიაში და რომს დაემუქრა.

▪ **რომის პაპი ლეო I** - მისი ძალისხმევით რომი გადაურჩა ჰუნების მიერ აოხრებას - მან შეძლო ატილას დარწმუნება, გამოსასყიდის საფასურად, უბრძოლველად გაბრუნებულიყო რომიდან.

9. რომის აოხრება ვანდალების მიერ.

V საუკუნეში ვანდალებმა ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნეს გერმანული სახელმწიფო - ისინი თავიდან ესპანეთში შეიჭრნენ, შემდეგ კი ჩრდილოეთ აფრიკის რომაელმა მმართველმა ისინი დაიქირავა საკუთარი ჯარის რიგების შესავსებად. მალე ვანდალებმა ძალაუფლება ხელში აიღეს და საკუთარი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს.

455 წელს ვანდალების ფლოტი იტალიის ნაპირებთან გამოჩნდა, მდინარე ტიბრს აუყვა და რომს მიადგა - „მსოფლიო დედაქალაქს“ აოხრების საფრთხე დაემუქრა:

▪ **პაპი ლეო I** ამჯერადაც შეეცადა რომის გადარჩენას და მოლაპარაკებები გამართა ვანდალების მეფე **ჰაიზერიხთან**. ის დიდი ძღვენის ფასად დათანხმდა, არ დაეხოცა ადგილობრივი მოსახლეობა, თუმცა რომი ბარბაროსებს გადაეცათ საძარცვავად.

▪ ორი კვირის განმავლობაში ძარცვავდნენ ვანდალები რომს, ანადგურებდნენ საუკუნოვან კულტურულ ფასეულობებს. ამ მოვლენის გამო ისტორიაში დამკვიდრდა ტერმინი **„ვანდალიზმი“,** რომელიც კულტურული ფასეულობების განურჩეველ განადგურებისა და სასტიკი რბევის სინონიმად იქცა.

10. ოდოაკრის აჯანყება და დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა.

იმპერიის არსებობის უკანასკნელ წლებში რომი ქაოსმა მოიცვა - ერთი გადატრიალება მეორეს ცვლიდა. 475 წელს საიმპერატორო ტახტზე ყმაწვილი **რომულუს ავგუსტულუსი** ავიდა, რომელიც მამამისთან ერთად მართავდა იმპერიას.

476 წელს იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყდა **ოდოაკრი** - გერმანელი მხედართმთავარი, რომის არმიის დაქირავებული რაზმის მეთაური.

მიზეზი:

იმპერატორმა და მამამისმა უარი უთხრეს გერმანელ დაქირავებულ მებრძოლებს შეპირებული მიწებისა და სხვა ჯილდოების გადაცემაზე.

შედეგი:

აჯანყებულებმა მოკლეს იმპერატორის მამა და ავგუსტულუსი საიმპერატორო ტახტიდან ჩამოაგდო, დასავლეთ რომის იმპერია გაუქმდა.

▪ ოდოაკრმა საიმპერატორო ნიშნები ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა, ხოლო თვითონ პატრიციუსის ტიტული მიიღო.

11. ბარბაროსული სახელმწიფოები ევროპაში.

ხალხთა დიდი გადასახლების შედეგად დასავლეთ რომის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოები წარმოიქმნა:

▪ იტალიაში ოდოაკრის გამეფების შემდეგ მას დაუპირისპირდა **ოსტგუთების** ტომთა გაერთიანება და მათი ბელადი **თეოდორიხი**. V ს.-ის ბოლოს თეოდორიხმა გააძევა ოდოაკრი და იტალიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში შეიქმნა **ოსტგუთების სამეფო**.

▪ VI საუკუნის შუა ხანებში ბიზანტიელებმა დაამარცხეს ოსტგუთების მეფე **ტოტილა** და იტალიაში გაბატონდნენ. თუმცა, VI ს.-ის 60-იან წლებში ამ ტერიტორიებიდან ბიზანტიელები გააძევეს გერმანულმა ტომებმა, **ლანგობარდებმა**, რომლებმაც საკუთარი სახელმწიფო ჩამოა-ყალიბეს.

▪ V ს.-ის შუა ხანებიდან გალიაში, თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე, ჩამოყალიბდა **ვესტგუთების**, ხოლო 70-იანი წლებიდან **ბურგუნდების** გერმანული სამეფოები.

▪ V საუკუნის ბოლოს გალიაში კიდევ ერთი გერმანული ტომი - **ფრანკები** შეიჭრნენ, რომელთაც მეროვინგების საგვარეულოს წარმომადგენელი **ხლოდვიგი** (481-511 წწ.) მართავდა. ის კარგი პოლიტიკოსი აღმოჩნდა და ცოლად შეირთო ბურგუნდიის მეფის ქალიშვილი **კლოტილდა**. ამით ისინი მოკავშირედ გაიხადა. **ხლოდვიგმა** დაამარცხა ვესტგუთები და მათი მოკავშირე ალემანები და თითქმის მთელი საფრანგეთი დაიკავა. აქ ჩამოყალიბდა **ფრანკთა პირველი სახელმწიფო**. VI ს.-ის 30-იან წლებში ფრანკთა მეფემ ბურგუნდიაც შეიერთა.

▪ ფრანკების მიერ დამარცხებული ვესტგუთები სამხრეთით, ესპანეთში დაეშვნენ, სადაც საკუთარი სამეფო შექმნეს. საფრანგეთის სამხრეთში მათ პატარა ტერიტორია შეინარჩუნეს.

▪ V საუკუნიდან გერმანული ტომები **ანგლები, საქსები და იუტები** ბრიტანეთის კუნძულზე გადავიდნენ და მისი ათვისება დაიწყეს. აქ მათ დაამარცხეს ადგილობრივი კელტური ტომები **ბრიტები**. ბრიტების ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი უელსში, შოტლანდიაში და საფრანგეთის ჩრდ. სანაპიროზე - ბრეტანში გადასახლდა. ბრიტანეთში შეჭრილმა გერმანულმა ტომებმა VI ს.-ში შვიდი სამეფო შექმნეს.

თავი II
ქრისტიანობა. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში

1. ქრისტიანობის წარმოშობა და გავრცელება.

▪ ქრისტიანობა **I საუკუნეში** წარმოიშვა, რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში – პალესტინაში. ქრისტიანული სწავლების ფესვები იუდაიზმშია.

▪ ქრისტეს მოძღვრებას მრავალი მიმდევარი განსაკუთრებით მისი ჯვარცმის შემდეგ გამოუჩნდა, როდესაც ხმა გავრცელდა იესოს მკვდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლების შესახებ. ქრისტიანობა ადამიანთა სულიერი სიმტკიცის წყარო გახდა, მან ადამიანს თანასწორობის იდეა შთაუნერგა და მოვალე მხოლოდ ღვთის წინაშე გახადა.

▪ **ბიბლია** - ქრისტიანული რელიგიის საღვთო წიგნების კრებული. შედგება ძველი და ახალი აღთქმისაგან.

▪ თავდაპირველად ქრისტიანობა იუდეველთა მცირე ჯგუფმა აღიარა, თუმცა არსებობის პირველივე ათწლეულებში სხვა პროვინციებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებშიც გავრცელდა.

▪ V საუკუნემდე ქრისტიანობის ძირითადად რომის იმპერიის გეოგრაფიულ საზღვრებში, ასევე მისი კულტურული გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა.

2. ქრისტიანების დევნა.

▪ ქრისტიანობის გავრცელებას დიდი სირთულეები შეხვდა. დევნას შეეწირა იესოს ყველა მოციქული, გარდა **იოანესი**.

პირველ რიგში ქრისტიანობას წარმართი ქურუმები და საიმპერატორო ხელისუფლება დაუპირისპირდა.

დევნის მიზეზები:

▪ ახალი რელიგიის დამკვიდრებით ქურუმები თავისი გავლენისა და კეთილდღეობის დაკარგვას უფრთხოდნენ.

▪ საიმპერატორო კარი ახალი რელიგიის მიმდევრებში სახელმწიფოში სიმშვიდის დამრღვევებს ხედავდა.

„კატაკომბური პერიოდი“- I-IV საუკუნეებში დევნისაგან შევიწროებული ქრისტიანები საიდუმლოდ კატაკომბებში იკრიბებოდნენ.

ქრისტიანების დევნამ ყველაზე მწვავე ხასიათი იმპერატორ **დიოკლეტიანეს** მმართველობის დროს შეიძინა.

3. კონსტანტინე დიდი და „მილანის ედიქტი“.

კონსტანტინე I იყო რომის იმპერატორი 306-337 წლებში. მფარველობდა ქრისტიანულ რელიგიას და ამ გზით ის ცდილობდა ნგრევის პირას მისული იმპერიის გადარჩენას.

ლეგენდის თანახმად, კონსტანტინე სასწაულის გზით ეზიარა ქრისტიანობას: 312 წელს ერთ-ერთი ლაშქრობის დროს კონსტანტინემ და მისმა ჯარისკაცებმა ცაზე იხილეს ჯვრის უზარმაზარი გამოსახულება წარწერით **„ამით სძლიე“,** ღამე კი მან სიზმარში ქრისტე გამოესახა, რომელმაც უბრძანა ჯვრის დამზადება და ამ ნიშნით მტრის წინააღმდეგ გამოსვლა. მე-ორე დღეს კონსტანტინეს ჯარისკაცებმა **ლაბარიუმი** - ქრისტეს მიერ ნაკარნახევის სიმბოლური ნიშანი გამოსახეს ფარებზე და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

- **„მილანის ედიქტი“** - კონსტანტინე დიდის მიერ 313 წელს გამოცემული რჯულშემწყნარებლობის აქტი, რომლის ძალითაც ქრისტიანობა იქცა ნებადართულ რელიგიად. მისი გამოცემის შემდეგ იმპერიაში შეწყდა ქრისტიანთა დევნა რომის იმპერიაში.
- 324 წელს კონსტანტინემ ქრისტიანობას იმპერიაში გამორჩეული ადგილი მიანიჭა.

4. გერმანელების გაქრისტიანება.

IV საუკუნიდან იწყება გერმანული ტომების გაქრისტიანების პროცესი. გერმანულ ტომთა შორის ყველაზე ადრე ქრისტიანობა გავრცელდა **ბურგუნდებში**.

ხლოდვიგი I - ფრანკთა მეფე, რომელმაც პირველმა მიიღო ქრისტიანობა:

- მასზე გავლენა იქონია მისმა ქრისტიანმა მეუღლე **კლოტილდამ**, რომელიც ბურგუნდთა მეფის ასული იყო.
- ხლოდვიგი მოინათლა 496 წელს, **რეიმსის ტაძარში.** შემდგომ პერიოდში ფრანგი მეფეები და იმპერატორები სწორედ ამ ტაძარში იდგამდნენ მონარქის გვირგვინს.

5. ქრისტიანობის გავრცელება სომხეთში.

301 წლიდან სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიაა. სომხეთის სახელმწიფო ეკლესიის პირველი კათოლიკოსი იყო **გრიგოლ განმანათლებელი.**

წმინდა რიფსიმიან ქალწულთა მოწამეობრივი სიკვდილი სომხეთში (სომხეთის გაქრისტიანების ამბავს აღწერს მოვსეს ხორენაცი):

- მეფე **თრდატ III** დევნიდა ქრისტიანებს, სიკვდილით დასაჯა რიფსიმიან ქალწულთა ნაწილი. ერთ-ერთმა - ნუნემ (ნინომ) საქართველოს შეაფარა თავი.
- მეფე თრდატს ღორის თავით გამოხატავდნენ ქრისტიანულ ხატებზე - ქრისტიანების დევნის გამო მეფე მძიმე სულიერი სენით დაავადდა, რომელსაც ძველად „ღორულ“ დაავადებას ეძახდნენ.

6. ქრისტიანობა საქართველოში.

- **წმინდა ანდრია პირველწოდებული** და **სვიმონ კანანელი** - იესოს მოწაფეები, ქრისტიანული სარწმუნოების პირველი მოციქულები საქართველოში. სვიმონ კანანელი დაკრძალეს ანაკოფიაში.
- **ქრისტეს კვართი** - უდიდესი ქრისტიანული რელიკვია, მცხეთელმა ებრაელებმა ჩამოიტანეს საქართველოში.

საქართველოს გაქრისტიანება **წმინდა ნინოს** სახელთან არის დაკავშირებული:

- წარმოშობით რომის აღმოსავლეთი პროვინციიდან, კაპადოკიიდან იყო. მამამისი ცნობილი სარდალი, **ზაბილონი** (ზებულონი) იყო, ხოლო დედა **სუსანა** - იერუსალიმის პატრიარქის და.
- ზაბილონმა უარყო საერო ცხოვრება, მთელი თავისი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა, თვითო კი ბერად აღიკვეცა.
- დიდი თავგადასავლის შემდეგ ნინო ქართლში ჩამოვიდა, სადაც შეესწრო წარმართულ დღესასწაულს, რომლის დროსაც მისი ლოცვის ძალით სეტყვა და მეხი დაატყდათ **არმაზისა** და **გაცი-გაიმის** წარმართულ კერპებს. მან განკურნა ქართლის მეფე მირიანის სნეული მეუღლე, დედოფალა ნანა, შემდეგ კი სასწაულის ძალით დაარწმუნა მეფე მირიანი ქრისტიანული ღმერთის ძლევამოსილებაში, რამაც მეფეს ქრისტიანობის მიღება გადააწყვეტინა.
- საქართველო გაქრისტიანების თარიღად ითვლება 326 წელი.
- V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის ძალისხმევით ქართულმა ეკლესიამ ბიზანტიური ეკლესიისაგან დამოუკიდებლობა **(ავტოკეფალია)** მოიპოვა.

7. მსოფლიო საეკლესიო კრებები

ქრისტიანული ეკლესიის შიგნით ხშირი იყო უთანხმოებები ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელთა გადაწყვეტა ხდებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებებზე.

IV-VIII საუკუნეებში ჩატარდა **7 მსოფლიო საეკლესიო კრება**, რომელთა გადაწყვეტილებებმა დაიცვეს ქრისტიანული რწმენის სიმბოლო და სარწმუნოებრივი მრწამსი სხვადასხვა ტიპის მწვალებლობისაგან.

ნიკეის პირველი საეკლესიო კრება, 325 წ.

▪ მოწვეული იქნა კონსტანტინე დიდის მიერ.

▪ კრებას ქართველი მღვდელმთავარი, ბიჭვინთის ეპისკოპოსი **სტრატოფილეც** ესწრებოდა.

▪ კრებამ პირველ რიგში ქრისტიანული **რწმენის სიმბოლო** განსაზღვრა, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიაში დღემდე უცვლელია. ამასთანავე, კრებამ დაადგინა აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის დრო.

კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრება, 381 წ.

▪ კრებამ მთელი რიგი დამატებები შეიტანა პირველი საეკლესიო კრების განსაზღვრებებში. ერთხელ და სამუდამოდ დადგინდა, რომ მამა ღმერთ, ძე ღმერთი და სული წმინდა დამოუკიდებელი და თანაბარი საწყისებია და ერთობაში არსებობენ (სამება-ერთარსება).

▪ მეორე საეკლესიო კრებას ქართლის ეპისკოპოსი **პანტოფილე** ესწრებოდა.

ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრება, 431 წ.

▪ მოწვეული იქნა კონსტანტინოპოლელი პატრიარქის, **ნესტორის** ცრუსწავლების განსახილველად.

▪ კრებამ დაგმო **ნესტორიანელობა**, ხოლო, თავად მოძღვარი ნესტორი მოკვეთილი იქნა ეკლესიიდან.

ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრება, 451 წ.

▪ ძირითადი განსახილველი საკითხი იყო **დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა**. ეს უკანასკნელი უარყოფდა ქრისტეს ადამიანურ საწყისს და მასში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას ხედავდა.

▪ კრებამ დაგმო მონოფიზიტობა და ის მწვალებლობად გამოაცხადა. ამით მონოფიზიტობას არსებობა არ შეუწყვეტია - ის გავრცელდა ბიზანტიის იმპერიის განაპირა პროვინციებში და სომხური, კოპტური და ნაწილობრივ სირიული ეკლესიების იდეოლოგიად იქცა. კრების სახელის გამო დიოფიზიტებს **ქალკედონიტებიც** ეწოდათ.

შემდგომი კრებები:

▪ **V კრება.** კონსტანტინოპოლის მეორე საეკლესიო კრება, 553 წ.

▪ **VI კრება.** კონსტანტინოპოლის მესამე საეკლესიო კრება, 680 - 681 წწ.

▪ **VII კრება**. ნიკეის მეორე საეკლესიო კრება, 787 წ.

მონოფიზიტების მწვალებლობად გამოცხადების შემდეგ ურთიერთობა დაიძაბა ქართულ მართლმადიდებლურ და სომხურ ეკლესიებს შორის, რასაც, გარდა წმინდა რელიგიური მიზეზებისა, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის კონტექსტიც ჰქონდა: იმ დროს, როდესაც ქართველები ერთგულნი დარჩნენ მართლმადიდებლური ბიზანტიისა, ქალკედონის კრების მიერ შერისხული სომხები სარგებლობდნენ ირანის მხარდაჭერით.

▪ **კირიონი** - ქართლის კათალიკოსი, ვისი მოღვაწეობის დროსაც განსაკუთრებულად გამოიკვეთა ეს დაძაბულობა.

▪ 608 წელს სომეხთა კათალიკოსმა აბრაჰამმა სომხებს აუკრძალა ყოველგვარი ურთიერთობა ქართველებთან, რითაც ოფიციალურად გაფორმდა განხეთქილება ორ ეკლესიას შორის.

დროთა განმავლობაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც 1054 წელს დიდი განხეთქილებით **(სქიზმა)** დასრულდა.

თავIII
ვახტანგ გორგასალი

1. ქართლი V საუკუნეში.

ირანი მტრულად შეხვდა კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებას და ამის შემდეგ განსაკუთრებული დაჟინებით ცდილობდა ამ ქვეყნებში თავისი სახელმწიფო რელიგიის, მაზდეანობის დამკვიდრება. შაჰის კარმა გარკვეული დასაყრდენი გაიჩინა ადგილობრივ დიდაზნაურებში, რომლებიც მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ წააქეზა. მეფესა და დიდაზნაურებს შორის მწვავე კონფლიქტი მწიფდებოდა.

▪ **დიდაზნაურები** - ქართლის სამეფოში დაწინაურებულ აზნაურთა ფენა, სურდათ მაღალი თანამდებობების მემკვიდრეობით დაუფლება.

▪ **პიტიახში, ციხისთავი, ერისთავი, ასისთავი** - ქართლის სამეფოში გავრცელებული სახელმწიფო სამოხელეო თანამდებობები;

428 წელს სასანიანთა ირანმა გააუქმა მეფობა სომხეთში და იმავეს გაკეთება სურდა ქართლშიც. ამას ემატებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ მომთაბარე ტომთა მარბიელი ლაშქრობები ქართლში, რაც ძლიერ ართულებდა ქვეყნის მდგომარეობას.

ასეთ ვითარებაში 449 წელს სამეფო ტახტზე ავიდა 15 წლის ვახტანგ გორგასალი.

2. მეფობის საწყისი პერიოდი.

ზოგადი ცნობები:

▪ დინასტია: **ხოსროვიანები.**

▪ მეფობის წლები: **449-502 წწ.**

▪ მამა: **მირდატი VII** - ქართლის მეფე, დედა: **საგდუხტი** - ირანელი მოხელის ასული.

მეფობის დასაწყისში გატარებული ღონისძიებები.

▪ კავკასიონის გადმოსასვლელების გამაგრების მიზნით 50-იანი წლების ბოლოს ილაშქრა ჩრდილოეთ კავკასიაში ალანების წინააღმდეგ, რაშიც ირანელთა დახმარებაც გამოიყენა - გადმოსასვლელების გაკონტროლებით სპარსეთიც დაინტერესებული იყო.

▪ ილაშქრა დასავლეთ საქართველოში, განდევნა იქიდან ბიზანტიელები, ეგრისის დიდი ნაწილი და კლარჯეთი შემოიერთა. მან ციხე-ქალაქი **არტანუჯი** აქცია ახლადშექმნილი **კლარჯეთის საერისთავოს** ცენტრად.

▪ სპარსელების დახმარებით შემოიერთა ალბანეთის დასავლეთი ნაწილი - **ჰერეთი**, სადაც ცალკე სამთავრო ჩამოაყალიბა.

▪ შემოიერთა დაღესტნის მთიანეთის ნაწილი **წუქეთი** და ის საერისთავოდ აქცია.

ვახტანგ გორგასლის ამგვარ აქტიურობას ხელს უწყობდა იმ დროს შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა - ბიზანტია და ირანი ჩაფლულნი იყვნენ საკუთარ პრობლემებში და ქართლისათვის არ ეცალათ:

▪ ბიზანტიის იმპერიაში რელიგიური ბრძოლები მიმდინარეობდა დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის. ასევე მას თავს ესხმოდნენ **გუთები და ვანდალები**;

▪ ირანს გამუდმებული ომები ჰქონდა **ჰუნებთან.**

V საუკუნის 60-იან წლებში ირანის შაჰმა **პეროზმა** (459-484) ვახტანგი ქართველთა ლაშქრით ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად გაიწვია შუა აზიაში, სადაც 7 წელი დაყო. ამ ბრძოლებში ვახტანგმა თავი გამოიჩინა როგორც კარგმა მხედართმთავარმა და კარგმა მებრძოლმა.

3. ვახტანგის საეკლესიო რეფორმა.

ვახტანგ მეფის ლაშქრობაში ყოფნისას რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის საშინაო მდგომარეობა. დიდაზნაურები აღარ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და ზოგი მათგანი აშკარა ღალატსაც არ ერიდებოდა.

▪ **ვარსქენ პიტიახში** - ქვემო ქართლის მმართველი, აღიარა მაზდეანობა, ერთგულებდა ირანელებს და მათი წაქეზებით ცდილობდა თავი დაეღწია ქართლის მეფის ქვეშევრდომობისგან. მისი მეუღლე, **შუშანიკი**, რომელიც წინ აღუდგა ვარსქენის მოღალატეობრივ ქმედებებს, მოწამეობრივად შეეწირა ქრისტიანობისადმი ერთგულებას. ის წმინდა წამებულად იქნა აღიარებული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ.

ქვეყნისა და ეკლესიის ღალატს ვარსქენის გარდა კიდევ არაერთმა დიდაზნაურმა მიმართა - მათ მძლავრი ოპოზიციური ჯგუფი ჩამოაყალიბეს და ემზადებოდნენ სამეფო ხელისუფლებისათვის გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად.

დიდმა ფეოდალებმა საკუთარი გავლენა გაავრცელეს ქართულ ეკლესიაზე, რომელსაც ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი ხელმძღვანელობდა - თავისი მომხვეჭელობისა და ვერცხლმოყვარეობის გამო მას „ქრისტეს მეგუადრუცეს“ ადარებდნენ.

ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგმა ეკლესიის რეფორმირება დაიწყო:

▪ მან ურჩი და უღირსი ეპისკოპოსების გადაყენება დაიწყო. ის დაუპირისპირდა მიქაელ მთავარეპისკოპოსსაც - იგი გააძევა საქართველოდან და კონსტანტინოპოლს მოსთხოვა, საქართველოს ეკლესია უშუალოდ მეფისთვის დაექვემდებარებინა და ქართული ეკლესიის სათავეში **თვითმწყემსობის უფლებით** აღჭურვილი კათალიკოსი ჩაეყენებინა.

▪ კონსტანტინოპოლმა დააკმაყოფილა ვახტანგის მოთხოვნები და საქართველოს კათოლიკოსად გამოგზავნა ვახტანგთან დაახლოებული **პეტრე**, რომლის ხელდასხმაც ანტიოქიის პატრიარქმა განახორციელა. ბიზანტიის იმპერატორის ასეთი დათმობა განპირობებული იყო ახლო აღმოსავლეთში შექმნილი რთულ პოლიტიკურ სიტუაციით იმ მნიშვნელოვანი როლით, რომელსაც საქართველო ასრულებდა სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანობის ინტერესებისა და პოზიციის დასაცავად.

▪ პარალელურად ვახტანგი ახალ საეპისკოპოსოებს აარსებდა და ძველებს წვრილ ერთეულებად ყოფდა. თუ მანამდე საქართველოში მხოლოდ 6-7 საეპისკოპოსო იყო, ამ რეორგანიზაციის შემდეგ აქ 20-მდე საეპისკოპოსო არსებობდა.

▪ აღნიშნული რეორგანიზაციის შემდეგ ქართული ეკლესია სახელმწიფოსა და ხალხის სამსახურში ჩადგა, ის მეფის უერთგულეს თანაშემწედ იქცა და მის ღონისძიებებს მტკიცედ უჭერდა მხარს.

4. აღმშენებლობითი საქმიანობა.

▪ ვახტანგ გორგასლის დროს ფართოდ გაიშალა დიდი საქალაქო და საფორტიფიკაციო მშენებლობა. ერთ-ერთი მიზანი: დიდაზნაურთა გავლენის შესუსტებას.

▪ **ჭერემი, არტანუჯი, უჯარმა** - ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული ან მის დროს დასრულებული ქალაქები.

▪ მან დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. ერთ-ერთი მიზანი: მცხეთაში დაფუძნებული ძველი არისტოკრატიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი.

▪ მის დროს გაიშალა ციხე-სიმაგრეების აღმშენებლობისა და გამაგრების სამუშაოები. მიზანი: სპარსელებთან მომავალი ბრძოლისთვის სამზადისი.

5. აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ.

ვახტანგ გორგასალმა გადაწყვიტა, ქართლი გაეთავისუფლებინა ირანის გავლენისაგან. წინასწარი სამზადისის შემდეგ ის ღიად გამოვიდა სპარსელების წინააღმდეგ:

▪ აჯანყების დაწყების პირველი ნიშანი იყო მეფის ბრძანებით ირანის ერთგული ვარსქენ პიტიახშის მკვლელობა, რაც მიზნად ისახავდა შიდა ოპოზიციის დასუსტებას.

▪ აჯანყება დაიწყო 482 წელს. ეს დრო საგანგებოდ შეარჩია: ირანს ამ დროს გაურთულდა მდგომარეობა მცირე აზიაში და მთელი ძალები იქ გადაისროლა.

▪ **პეროზ I** - სპარსეთის შაჰი ვახტანგ გორგასლის მიერ ირანის წინააღმდეგ აჯანყების დაწყების დროს.

აჯანყების შედეგი:

ვახტანგ გორგასალმა დაამარცხა და ქართლიდან განდევნა ირანელები.

ირანი ვერ ეგუებოდა შექმნილ მდგომარეობას და 483 წელს ახალი ძალით შეუტია ქართლს. ეს ბრძოლა ვახტანგ გორგასლის დამარცხებით დასრულდა.

მიზეზები:

▪ შეპირებული დამხმარე ძალის სიმცირე - ბრძოლის წინ მხოლოდ **300 ჰუნი მეომარი** გამოცხადდა;

▪ მოკავშირე სომეხთა ბანაკში ერთიანობის არარსებობა და ქართველ დიდაზნაურთა ღალატი.

სპარსელებმა ვერ მოახერხეს ვახტანგ გორგასლის აჯანყების საბოლოო დამარცხება - ამას ხელი შეუშალა შაჰი პეროზის დაღუპვამ ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პეროზის სიკვდილის შემდეგ ირანმა შეარბილა დამოკიდებულება კავკასიის სახელმწიფოების მიმართ:

▪ სომხეთში მარზპანად ადგილობრივი დიდებული **(ნახარარი)** დასვეს;

▪ ალბანეთში აღადგინეს მეფის ხელისუფლება და შეწყვიტა ქრისტიანების დევნა.

მოგვიანებით სპარსეთმა მიდგომა შეცვალა, რადგან ვახტანგ გორგასლის უარი, მონაწილეობა მიეღო ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში. 502 წელს სპარსეთმა ახალი ლაშქარი გამოგზავნა ქართლში.

შედეგი:

გორგასალი ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა, თუმცა, სპარსელებმა გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლეს.

▪ ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი დაკრძალეს სვეტიცხოველში.

თავი IV
ბიზანტიის იმპერია

1. იმპერიის წარმოშობა.

330 წელს **კონსტანტინე I დიდმა** (306-337 წწ.) რომის იმპერიის დედაქალაქი აღმოსავლეთში - მარმარილოს ზღვის ნაპირზე, პატარა ბერძნული კოლონია **ბიზანტიონში** გადმოიტანა, რომელსაც სახელი გადაარქვა და **კონსტანტინოპოლი** უწოდა.

395 წელს გარდაცვლილი იმპერატორ **თეოდოსის** ანდერძის თანახმად, იმპერიის აღმოსავლეთი უფროს ვაჟს **არკადიუსს** ერგო, ხოლო დასავლეთი - უმცროსს **ჰონორიუსს**. რომის იმპერია საბოლოოდ დაიშალა ორ ნაწილად: დასავლეთ რომისა და აღმოსავლეთ რომის იმპერიებად. ამ უკანასკნელს მოგვიანებით ბიზანტიის იმპერიის (კონსტანტინოპოლის ძველი სახელის პატივსაცემად) სახელით მოიხსენიებენ.

▪ ბიზანტიელები თავიანთ ქვეყანას რომეების იმპერიას უწოდებდნენ, თავს რომაელებად **(რომეებად)**, ღვთის რჩეულ ხალხად თვლიდნენ, ხოლო თავისი იმპერატორი სრულიად საქრისტიანოს მეთაურად მიაჩნდათ.

▪ ბიზანტიამ შეინარჩუნა განვითარებული და მოქმედი სახელმწიფო, აგრეთვე ძლიერი არმია, გაუძლო ბარბაროსთა შემოტევას ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში.

▪ ბიზანტიამ ანტიკური ცივილიზაციის მიღწევებიდან უამრავი ფასეული რამ შეითვისა და მთელი შუა საუკუნეების მანძილზე რჩებოდა კულტურულად განვითარებულ და ძლიერ სახელმწიფოდ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

▪ დასავლეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთში – ბიზანტიაში ჩამოყალიბდა იმპერატორის ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ერთიანი სახელმწიფო ქრისტიანული კონცეფცია, რომელშიც განმტკიცებული იყო **დიარხიის** ანუ საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანობის იდეა.

იმ დროს, როცა დასავლეთ რომის იმპერია ბარბაროსთა შემოსევების შედეგად ნადგურდებოდა, ბიზანტია თავისი განვითარების ოქროს ხანაში შევიდა.

IV-VI საუკუნეებში ბიზანტია ცენტრალიზებული **სამხედრო ბიუროკრატიული მონარქია** იყო, რომელშიც რომაული სახელმწიფოებრივი წყობის ტრადიციები აღმოსავლეთის დესპოტიის ელემენტებს ერწყმოდა:

▪ იმპერიის სათავეში იდგა **ბასილევსი** (მეფე), რომელსაც უზარმაზარი სახელმწიფო აპარატი ემორჩილებოდა.

▪ **სინკლიტი** - სათათბირო ორგანოს იმპერატორის კარზე (სენატი). სინკლიტიკებად (სენატორებად) ხდებოდნენ არა მხოლოდ დიდგვაროვანნი, არამედ მდაბიოები - ბიზანტიელები, ძველი რომაელების მსგავსად, თვლიდნენ, რომ იმპერიის ყველა მოქალაქე დაბადებიდან ერთმანეთის თანასწორია.

▪ დასავლეთისაგან განსხვავებით, ბიზანტიაში დაწყებითი და საშუალო სკოლები უპირატესად კერძო ან სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და არა საეკლესიო და სამონასტროს. ეს იყო ანტიკური ბერძნული სწავლულობა.

2. იუსტინიანე I-ის მმართველობა.

იუსტინიანე I იყო ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში. მან განამტკიცა დაშლის გზაზე მდგარი აღმოსავლეთ რომის იმპერია, გაატარა მრავალი რეფორმა და ჩამოაყალიბა ეფექტური მმართველობის სისტემა.

▪ საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა, უშუალოდ ჩარეულიყო სახელმწიფო მმართველობის თითოეულ საკითხში. აქედან მისი მფრინავი ფრაზა: **„იმპერატორებს არ სძინავთ“;**

▪ ითვალისწინებდა ეკლესიის დიდ გავლენას და ცდილობდა ის მორჩილებაში ჰყოლოდა. იყო დიოფიზიტობის ერთგული, თუმცა, ტოლერანტობას იჩენდა მონოფიზიტების მიმართ;

▪ მისი მმართველობის დროს შემცირდა სენატის **(სინკლიტის)** უფლებამოსილებები.

▪ მის დროს აშენდა **წმინდა სოფიას ტაძარი** კონსტანტინოპოლში.

▪ თეოდორა - იუსტინიანე I-ის მეუღლე. ზოგიერთი ცნობით იუსტინიანე მისი არაფორმალური გავლენით მართავდა სახელმწიფოს.

ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო-ბიუროკრატიული სისტემა.

▪ **პრეტორიის პრეფექტურა** - უმსხვილესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ბიზანტიის იმპერიაში.

▪ **აღმოსავლეთ პრეტორიის პრეფექტი** - ითვლებოდა ყველაზე ფართო უფლებამოსილების მქონე მინისტრად, ევალებოდა სახელმწიფოს ფინანსების მართვა.

▪ **დედაქალაქის პრეფექტი** - მნიშვნელობით მეორე სახელმწიფო თანამდებობა იმპერიაში.

▪ **წმინდა პალატების კვესტორი** - თანამდებობა ბიზანტიაში, ევალებოდა კანონპროექტების შემუშავება და იმპერატორის მთავარი იურიდიული მრჩევლის ფუნქციები.

▪ **ტრიბონიანე** - ბიზანტიელი იურისტი, იკავებდა წმინდა პალატების კვესტორის თანამდებობას იუსტინიანე I-ის დროს.

იუსტინიანეს საგარეო პოლიტიკა.

▪ 533 წელს იუსტინიანე შეიჭრა აფრიკაში, გაანადგურა ვანდალების სახელმწიფო და ის შემოუერთა იმპერიას.

▪ 535-554 წლებში მან დაამარცხა ოსტგუთების სახელმწიფო და იტალია შევიდა ბიზანტიის შემადგენლობაში.

▪ **ველისარიუსი** - ბიზანტიის არმიის მთავარსარდალი იუსტინიანე I-ის მიერ წარმოებულ დაპყრობით ომებში.

▪ 527-532 წლებში მიმდინარეობდა ბიზანტია-სპარსეთის ომი, რომელიც **„იბერიის ომის“** სახელითაც არის ცნობილი. ამ ომის შედეგად იბერია სასანიდების გავლენის ქვეშ დარჩა, თუმცა, ბიზანტიამ გამოსასყიდის ფასად დაიბრუნა სპარსელების მიერ დაკავებული თავისი ტერიტორიები.

„ნიკას აჯანყება“, 532 წ.

კონსტანტინოპოლის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ ე.წ. **„ცირკის პარტიები“** ანუ ჯგუფები, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია საცირკო სანახაობასთან (ეტლებით ჯირითთან) - გულშემატკივართა ცალკეული ჯგუფები შემდგომში გადაიქცნენ პარტიებად და საზოგადოების ამა თუ იმ ფენას წარმოადგენდნენ.

ძირითადი პარტიები:

▪ **„პრასინები“** ანუ მწვანეები - პარტია, რომელიც მსხვილ მიწათმფლობელებს ეყრდნობოდა.

▪ **„ვენეტები“** ანუ ლურჯები - პარტია, რომლის დასაყრდენს ეკლესია წარმოადგენდა.

იუსტინიანე უფრო მეტად ლურჯების მხარეს იხრებოდა, რაც „პრასინებს“ არ მოსწონდათ. ერთ-ერთი სანახაობის დროს მწვანეებმა იუსტინიანეს მოთხოვნები წაუყენეს, რომელიც მან არ გაითვალისწინა. ამან მწვანეების უკმაყოფილება გამოიწვია - არეულობა იპოდრომზევე დაიწყო და მალე მთელ კონსტანტინოპოლს მოედო.

აჯანყებულები ერთმანეთს შეძახილით **„ნიკა!“** (ბერძნ. „გაიმარჯვე!“) ამხნევებდნენ და აჯანყებასაც აქედან ეწოდა „ნიკას აჯანყება“.

გამოსვლებმა იმდენად მასიური ხასიათი მიიღო, რომ იუსტინიანე ქალაქიდან გაქცევაზე ფიქრობდა, თუმცა, დედოფალმა თეოდორამ მეუღლე დაარწმუნა, აჯანყებულების წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოეყენებინა. არმიის ჩარევით აჯანყება ჩახშობილი იქნა - მისი მონაწილეების უმრავლესობა ცირკის შენობაში დახოცეს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ იუსტინიანეს ძალაუფლება განმტკიცდა. მან რომის დიდების აღდგენა გადაწყვიტა. მან გააფართოვა იმპერიის საზღვრები და ქვეყნის შიგნით სხვადასხვა რეფორმა განახორციელა.

3. იუსტინიანეს საკანონმდებლო საქმიანობა.

V საუკუნეში იმპერატორ თეოდოსი II-ის დროს შედგენილი იქნა კანონთა კრებული, რომელიც „თეოდოსის კოდექსის“ სახელით არის ცნობილი - მასში თავმოყრილი იყო კონსტანტინე დიდისა და მომდევნო იმპერატორების მიერ გამოცემული კანონები. თუმცა, იუსტინიანეს მმართველობის დროისათვის ეს კრებული მოძველებული იყო.

იუსტინიანემ შექმნა კომისია, რომლის სათავეში ჩააყენა იმ დროის ცნობილი იურისტი **ტრიბონიანე.** კომისიამ შექმნა კანონთა კრებული, რომელიც „სამოქალაქო სამართლის კრებულის“ სახელითაა ცნობილი.მას ასევე **„იუსტინიანეს კრებულსაც“** უწოდებენ. კრებული სამი ნაწილისაგან შედგებოდა:

- **„ინსტიტუციები“ (ლათ. Institutiones)** - რომაული სამართლის სახელმძღვანელო.
- **დიგესტები (ლათ) Digesta)** - მასში შესული იყო ცნობილი რომაელი იურისტების გამონათქვამები.
- **“იუსტინიანეს კოდექსი“ (ლათ Codex Iustiniani)** - ადრიანეს დროიდან გამოცემული დადგენილებების კრებული, რომელიც შემდგომ იუსტინიანეს მიერ მიღებული კანონებით შეივსო.

ეს კანონები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა და აკანონებდა იმპერატორის ერთპიროვნულ მმართველობას - მასში გატარებული იყო პრინციპი: „რაც სურს ხელმწიფეს, იმას კანონის ძალა აქვს“. კანონითვე აკრძალული იყო იუსტინიანეს კოდექსზე კომენტარის დართვა.

თავი V
სასანიანთა ირანი

1. ზოგადი ცნობები.

სასანიანთა ირანი - სახელმწიფო თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე, რომელსაც მართავდნენ სასანიანთა დინასტიის წარმომადგენლები.

ოფიციალური დასახელება: ირანელთა სახელმწიფო (ერანშაჰრ)

არსებობის პერიოდი: 226 - 651 წწ.

დედაქალაქი: ქტესიფონი

მმართველობის ფორმა: ფეოდალური მონარქია

ოფიციალური რელიგია: ზოროასტრიზმი

სასანიანთა ისტორია შეიძლება დაიყოს სამ ძირითად პერიოდად

- III-IV საუკუნეები – იმპერიის ჩამოყალიბების პროცესი;
- Vს.-VI ს-ის დასაწყისი, სტაგნაცია და გარკვეული დაკნინება, რაც უპირველესად გამოწვეული იყო ცენტრალური აზიიდან წამოსული ჰუნების (ჰეფთალიტების) ტომებთან დაპირისპირებით.
- VI-VII სს. – პერიოდი იწყება ხოსრო I ანუშირვანის, ყველაზე მნიშვნელოვანი სასანიანი შაჰის მეფობით და სახელმწიფოს არნახული გაძლიერებით, რაც დროებითი მოვლენა გამოდგა და დასრულდა დინასტიის დაცემით არაბთა დაპყრობების შედეგად. სასანიანებმა ააღორძინეს და სრულქმნეს მაზდეანური რელიგია (ზოროასტრიზმი).

2. სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

III საუკუნის დასაწყისში ძველი პართიის სამეფომ არსებობა შეწყვიტა და მის ნანგრევებზე ახალი ირანული სახელმწიფო წარმოიქმნა, რომლის სათავეში სასანიანთა საგვარეულო დადგა.

ფარსის პროვინციაში ერთ-ერთი პატარა სამფლობელოს მმართველი **პაპაკი** გაბატონდა პროვინციაში, შემდეგ კი მისმა შვილმა - **არდაშირმა** ეს ძალაუფლება მეზობელ მხარეებზეც გაავრცელა, მალე პართიის მეფეც დაამარცხა და 226 წელს სამეფო ტახტი და „ირანის შაჰინშაჰის“ ტიტული ჩაიგდო ხელში.